ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali-Taoba

30 აპრილიდან!
„ახალი თაობა"
+
საქართველოს ისტორია
10 ლარი



პარასკევი, 2 მაისი, 2014 | №102 (6413) | ფასი: 30 თეთრი

# დავით უსუფაშვილი: „სად წერია ქრისტიანულ მოძღვრებაში, რომ ძალადობა არის სიკეთე"



გვ.4

## თენგიზ კიტოვანი პარლამენტში შეჭრით იმუქრება



გვ.2

## ირაკლი ღარიბაშვილი: „საქართველოში უკანონო მოსმენების დრო დასრულდა!"



## „ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების შესახებ" კანონი ძალაში შევიდა

— გვ. 6 —



## ნანა კაკაბაძე: „ანტიდისკრიმინაციული კანონის სწრაფად მიღება დაუშვებელია"

„ხელისუფლება გარეშე ძალებზე არის დამოკიდებული"



გვ.6

## გელა კვაჭანტირაძე: „ეკლესიის პოზიციას ანგარიში უნდა გავუწიოთ"

## გოგა ხაჩიძე პრემიერს ურჩევს, არასამთავრობოებზე თავდასხმას თავი დაანებოს

გვ.5



## არასამთავრობოები ირაკლი ღარიბაშვილის წინააღმდეგ

გვ.5



## მთავრობა საპენსიო რეფორმას ამზადებს

გვ.2





გვ.7

## ირაკლი ალასანია ვაშინგტონში კონფერენციაში მიიღო მონაწილეობა

ISSN 1987-9385

**5** სასჯელაღსრულების დეპარტამენტის უფროსის მოადგილეს არაადამიანურ მოპყრობაში ადანაშაულებენ

**6** „დემოკრატიული მოძრაობა" ხელისუფლებას პოლიტპატიმრებთან დაკავშირებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისკენ მოუწოდებს

**5** პრემიერ-მინისტრი ჯეიმს აპატურაის შეხვდა

**6** ჭიკაიძემ ურეკში საპატრულო და დაცვის პოლიციის ახალი შენობა გახსნა

# ირაკლი ღარიბაშვილი: „საქართველოში უკანონო მოსმენების დრო დასრულდა!"

ნათია ხურცილავა

**„ეს შენ გეხება, – ისევ გვისმენენ", არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ განახლებული კამპანია მიუღებელია პრემიერ-მინისტრისთვის. ირაკლი ღარიბაშვილი აცხადებს, რომ ეს ძირგამომთხრელი საქმიანობაა ქვეყნისთვის.**

როგორც პრემიერ-მინისტრმა მთავრობის სხდომაზე განაცხადა, მოქალაქეების დარწმუნება იმაში, რომ დღეს ყველას უსმენენ, ქვეყნის იმიჯის ძირგამომთხრელ საქმიანობად შეიძლება შეფასდეს.

ღარიბაშვილმა მოსმენებთან დაკავშირებულ კანონპროექტზე მუშაობის დეტალები განმარტა და განაცხადა, რომ ბიძინა ივანიშვილის დავალებით სპეციალურმა უწყებათაშორისმა კომისიამ ამ საკითხზე მუშაობა ჯერ კიდევ გასულ წელს დაიწყო.

– არასამთავრობოებისა და „ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენლების მიერ მაშინ წარმოდგენილი ვარიანტი კატასტროფის ტოლფასი იყო და საფრთხეს შეუქმნიდა მთლიანად სამართალდამცავი სისტემის, ქვეყნის უსაფრთხოების სისტემის გამართულ, ეფექტურ მუშაობას. ჩვენ ეს არ დავუშვით და დავიწყეთ აღნიშნული კანონპროექტის დამუშავება. ქვეყნის ინტერესებთან დაკავშირებულ კანონპროექტზე მუშაობისას სიჩქარე დაუშვებელია. – განაცხადა პრემიერმა.

ღარიბაშვილმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ პირადი ცხოვრების ამსახველი ვიდეო და აუდიომასალის განადგურების ერთ-ერთი მთავარი ინიციატორი და პროცესის მონაწილე თავად იყო, მსგავსი ტიპის დანაშაულისთვის კი ბევრი ადამიანი დაისაჯა.

პრემიერის შეფასებით, ხელისუფლებამ საქმით დაამტკიცა, რომ საქართველოში მოსმენების დრო დასრულდა.

– ორი თვის წინ კი ჩვენ გვესმის, რომ იწყებენ ჩემთვის აბსოლუტურად გაუგონარ კამპანიას სახელწოდებით „ეს შენ გეხება". მოვისმინე განცხადებები, რომ ყოველი დღე საფრთხის შემცველია და იწყებენ მოქალაქეების დარწმუნებას, რომ დღეს ყველას უსმენენ. მაშინ, როდესაც საერთაშორისო ასპარეზზე ჩვენი ქვეყნის იმიჯის განმტკიცება ხდება და ყოველდღიურად ვაჩვენებთ პროგრესს, ეს ადამიანები ათასობით ლარს ხარჯავენ რეკლამებში, იმისთვის, რომ შეარყიონ ქვეყნის იმიჯი. ამას მე ვუწოდებ ქვეყნის ძირგამომთხრელ საქმიანობას. – განაცხადა პრემიერმა ღარიბაშვილმა.

ღარიბაშვილმა განმარტა, რომ მისი დავალებით უსაფრთხოების საკითხებში პრემიერის მრჩეველმა მინდია ჯანელიძემ კანონპროექტის დამუშავება დაიწყო, რაც უკვე დასრულებულია და პარლამენტს უახლოეს მომავალში გადაეგზავნება.

– მიზანმიმართული კამპანია, რომ დღეს ყველას უსმენენ, სახელმწიფოს წინააღმდეგ არის მიმართული და ამის არავითარი საჭიროება არ არსებობს. არსებობს მტკიცე პოლიტიკური ნება და ეს მანკიერი პრაქტიკა აღმოიფხვრება. ჩვენი კარი ღიაა და მოვუწოდებ ამ ადამიანებს, ღია კარის მტვრევა საჭირო არ არის. – ამბობს ღარიბაშვილი.

მთავრობის მეთაურმა პარლამენტს მიმართა, აღნიშნული კანონპროექტი მაქსიმალურად მოკლე ვადებში მიიღოს.

ქუთაისში იმყოფებიან არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები და ადგილზე აწარმოებენ მოლაპარაკებებს.

ეკა გიგაური, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს" აღმასრულებელი დირექტორი აცხადებს, რომ თუ უკანონო მოსმენებზე კანონს არჩევნებამდე არ მიიღებენ, მაშინ ის თაროზე შემოიდება.

არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს" ხელმძღვანელი უკანონო მოსმენებზე შემზღუდავი კანონპროექტის გაჭიანურებას მნიშვნელოვანი ბერკეტის არდათმობის სურვილით ხსნის და აცხადებს, რომ თუ კანონს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებამდე არ მიიღებენ, მაშინ ის თაროზე შემოიდება და კამპანია „ეს შენ გეხება" თავიდან გააქტიურდება.

გიგაური აცხადებს, რომ უკვე ერთი წელია, პარლამენტში დევს კანონპროექტი და მისი განხილვა ამ დრომდე ვერ ხერხდება.

– მინდა, გამოვეხმაურო პრემიერის განცხადებას, პირველ რიგში, ცალსახად მინდა, აღვნიშნო, რომ ეს არის საზოგადოების შეცდომაში შეყვანის მცდელობა და ის, რაზეც პრემიერი საუბრობს, არის ტყუილი. იმ კანონპროექტის ავტორი, რომელიც ინიცირებულია პარლამენტში, უმრავლესობის ერთ-ერთი წარმომადგენელი შალვა შავგულიძეა და ასევე ლაშა ტუღუში, რომელსაც ჩვენ, ყველანი, კარგად ვიცნობთ, შესაბამისად, ვერ ვიტყვი, რომ ეს არის „ნაციონალური მოძრაობისა" და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმოდგენილი კანონპროექტი. რაც შეეხება ძირგამომთხრელ საქმიანობას, იმ პრობლემაზე, რომელზეც ჩვენ ვსაუბრობთ და რაც არის დაკავშირებული იმასთან, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს აქვს განუსაზღვრელი შესაძლებლობები იმისთვის, რომ მოუსმინოს 21 ათას ადამიანს და რომელსაც იგი წარმატებულად იყენებს, ამის შესახებ საუბრობს არა მარტო სამოქალაქო სექტორი, არამედ, ამაზე ასევე საუბრობს ბატონი ჰამერბერგი, ამაზე არის საუბარი სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშშიც, შესაბამისად, ალბათ, ეს ორგანიზაციებიც და ეს ადამიანებიც არიან ძირგამომთხრელნი და დაკავებული არიან ამ საქმიანობით. შესაბამისად, ალბათ, კორექტულობა იქნება ძალიან კარგი გამოსავალი პრემიერის მხრიდან. არის საფუძვლიანი ეჭვი, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო და სხვა უწყებები ეწინააღმდეგებიან იმ სისტემურ ცვლილებებს, რომელსაც ჩვენ ვითხოვთ კანონპროექტის ამოქმედების შემდეგ. ხელისუფლებას არ ჰყოფნის გამბედაობა, შეცვალოს ის მავნე პრაქტიკა, რაც წლების განმავლობაში იყო დამკვიდრებული. – აცხადებს ეკა გიგაური.

ირაკლი ღარიბაშვილმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ პირადი ცხოვრების ამსახველი ვიდეო და აუდიომასალის განადგურების ერთ-ერთი მთავარი ინიციატორი და პროცესის მონაწილე თავად იყო, მსგავსი ტიპის დანაშაულისთვის კი ბევრი ადამიანი დაისაჯა.

პრემიერის შეფასებით, ხელისუფლებამ საქმით დაამტკიცა, რომ საქართველოში მოსმენების დრო დასრულდა.

ღარიბაშვილმა განმარტა, რომ მისი დავალებით უსაფრთხოების საკითხებში პრემიერის მრჩეველმა მინდია ჯანელიძემ კანონპროექტის დამუშავება დაიწყო, რაც უკვე დასრულებულია და პარლამენტს უახლოეს მომავალში გადაეგზავნება.

მთავრობის მეთაურმა პარლამენტს მიმართა, აღნიშნული კანონპროექტი მაქსიმალურად მოკლე ვადებში მიიღოს.



მიმდინარე კვირას დიდი ვნებათაღელვის მიზეზი ანტიდისკრიმინაციული კანონპროექტი იყო. კანონპროექტის კანონად ქცევას სასულიერო პირები და საზოგადოების გარკვეული წარმომადგენლები ეწინააღმდეგებიან.

ანტიდისკრიმინაციული კანონპროექტის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებს პრემიერ-მინისტრი ინფორმაციის ნაკლებობით ხსნის. როგორც მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, მოისმინა სასულიერო პირების წუხილი და დარჩა შთაბეჭდილება, რომ მათ კანონპროექტთან დაკავშირებით სრულყოფილი, ობიექტური ინფორმაცია არ აქვთ.

პრემიერმა მთავრობის საპარლამენტო მდივანს შალვა თადუმაძეს სასულიერო პირებთან მეტი კომუნიკაცია და მათთვის კანონპროექტის არსის დეტალური განმარტება დაავალა.

– სასულიერო პირების ერთ-ერთი წუხილია, რომ ამ კანონპროექტით ხდება ცოდვის, მამათმავლობის დაკანონება და რომ მოხდება პროპაგანდა ან რაღაც საშინელება ქვეყანაში. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, აღნიშნული კანონპროექტით რაიმე უკანონოს დაკანონება არ ხდება, არავის მიეცემა პროპაგანდის საშუალება და არავის მიენიჭება დამატებითი უფლებები. – განაცხადა პრემიერმა ღარიბაშვილმა. ირაკლი ღარიბაშვილის განმარტებით, სასულიერო პირების მეორე მთავარი წუხილია ის, რომ მათ თითქოს ქადაგება აეკრძალებათ. პრემიერმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მსგავსი ინფორმაცია სიმართლეს არ შეესაბამება.

– ამ კანონის მიხედვით არავის და, პირველ რიგში, ეკლესიას არ შეეზღუდება ქადაგების უფლება. აღნიშნული კანონი არ ეხება სახელმწიფოსა და მართლმადიდებელ ეკლესიას შორის გაფორმებულ შეთანხმებას და ამ მიზნით კანონპროექტში ცალკე მუხლი გავაჩინეთ. შესაბამისად, როგორც მთავრობის მეთაური და კოალიცია „ქართული ოცნების" ლიდერი, სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, ჩვენი ხელისუფლებაში ყოფნის დროს არ მიიღება არც ერთი ანტიეროვნული, ანტისახელმწიფოებრივი კანონი და არავითარი საფრთხე არ არსებობს, რომ ამ კანონით ჩვენთვის ყველაზე ძვირფას ტრადიციებსა და ფასეულობებს საფრთხეს შევუქმნით. – აღნიშნა ირაკლი ღარიბაშვილმა.

ანტიდისკრიმინაციული კანონპროექტის მიღების აუცილებლობაზე საუბრობდნენ გუშინ მინისტრთა კაბინეტის წევრები.

პაატა ზაქარეიშვილის განცხადებით, ანტიდისკრიმინაციულ კანონპროექტზე პოლიტიკური გადაწყვეტილება უნდა იყოს მიღებული.

– კანონპროექტი, რომელიც მთავრობის მიერ დამტკიცებულია, ჩემთვის მისაღებია. მას ვეთანხმები და მგონია, რომ ზუსტად ისე უნდა გავიდეს, როგორც ჩვენ მივიჩნევთ საჭიროდ. მაგრამ პარლამენტი უფრო მაღალი ორგანოა, შესაბამისად, მას აქვს თავისი ხედვა, უფლება, გარკვეულწილად შეცვალოს პროექტი და კორექტივები შეიტანოს მასში. საზოგადოებაში არსებული სხვადასხვა დამოკიდებულება კი ბუნებრივია. საბოლოოდ, ვფიქრობ, პოლიტიკური გადაწყვეტილება უნდა იყოს მიღებული. – განაცხადა პაატა ზაქარეიშვილმა.

ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში სახელმწიფო მინისტრმა ალექსი პეტრიაშვილმა ანტიდისკრიმინაციული კანონპროექტი შეაფასა და იმედი გამოთქვა, რომ კანონი უახლოეს დღეებში დამტკიცდება.

– ძალიან კარგია, რომ კანონპროექტთან დაკავშირებით საზოგადოების ყველა ფენაში მსჯელობა მიმდინარეობს, შემიძლია გითხრათ, რომ აღნიშნული კანონმდებლობა უაღრესად მნიშვნელოვანია ევროინტეგრაციული პროექტების წინსვლის თვალსაზრისით. რა თქმა უნდა, მთავრობა ამ კანონის მიღებას მხარს უჭერს, დიდი იმედი მაქვს, უახლოეს დღეებში, დღეს-ხვალ, მოხდება მისი დამტკიცება, ისე, რომ საზოგადოება მაქსიმალურად იყოს ჩართული. – განაცხადა პეტრიაშვილმა.

# მთავრობა საპენსიო რეფორმას ამზადებს

ნათია ხურცილავა

**ეკონომიკის მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ ჟურნალისტებთან კომენტარი გააკეთა. ვიცე-პრემიერმა საპენსიო რეფორმაზე ისაუბრა.**

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის განცხადებით, საპენსიო რეფორმის ჯგუფი საკმაოდ აქტიურად მუშაობს.

მინისტრი განმარტავს, რომ ეკონომიკის სამინისტროში საპენსიო რეფორმის საკოორდინაციო ოფისია შექმნილი.

– დღეს ძალიან აქტიურად ვმუშაობთ მსოფლიო ბანკთან იმისთვის, რომ სამოქმედო გეგმა ვადებში შესრულდეს. სავალდებულო სადაზღვევო საპენსიო სისტემაზე ორწლიანი ვადა იქნება. რაც შეეხება ნებაყოფლობით დაზღვევას, აქ უფრო მოკლევადიანი რეფორმების პაკეტი მზადდება და, ვფიქრობ, ეს პაკეტი პარლამენტში შემოდგომაზე შევა. – განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

კიდევ ერთი საკითხი, რაზეც მინისტრმა პრესასთან კომენტარი გააკეთა, ფოსტის ირგვლივ განვითარებული პროცესებია.

მინისტრი განმარტავს, რომ ფოსტა ძალიან ბევრ ქვეყანაში სარგებლობს გარკვეული მონოპოლიებით.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი აცხადებს, რომ საფოსტო კანონმდებლობაზე მუშაობა მიმდინარეობს.

გუშინ გიორგი კვირიკაშვილი გადამზიდავი კომპანიების ბრალდებებს გამოეხმაურა. აღნიშნული კომპანიები აცხადებენ, რომ ახალი კანონის მიღების შემთხვევაში ისინი ბაზარზე პრობლემებს წააწყდებიან. კომპანიების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ „საქართველოს ფოსტა" პრივილეგირებულ მდგომარეობაში აღმოჩნდება.

ეკონომიკის მინისტრმა განმარტა, რომ გარკვეული არგუმენტებს გაითვალისწინებს, თუმცა გადამზიდავ კომპანიებს არაარგუმენტირებული მოთხოვნებიც აქვთ.

– ფოსტა ძალიან ბევრ ქვეყანაში სარგებლობს გარკვეული მონოპოლიებით, რომელიც გამომდინარეობს იმ მომსახურებებიდან, რომელიც კომერციულად არ არის მიმზიდველი და სახელმწიფო ფოსტა ახორციელებს. რაც შეეხება ამანათის წონას და ა.შ. ამაზე მსჯელობა მიდის და ჩვენ მზად ვართ, შემხვედრი ნაბიჯები გადავდგათ. – განაცხადა კვირიკაშვილმა.



ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2-94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ნანა კაკაბაძე: „ანტიდისკრიმინაციული კანონის სწრაფად მიღება დაუშვებელია“

## „ხელისუფლება გარეშე ძალებზე არის დამოკიდებული“

ნონა ცაბაძე

### ინტერვიუ უფლებადამცველ ნანა კაკაბაძესთან

*— ქალბატონო ნანა, როგორც უფლებადამცველი, რას ფიქრობთ ანტიდისკრიმინაციულ კანონთან დაკავშირებით. თქვენ, როგორც უფლებადამცველი, თუ იყავით მიწვეული ამ კანონპროექტის განხილვაზე? როგორია თქვენი დამოკიდებულება?*

— განხილვაზე ერთხელ ვიყავი ქუთაისში. რაც შეეხება დამოკიდებულებას, რაღაც გაუგებარი რამ ხდება, ხდება კანონპროექტის მიღება, რომელშიც არაფერი ახალი მექანიზმი არ არის და ვერც იქნება, იმიტომ, რომ ყველა დანარჩენ კანონში, რომელიც დღემდე არსებობდა, არის რეგულაციები, რითაც როგორც უმცირესობებს, ისე სხვა ადამიანებს შეუძლიათ დაიცვან თავიანთი უფლებები. რამდენად ეფექტურად მუშაობს ეს კანონი, ეს უკვე სხვა არის, მაგრამ ყოველ შემთხვევაში, საკანონდებლო დონეზე ამისი რეგულაციები ქვეყანაში არსებობს. ამ ახალ შემოთავაზებულ კანონპროექტში აბსოლუტურად ახალი არაფერი არ არის, რომელიც უფრო მეტად აუმჯობესებდეს უფლებადაცვის კუთხით ვინმეს უფლების დაცვას. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, ჩნდება კითხვა, მაშინ რა საჭირო იყო ასეთი კანონი?! რას ემსახურებოდა ეს? ამ კანონში ერთადერთი განმასხვავებელი, რაც ახალია, არის ის, რომ ხდება გათანაბრება სექსუალური უმცირესობების და ხდება იმაზე აპელირება, რომ ეს არ არის გადახრა და ეს არის ნორმა. აი, ამისი დამკვიდრება ხდება ამ კანონით. სხვა მხრივ, რომ უფლების დარღვევის შემთხვევაში სხვა უკეთესი მექანიზმი იყოს მოცემული, ასე არ არის. თავისთავად თქვენ იცით, რომ ამან სერიოზული ვნებათაღელვა გამოიწვია საზოგადოებაში, გამომდინარე იქიდან, რომ ეს ქვეყანა არის მართლმადიდებლური ქვეყანა, საკმაოდ მორწმუნე მოსახლეობა, აი, ასეთი რამის პროპაგანდამ საზოგადოებაში უარყოფითი დამოკიდებულება გამოიწვია ამ კანონის მიმართ.

*— რაც შეეხება ჩვენს ეკლესიას, ვხედავთ, როგორი უარყოფითი დამოკიდებულება აქვთ სასულიერო პირებს ამ ყველაფერთან დაკავშირებით. რამდენად სწორია მათი პოზიცია? ზოგი ფიქრობთ, რომ რადიკალურია...*

— იცით, სასულიერო პირების პოზიცია აბსოლუტურად გასაგებია. ის, რაზეც ხელისუფლებება საუბრობს, მათთვის ეს არის ძალიან დიდი ცოდვა. არა მარტო მათთვის, არამედ მთლიანად მრევლისთვის. ეს არის ცოდვა და როდესაც ისინი ხედავენ საფრთხეს იმისას, რომ ამ ცოდვის დაკანონება, ამ ცოდვის პროპაგანდა ხდება, ბუნებრივია, ისინი არიან ხოლმე ძალიან ფხიზლად. რაც მთავარია, შესაძლოა ამ კანონის შინაარსი არ იყოს ისეთი პრობლემატური, როგორც თვითონ ხელისუფლების დამოკიდებულება. როდესაც ასეთ მგრძნობიარე თემებს ეხები, არ შეიძლება აქ ეკლესიის უგულველყოფა, არ შეიძლება იგნორირება და კანონის ისე მიღება, რომ ამ პროცესში არ იყოს ჩართული ეკლესია, არ იყოს ჩართული საზოგადოება. ვიმეორებ, როდესაც ასეთ სენსიტიურ საკითხს ეხებიან, ასეთი დაჩქარებული წესით და ასეთ ფორსმაჟორში არ უნდა ხდებოდეს მისი მიღება, იმიტომ, რომ ეს ყოველთვის გამოიწვევს საფუძვლიან ეჭვებს საზოგადოებაში და უფრო მეტსაც, გამოიწვევს უკუ რეაქციას და უფრო მეტიც, შესაძლოა ამ კანონის მიღებამ, ქვეყანაში ძალიან ცუდი პროცესების დასაწყისს ჩაუყაროს საფუძველი. არასწორი იყო ხელისუფლების ასეთი დამოკიდებულება. მით უმეტეს, იმ ფონზე, როდესაც პატრიარქმა მიმართა წერილით პარლამენტს და სთხოვა, რომ გადადებულიყო ამისი განხილვა და მომხდარიყო უფრო გამჭვირვალედ ამ პროექტზე მუშაობა და უფრო მეტი ჩართულობა ამ კანონპროექტის მუშაობაში. პარლამენტმა კი ძალიან ჯიუტად თქვა უარი ამაზე, რომ არც ერთი დღით ეს არ გადაიდება და გააგრძელა ამაზე მუშაობა. ეს კიდევ უფრო მეტ გაღიზიანებას და მეტ აღშფოთებას იწვევს, როდესაც ყველა პარლამენტარმა და მთლიანად ხელისუფლებამ უნდა იცოდეს, რომ საქართველოს პატრიარქს ქვეყანაში აქვს, ყველა საერთაშორისო ორგანიზაციის კვლევით დადასტურებული 97%-იანი ნდობა და ამ დროს პარლამენტი, საქართველოში ყველაზე მეტი ნდობით აღჭურვილ ადამიანს და მის სიტყვას ასე აბაიბურებს და არაფრად აგდებს. ეს ძალიან ცუდად შეუბრუნდება ხელისუფლებას, ასეთი არაპოლიტიკური და არასწორი ნაბიჯები.

*— ჩვენ მოვისმინეთ პრემიერის მკაცრი ტონით გაკეთებული განცხადება, რომ კანონი დაუყოვნებლივ უნდა იქნეს მიღებული... ეს რა იყო, მითითება?*

— რა თქმა უნდა, ეს არის მითითება. საზოგადოებამ კარგად იცის, როგორ ხდება კანონების მიღება და როგორ ხდება ზეწოლა კანონების მიღების დროს და ამ დროს პრემიერი ასეთ განცხადებას აკეთებს, რა თქმა უნდა, სწორედ ასეთად აღიქმება. მე პარლამენტში რომ ვიყავი, იქ დავსვი კითხვა — რატომ არ შეიძლება ამ კანონპროექტის გადადება გარკვეული დროით და ქალბატონმა ეკამ მიპასუხა: იმიტომ, რომ პარლამენტის რეგლამენტი ამას არ ითვალისწინებს, მას თავისი ვადები აქვსო. მე მაშინ შევახსენე პრეცედენტი, რომელიც პარლამენტში მოხდა, იპოთეკით დაზარალებულთა კანონპროექტი როდესაც იხილებოდა. მაშინ პირველი მოსმენით გასული იყო ეს კანონპროექტი პარლამენტში და ბიძინა ივანიშვილის განცხადების შემდეგ, ეს კანონპროექტი უცბად გაქრა და განხილვაზე დღემდე არ გამოსულა. მე ვუთხარი კიდეც, თუკი იპოთეკარტა კანონპროექტის ასეთი გაუგებარი ვადით გადადება თუ არის შესაძლებელი, ერთი კვირით ამ კანონპროექტის გადადება რატომ არ არის შესაძლებელი-მეთქი?! რაზეც მიპასუხეს, რომ ეს კანონპროექტი თავად ავტორმა, გედევან ფოფხაძემ გაითხოვაო... მაშინ, თუკი ავტორს შეუძლია გათხოვა, ამაზე მარტივი რა არის, იქვე იყო ამ კანონპროექტის ავტორიც და გაეთხოვა მასაც.

**„საზოგადოებამ კარგად იცის, როგორ ხდება კანონების მიღება და როგორ ხდება ზეწოლა კანონების მიღების დროს და ამ დროს პრემიერი ასეთ განცხადებას აკეთებს, რა თქმა უნდა, სწორედ ასეთად აღიქმება. მე პარლამენტში რომ ვიყავი, იქ დავსვი კითხვა — რატომ არ შეიძლება ამ კანონპროექტის გადადება გარკვეული დროით და ქალბატონმა ეკამ მიპასუხა: იმიტომ, რომ პარლამენტის რეგლამენტი ამას არ ითვალისწინებს, მას თავისი ვადები აქვსო. მე მაშინ შევახსენე პრეცედენტი, რომელიც პარლამენტში მოხდა, იპოთეკით დაზარალებულთა კანონპროექტი როდესაც იხილებოდა. მაშინ პირველი მოსმენით გასული იყო ეს კანონპროექტი პარლამენტში და ბიძინა ივანიშვილის განცხადების შემდეგ, ეს კანონპროექტი უცბად გაქრა და განხილვაზე დღემდე არ გამოსულა“.**

*— უკვე ბევრს საუბრობენ იმის თაობაზე, რომ ყოფილი პრემიერი, ბიძინა ივანიშვილი, უხეშად და აქტიურად ერევა ქართულ პოლიტიკაში. რას ფიქრობთ თქვენ? მართლაც ასეა?*

— ამ ორ კანონპროექტთან დაკავშირებით, რომელზეც ზემოთ ვსაუბრობდით, მისი ჩარევა აშკარად იყო. აქ ყურადღება შტეფან ფულეზე იყო გამახვილებული, რომ თითქოს შტეფან ფულეს დაყინებული მოთხოვნა იყო, რომ თუ არ მიიღებთ ამ კანონს, ის ვერ მოხდება თქვენი ინტეგრირება ევროკავშირში და ასე შემდეგ და ასე შემდეგ, რაც აბსურდია, იმიტომ, რომ არის ქვეყნები, რომლებმაც უარი თქვეს ამ კანონის მიღებაზე და ისინი მაინც არიან ევროკავშირის წევრი ქვეყანა. მის მოთხოვნაში კატეგორიული ტონი ნამდვილად არ იგრძნობოდა, როგორც კულისებში გაირკვა, ბიძინა ივანიშვილის მოთხოვნა იყო სწორედ ის, რომ ეს უნდა მიღებულიყო სწრაფი ტემპებით. ალბათ, ამას ახმოვანებს დღეს ხელისუფლება და პარლამენტი.— თქვენ ფიქრობთ, რომ ეს არ არის დასავლეთიდან თავს მოხვეული?— რა თქმა უნდა, დასავლეთიდან არის ეს მოთხოვნა, მაგრამ ფულე არ ჩამოუვლიდა 150 დეპუტატს. მან სავარაუდოდ უთხრა ბიძინა ივანიშვილს და შემდგომ ხდება მისგან ზეწოლა. რადგან მოხდა ამის გაჟღერება პარლამენტში, რომ ის იყო დაინტერესებული ამ კანონის მიღებით. სამწუხარო რეალობაა ის, რომ მთელი საზოგადოების იგნორირების ხარჯზე შესაძლებელია რაღაც კანონების მიღება. პარლამენტი არის ორგანო, რომელიც სწორედ საზოგადოების ინტერესებზე მორგებით უნდა ღებულობდეს კანონებს და არა რაღაცა სხვა ქვენა მიზნებით. აქ ძალიან აშკარად ჩანს, რომ საზოგადოებას, ამ კანონპროექტის მიმართ აქვს ძალიან სერიოზული კითხვები. მე არ ვამბობ, რომ თუ საჭირო არის რაიმე კანონპროექტი, არ მივიღოთ ეს კანონპროექტი, მაგრამ არც ერთი კანონის მიღება, რომელიც არ არის ქვეყნის ინტერესებში, ასეთი კანონების მიღება არ უნდა ხდებოდეს და მეორეც, თუ შენ თვლი, რომ ქვეყნის ინტერესებშია ამ კანონის მიღება, მაშინ რა უდგას იმას წინ, რომ ეს მიღების პროცესი იყოს გამჭვირვალე და ჩართულობა იყოს ფართო. რატომ უნდა გამოთქვამდეს საპატრიარქო და პირადად პატრიარქი ამაზე ეჭვებს და რატომ არ უნდა იყოს იგივე საპატრიარქო ამ პროცესში ჩართული, რომ ოფიციალური წერილების წერა აღარ იყოს საჭირო.— პირადად თქვენ რა საფრთხეებს ხედავთ, რამდენად არის საფრთხის შემცველი ქვეყნისთვის ეს კანონპროექტი?— საერთოდ ხელისუფლების დამოკიდებულება არის ქვეყნის ინტერესებისადმი საფრთხის შემცველი, ის, რა დამოკიდებულებაც აქვს ამჟამინდელ ხელისუფლებას, წინა ხელისუფლებას, მომხმარებლური და მომხვეჭველური დამოკიდებულება და არა ის, რომ ხელისუფლება უნდა ზრუნავდეს საკუთარ ხალხზე, საზოგადოების ინტერესებს უნდა იცავდეს და ამაზე უნდა იყოს ორიენტირებული. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ასეთი არ არის ხელისუფლება, ყოველ შემთხვევაში გარემო უნდა არსებობდეს ისეთი და საკანონმდებლო ბაზა უნდა არსებობდეს ისეთი; რომ საზოგადოება უნდა იყოს იძულებული საზოგადოების ინტერესებზე იყოს მორგებული. ჩვენთან, სამწუხაროდ, ძალაუფლების წყაროს არ წარმოადგენს ხალხი, მიუხედავად იმისა, რომ კონსტიტუციაში ეს ძალიან ნათლად არის ასახული, რომ ძალაუფლების წყაროს წარმოადგენს ხალხი. სამწუხაროდ, ჩვენი ხელისუფლება ძალიან დიდ წილად არის დამოკიდებული გარეშე ძალებზე, დაფინანსებისა თუ ძალაუფლების შენარჩუნების კუთხით და თქვენ ხედავთ, რომ იგივე დასავლეთის ჩარევა ქვეყნის შიდა პოლიტიკაში, ან ვინ უნდა დაიკითხოს, როგორ უნდა დაიკითხოს, საერთოდ უნდა დაიკითხოს თუ არა. გამოძიებაშიც კი ისეთი უხეში ფორმებით ხდება ჩარევა, რომ ბუნებრივია ცალსახად ჩანს, რომ ხელისუფლება არის სრულიად დამოკიდებული გარეშე ძალებზე. აქედან გამომდინარე, ისინი ორიენტირებულები არიან, რომ მათი ინტერესები დააკმაყოფილონ ქვეყანაში და არა ქვეყნის მოსახლეობის ინტერესები. აი, ასეთ ხელისუფლებასთანა გვაქვს საქმე და აქედან გამომდინარე, არა ეს კანონი, არამედ ყველა კანონი დგება ეჭვქვეშ, რომ ეს ემსახურება რაღაცა კლანის, რაღაცა ვიწრო ჯგუფის ინტერესებს, ყოველ შემთხვევაში ხალხის ინტერესებს რომ არ ემსახურება ეს ცხადია. ხალხის ინტერესებს რომ არ ემსახურება ხალხის გადაწყვეტილებები ეს უკვე ძალიან ცალსახად გამოჩნდა, იგივე საყდრისის საბადოებთან დაკავშირებით და უამრავ სხვა პრობლემებთან დაკავშირებით. ძალიან ხშირად ხელისუფლება საზოგადოების ინტერესებიდან კი არ გამოდის, არამედ გამოდის ვიწრო ჯგუფების ინტერესებიდან და ხალხი რჩება ყოველთვის იგნორირებული. ამიტომაც არის, რომ ჩვენი ქვეყნის სწორ განვითარებას არ ადგას საშველი და ის სტაგნაცია, რაც დღეს ქვეყანაში არის, უძრაობა, რომელიც ქვეყანაში ძალიან გამოკვეთილია, სწორედ აქედანა რის გამომდინარე, რომ ვერ ვითარდება ქვეყანა. ხელისუფლება არ არის მორგებული ქვეყნის განვითარებაზე. ის ფიქრობს იმას, როგორ შეინარჩუნოს ძალაუფლება და რაც შეიძლება მეტი ხნით. აი ეს არის დღეს მათი საზრუნავი, როგორ დაიცვან საკუთარი ქონება. სწორე დეს არის ჩვენი ქვეყნის სერიოზული პრობლემა და მე რ ვიცი, როგორ შეძლებს საქართველო ამ უაღრესად მძიმე მდგომარეობიდან გამოსვლას. ან როგორ მოახერხებს იმას, რომ ჩატარდეს ისეთი არჩევნები, სადაც არჩეული იქნება ისეთი ხელისუფლება, რომელიც ხალხზე იქნება ორიენტირებული და არა საკუთარ კეთილდღეობაზე.— როგორ ფიქრობთ, ამ არჩევნების წინ რამდენად წამგებიან სიტუაციაში იყენებს ხელისუფლება თავს და რამდენად აისახება ეს ყველაფერი არჩევნების შედეგებზე?— საკუთარი ამომრჩევლების წინაშე, რა თქმა უნდა, ძალიან მძიმე მდგომარეობაში იყენებს თავს. თუმცა ვინაიდან ამ ქვეყანაში ამომრჩევლები უკვე არაფერს წყვეტენ და ამას წყვეტს დასავლეთი, ის ცნობს ამ არჩევნებს თუ არ ცნობს, აქედან გამომდინარე, წამგებიან სიტუაციაში არ იყენებს, თორემ ქვეყნის შიგნით, რა თქმა უნდა, კარგავს ამომრჩევლის ნდობას. ხალხი ხედავს იგნორირებას ხელისუფლების მხრიდან, ასევე ხედავს იგნორირებას მათთვის ყველაზე სანდო და საყვარელი ადამიანის — პატრიარქის მიმართ. რელიგიაზე და რწმენაზე ფუნდამენტური მიჯაჭვულობა აქვს ამასთან და როცა ხალხი ხედავს, რომ ხელისუფლებას ასეთი დამოკიდებულება აქვს პატრიარქის მიმართ, ბუნებრივია ასეთი ხელისუფლების მიმართ არანაირი ნდობა არ იარსებებს და აღარც აქვს ხალხს ეს ნდობა! ძალიან სწრაფად მოხდა იმ ნდობის დაკარგვა, რაც თავიდან ქართულ ოცნებას ჰქონდა. ერთადერთი, რის გამოც შეიძლება ხალხმა ხმა მისცეს მათ არის, ის რომ ოპოზიციაში ჰყავთ ნაციონალური მოძრაობა. აი, ეს ფაქტორი რომ არ არსებობდეს და ნაციონალური მოძრაობა, რომ არ იყოს ნომერ პირველი ოპოზიცია, როგორც თავად შექმნეს დაარქვეს, მაშინ, რა თქმა უნდა, კიდევ უფრო მკაფიო და მკვეთრად გამოკვეთილი უარყოფითი დამოკიდებულება ექნებოდა საზოგადოებას. იმის შიშით, რომ ვაიდა ნაციონალები არ მობრუნდნენ, ხალხი ისევ ამ ძალას არ უწყობს ისეთ საპროტესტო აქციებს ადა ასე შემდეგ, როგორსაც ნაციონალების შემთხვევაში ჰქონდა ადგილი. აი, ეს არის ის სამწუხარო რეალობა, რომელშიც ჩვენ მოგვიწია ცხოვრება. იმის ძალა და რესურსიც აღარ დარჩა ქვეყანაში, რომ იბრძოლო ნორმალური ძალის შესაქმნელად, რომელიც ქვეყნის განვითარებაზე იქნება ორიენტირებული.



### შესწორება

„ახალი თაობის“ გუშინდელ ნომერში ექსპერტ სოსო ცისკარიშვილთან ინტერვიუში გაიპარა შეცდომა, ნაცვლად პლანეტის 10%-ისა, გამოყენებული იყო სიტყვა პარლამენტის 10%.

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, განმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის განმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება. საჭირო გამოკვლევები უფასოა! ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0. ქ-ნი მარიამი

☎ 599-90-54-78, 234-02-38

# დავით უსუფაშვილი: „სად წერია ქრისტიანულ მოძღვრებაში, რომ ძალადობა არის სიკეთე“

## თენგიზ კიტოვანი პარლამენტში შეჭრით იმუქრება

შორენა მარსაგიშვილი

**ანტიდისკრიმინაციული კანონის გარშემო კვლავ დიდი წივილ-კივილია. მთავრობა და პარლამენტი პოზიციების დათმობას არ აპირებს. სასულიერო პირების ნაწილი კი დეპუტატებს ანათემაზე გადაცემით ემუქრება.**

ქუთაისში, პარლამენტის შენობის წინ სასულიერო პირებმა გუშინ კიდევ ერთი აქცია გამართეს. მათ აქციაზე პლაკატი დაწვეს, რომელზეც ლენინი, მარქსი, ენგელსი, სააკაშვილი, ივანიშვილი, შევარდნაძე იყვნენ გამოსახული.

საგანგებო პრესკონფერენცია გამართა თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა თენგიზ კიტოვანმა. ის თვლის, რომ „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კანონის“ მიღება დაუშვებელია და საქართველოსთვის დამღუპველია. კანონის მიღების შემთხვევაში ნამინისტრალი ომის ვარაუდობს.

– ამ კანონის მიღება გამოიწვევს უდიდეს ომს, პირდაპირ ვამბობ – ეს იქნება ომი – პარლამენტის შემოღებული კანონით. მივმართავ უსუფაშვილს და მის მეუღლეს, რომლებიც ასე მონდომებული არიან – არ დაუშვათ ამ კანონის მიღება!, – განაცხადა თენგიზ კიტოვანმა.

ყოფილი მინისტრი დეპუტატებს თავ-პირის დამტვრევასაც უპირებს და პარლამენტში შეჭრითაც იმუქრება.

– ეს კანონპროექტი ქართველი ერის შეურაცხყოფაა! კავკასიაში ასეთი რამ არ მომხდარა და არც მოხდება. ქართველი კაცის შემარცხვენელი კანონის მიღებას არ დავუშვებ! პირველი ჩვენ დავიწყებთ ომს ამ კანონის საწინააღმდეგოდ, პარლამენტში შევალთ, ცხვირ-პირს დავუმტვრევთ და ისე გამოვყრით ყველას, არც მომერიდება არაფრის! – განაცხადა თენგიზ კიტოვანმა „რეპორტიორში“ სტუმრობისას.

თენგიზ კიტოვანი სავარაუდოდ ქუთაისის პარლამენტის შენობაზე აპირებს შტურმის დაწყებას. რადგანაც დეპუტატები ამჟამად იქ სხედან. ნამინისტრალის მიზანს კი ამ ეტაპზე მათი დაწიოკებაა.

დეპუტატებს პარლამენტიდან თმებით გამოთრევით რამდენიმე სასულიერო პირიც ემუქრება. ანათემაზე გადაცემაც ძალაშია.

ეს მუქარა გულად კანონმდებლებს არ აშინებს. მათი განცხადებით, რაც არ უნდა მოხდეს ეს კანონი სამივე მოსმენით ამ კვირაშივე იქნება მიღებული. ეს ინფორმაცია გუშინ პარლამენტის თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმაც დაადასტურა.

პარლამენტის სპიკერი ამ საკითხს ჯერ კიდევ მოლდოვაში გამოეხმაურა. გუშინ კი საგანგებო პრესკონფერენცია გამართა, სადაც რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხზე ისაუბრა.

არანაკლები მღელვარებაა ატეხილი საზოგადოებრივი მაუწყებლის შესახებ კანონზეც. უსუფაშვილი უკმაყოფილოა იმ პროცესებით, რაც საზოგადოებრივი მაუწყებლის გარშემო ვითარდება.

– მინდა გესაუბროთ „საზოგადოებრივი მაუწყებლის შესახებ“ კანონში ცვლილებების თაობაზე კანონპროექტზე. ამ თემაზე მოვლენები განვითარდა ისე, როგორც არ უნდა განვითარებულიყო. ჩვენ ვერ შევძელით პირველი კონკურის დროს სამეურვეო საბჭოს დაკომპლექტება, ამან გამოიწვია გარკვეული გართულებები. შემდეგ ამას მოჰყვა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლის თაობაზე ჩვენ, უმრავლესობამ გამოვაცხადეთ, რომ არ ვიზიარებთ, მაგრამ პატივს ვცემთ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას. ამიტომ ცვლილებების პროექტი შედგენილია სწორედ იმგვარად, რომ ერთი მხრივ, არ შეჩერდეს საზოგადოებრივი მაუწყებლის რეფორმირების პროცესი და მეორე მხრივ, არ შეილახოს ის უფლებები, რომელსაც საკონსტიტუციო სასამართლო ბრძანებს გარკვეული ვადით საჯარო სამსახურთან გათანაბრებულ სამსახურში მყოფი პირების თაობაზე. სასამართლო ბრძანებდა, რომ თუ იქნებოდა უკეთესი დასაბუთება იმის თაობაზე, თუ რატომ ვერ შეძლებდა ძველი სამეურვეო საბჭო მუშაობის გაგრძელებას, მაშინ მას პრობლემები არ ექნებოდა, ამიტომ ჩვენ განმარტებით ბარათში ძალიან მკაფიოდ მივუთითებთ მარტივ ჭეშმარიტებას, რაც ყველამ იცის – მხოლოდ ერთი წლის განმავლობაში იმ სამეურვეო საბჭომ, რომელიც ტელევიზიას ხელმძღვანელობდა, ორჯერ შეძლო მის მიერ არჩეული გენერალური დირექტორის უკანონო გზებით თანამდებობიდან გათავისუფლება. ასეთ სამეურვეო საბჭოს მომავალში ტელევიზიის მართვას ვერ ვანდობთ. ამიტომ შემოთავაზებული პროექტით მართვა გადადის ახლად არჩეული სამეურვეო საბჭოს ხელში. რაც შეეხება საბჭოს ძველ წევრებს, ისინი რჩებიან ტელევიზიის მართვის სისტემაში, მაგრამ მონიტორინგის ძალიან მნიშვნელოვანი ფუნქციით, ისეთი ფუნქციით, რომელიც მათ დღესაც არ აქვთ. შეგახსენებთ, ეს საბჭო პირველი იანვრიდან მოქმედებს როგორც სარეკომენდაციო ორგანო და საკონსტიტუციო სასამართლოს ამ კონკრეტულ საკითხზე, რომ მათი უფლებამოსილება შეიცვალა და მართვის ნაცვლად სარეკომენდაციო ფუნქციები აქვთ, არანაირი პრეტენზია არ ჰქონია. ასე რომ, ყოველგვარი სპეკულაციები იმის შესახებ, რომ ჩვენ რაიმეს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების წინააღმდეგ ვაკეთებთ, ასე არ არის. მათ შეუნარჩუნდებათ ხელფასი, ოდნავ ნაკლები, მაგრამ მაინც და გააგრძელებენ მუშაობას, თუ ამის სურვილი აქვთ, – განაცხადა უსუფაშვილმა.

ხმაური და წივილ-კივილია ატეხილი უკანონო მოსმენებთან დაკავშირებით. ნაცმოძი და გოგა ხაჩიძე ამტკიცებენ, რომ ხელისუფლება ფარულ მოსმენებს ახორციელებს.

გუშინ პრემიერმა ირაკლი ღარიბაშვილმა პარლამენტს მოუწოდა მოსმენებთან დაკავშირებული კანონპროექტი მაქსიმალურად მოკლე ვადაში მიიღოს. მთავრობის მეთაურმა მოსმენებთან დაკავშირებულ კანონპროექტზე მუშაობის დეტალები განმარტა და განაცხადა, რომ ბიძინა ივანიშვილის დავალებით, სპეციალურმა უწყებათაშორისმა კომისიამ ამ საკითხზე მუშაობა ჯერ კიდევ გასულ წელს დაიწყო

დავით უსუფაშვილის განმარტებით, ფარულ მოსმენებთან დაკავშირებით კანონპროექტებს პარლამენტი პირველი მოსმენით, 15-16 მაისამდე მიიღებს.

– მოსმენებთან დაკავშირებით კანონპროექტი იყო ინიცირებული შარშან ზაფხულში. ამ პროექტზე შემდეგ ძალიან ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობდა, ჩვენ იგი გავაგზავნეთ ევროსაბჭოში ექსპერტიზისთვის, მოვიწვიეთ რამდენიმე ექსპერტი საქართველოში. მარტის განმავლობაში რამდენიმე ღონისძიება გაიმართა. განსაკუთრებით პროდუქტიული იყო აპრილში პარლამენტის იურიდიული კომიტეტის წარმომადგენლებისა და პროკურატურის, შს და იუსტიციის სამინისტროების, ასევე პრემიერ-მინისტრის აპარატის, უსაფრთხოების საბჭოს წარმომადგენლების ერთობლივი მუშაობა. დღეისთვის ჩვენ შეგვიძლია ხმამაღლა განვაცხადოთ, რომ უმრავლეს საკითხებში, 90-95% საკითხებში მიღწეულია შეთანხმებები იმისთვის, რომ საქართველოში დასრულდეს საუბარიც კი იმის თაობაზე, ვინმე ვინმეს უკანონოდ ხომ არ უსმენს. დღეს ჩვენ შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ 15-16 მაისამდე, სანამ პარლამენტი ერთთვიან შესვენებას გამოაცხადებს არჩევნების გამო, ჩვენ ძალიან დიდი ალბათობით, პირველი მოსმენით მაინც მივიღებთ 6-7 კანონპროექტიდან უმრავლესობას, – განაცხადა უსუფაშვილმა.

სპიკერის ინფორმაციით, ერთი საკითხი რჩება, რომელზეც ტექნოლოგიური პრობლემების გამო დამატებით ექსპერტიზას საჭიროებს.

– სხვა საკითხებზე სწორედ ევროპული სტანდარტების შესაბამისად, ჩვენ მივიღებთ გადაწყვეტილებებს, – განაცხადა უსუფაშვილმა.






მან მადლობა გადაუხადა იურიდიული კომიტეტის წარმომადგენლებს, შს სამინისტროს, პროკურატურას, არასამთავრობოებს, პრემიერის მრჩეველს უსაფრთხოების საკითხებში მინდია ჯანელიძეს, რომელიც კოორდინაციას უწევდა მთავრობის მხრიდან მუშაობას. ნაციონალებმა კი მისი მადლობა ვერ დაიმსახურეს.

– ცხადია, ჩემი მადლობა არ და ვერ ეხება ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლებს, რომლებიც ბოლო ხანებში სულ უფრო და უფრო ხმამაღლა გვიკიჟინებენ იმის შესახებ, ჩვენ მიერ შექმნილ რეპრესიების მანქანას რატომ უფრო სწრაფად არ ანგრევთო. იმდენი რამ არასწორად გააკეთეს, ამის სწორად შეცვლას დიდი დრო სჭირდება, – განაცხადა უსუფაშვილმა.

ყველაზე დიდი ყურადღება უსუფაშვილმა ანტიდისკრიმინაციულ კანონს დაუთმო. ის საზოგადოებას მიმართავს, ანტიდისკრიმინაციულ პაკეტთან დაკავშირებით გარკვეული ჯგუფების სპეკულაციას არ წამოეგოს.

– ის, რაც საკითხის გარშემო ხდება ან არაინფორმირებულობის ბრალია, ან პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე, ადგილი აქვს პროცესების სხვა მიმართულებით გადატანის მცდელობას, – მიიჩნევს სპიკერი.

აღელვებული საზოგადოების გასაგონად მან განმარტა, რომ ტერმინი „სექსუალური ორიენტაცია“ კანონმდებლობაში 1997 წლიდან არსებობს და ამ მხრივ საკანონმდებლო სივრცეში ახალი არაფერი შემოდის.

– არასწორია იმის მტკიცება, რომ პარლამენტს ამ კანონპროექტით ახალი ტერმინები შემოაქვს საკანონმდებლო სივრცეში – „სექსუალური ორტონეტაცია“ და „გენდერული იდენტობა“, რაზეც აჟიტირებენ ჩვენი პოლიტიკური ოპონენტები გარკვეული წრეებიდან და სამწუხაროდ, ეს ინფორმაცია გავრცელდა საზოგადოებაშიც. ტერმინი „სექსუალური ორიენტაცია“ და ამ ნიშნის გამო დისკრიმინაციის დაუშვებლობა საქართველოს კანონმდებლობაში გვხვდება 1997 წლიდან მოყოლებული. 1997 წელს ჩაიწერა, რომ ამ ნიშნით დაუშვებელია პაციენტის დისკრიმინაცია და სამედიცინო პერსონალის მხრიდან მისთვის არასათანადო ყურადღების არმიპყრობა. ეს საკითხი განვითარდა და 2004 წელს, „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ შესახებ კანონში ჩაიწერა, რომ მაუწყებელს, ყველა ტელევიზიას ეკრძალება ისეთი პროგრამების გადაცემა, რომელიც მიმართულია პირის ან ჯგუფის ფიზიკური შესაძლებლობების, რელიგიის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის თუ სხვა სტატუსის გამო შეურაცხყოფისკენ. მაშინ პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე ბრძანდებოდა – იმ პოლიტიკური გაერთიანების ლიდერი, რომლის მერობის კანდიდატიც საუბრობს იმაზე, რომ თითქოს ჩვენ რაიმე ახალი ტერმინი შემოგვაქვს და ამით რაღაც ახალს ვაკანონებთ. ეს საკითხი განვითარდა „შრომის კოდექსში“, სადაც ჩაიწერა, რომ შრომით ურთიერთობებში აკრძალულია ნებისმიერი სახით დისკრიმინაცია, მათ შორის სექსუალური ორიენტაციის ნიშნით, – განაცხადა დავით უსუფაშვილმა.

ანტიდისკრიმინაციული კანონის განხილვაში სასულიერო პირებიც მონაწილეობდნენ. რამდენიმე დღის წინ პარლამენტის კომიტეტის სხდომაზე დიდი ხმაურიც იყო. დეპუტატმა თამარ კორძაიამ განაცხადა რომ სასულიერო პირები მათზე ზეწოლას ახორციელებდნენ.

გუშინ უსუფაშვილს ამ თემაზეც დაუსვეს კითხვა. სპიკერის პოზიცია ასეთია –

მოვახერხოთ ის, რომ ქვეწოლის მდგომარეობაში არ ვიყოთ და ზეწოლაც არ განხორციელდება.

– პარლამენტი ის ადგილია, სადაც ყველა შეხედულება უნდა გამოითქვას თამამად, მათ შორის, შესაძლოა, 3 საათი ვუსმენდე მე პარლამენტის სხდომათა დარბაზში ისეთ გამოსვლებს, რომელთაც არ ვეთანხმები, მაგრამ ვინაიდან აქვს იმას, ვისაც არ ვეთანხმები კიდევ 5 წუთი, ველოდები 5 წუთს და კიდევ 5 წუთს ვაძლევ, თუკი ეს ეკუთვნით. სხვას თუ ვუწუნებთ იმას, რატომ არიან კატეგორიულები, რატომ ითხოვენ რაღაცას კატეგორიული მეთოდებით, ნურც ჩვენ მოვიქცევით ასე. რას ნიშნავს ზეწოლა? ზეწოლის მცდელობა? მოვახერხოთ ის, რომ ქვეწოლის მდგომარეობაში არ ვიყოთ და ზეწოლაც არ განხორციელდება. ეს, მე მგონი, არ არის ცალმხრივი აქტი. ამიტომ ჩვენ უნდა მოვუსმინოთ ყველას და მივიღოთ გადაწყვეტილებები, რისიც გვჯერა და რაც მნიშვნელოვანია ქვეყნისთვის. ეს ერთ-ერთი ის თემაა, რაც მნიშვნელოვანია არა მარტო იმიტომ, რომ ევროპაში ასეა მიღებული. მე მგონი, ჩვენ გვინდა ის ქვეყანა, სადაც ძალადობა არის დაუშვებელი, თორემ თუ ერთი კონკრეტული ნიშნის გამო ძალადობა არის დაშვებული, შემდეგ ეს ნიშნები გაფართოვდება. ჩვენ ის სახელმწიფო არ მოგვწონდა, სადაც პოლიტიკური ნიშნით დევნიდნენ ადამიანებს. ახლა არ გვინდა ეს ამბავი. გვეუბნებიან, ქვეყანას წინ წაიყვანს ის, რომ თუკი ადამიანს, რომელსაც ცხოვრებაზე განსხვავებული შეხედულებები, განსხვავებული ფიზიკური მონაცემები და სურვილები აქვს, უნდა ვცემოთ, სამსახურში არ მივიღოთ, წავიდეთ და წავშალოთ წინა წლებში ამ საკითხზე მიღებული კანონებიც. ამომრჩეველი ამას უჭერს მხარს?! ვინმემ მაჩვენოს, სად წერია ქრისტიანულ მოძღვრებაში, რომ ძალადობა არის სიკეთე, ხოლო სიყვარული და შემწყნარებლობა არის ცოდვა. მგონია, რომ მთავარი ცოდვა არის სიცრუე. სიცრუით არის დაკავებული ძალიან ბევრი და ატყუებს სხვასაც“, – განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარემ.

კანონთან დაკავშირებით განცხადება გააკეთა საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა.

– ამ კანონით ჩვენ ვხდებით ბევრად უკეთესი საზოგადოება. იმის მაგივრად, რომ ერთმანეთს გავუფრთხილდეთ და ერთიანი საზოგადოება შევქმნათ, მუდმივად ვცდილობთ გამოვყოთ რაღაც ჯგუფი და მას დავუპირისპირდეთ. რადიკალურ ჯგუფებს ყოველთვის გააჩნიათ რადიკალური შეხედულებები. აქ მნიშვნელოვანია მთელი საზოგადოების შეხედულებები. ეს კანონი ბევრი მიზეზიდან გამომდინარეა საჭირო. ერთ-ერთი მიზეზი ასოცირების ხელშეკრულებაა, მაგრამ ეს არის უფრო პოლიტიკური და საერთაშორისო პოლიტიკის საკითხი. მინდა მოგახსენოთ როგორც ამ ქვეყნის მოქალაქემ, როგორც ქრისტიანმა, როგორც ქართველმა, როგორც იმ ადამიანმა, ვისთვისაც მნიშვნელოვანია, როგორ იქნება საზოგადოება ორგანიზებული, რომ ადამიანის რაიმე ნიშნის გამოყოფის და დაჩაგვრის აღკვეთაა სწორედ ქრისტიანული ღირებულებების განხორციელება. მე იმ რელიგიას ვეკუთვნი, რომელშიც არის ნათქვამი, „ვინც არის უცოდველი, მან პირველმა ესროლოს ქვა.“ ეს ის რელიგია, რომლის მთავარი აქცენტი მოყვასის სიყვარულია, არამედ მტრის შეყვარებაზე.

ნებისმიერი ჩაგვრა, ნებისმიერი ჩაგვრის ლეგიტიმაცია მიუღებელია. ეს ქვეყანა სწორედ ამ სავიზიტო ბარათით მოვიდა, რომ ამ ქვეყანაში განსხვავებული არ იჩაგრება. ალბათ მეტად იყო საჭირო საზოგადოების ინფორმირებულობა. დარწმუნებული ვარ, რომ აქ ცნებათა აღრევა ხდება. აქ ლაპარაკია იმაზე, რომ არ შეიძლება დაჩაგრო სხვა ადამიანი. აქ არ არის ლაპარაკი მორალური ღირებულებების გადასინჯვაზე, რელიგიური შეხედულებების გადასინჯვაზე, – განაცხადა გიორგი მარგველაშვილმა.

დავით უსუფაშვილის განმარტებით, ანტიდისკრიმინაციულ კანონს პარლამენტი ამ კვირაში მიიღებს. გუშინვე პარლამენტში ანტიდისკრიმინაციულ კანონპროექტზე სასულიერო პირებისა და მმართველი გუნდის დახურული შეხვედრა გაიმართა.

შეხვედრის შემდეგ ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელიამ ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა, შეხვედრაზე სასულიერო პირებს ანტიდისკრიმინაციული კანონპროექტის ძირითადი ასპექტები დაწვრილებით განუმარტეს.

– მეორე მოსმენით განხილვისთვის გარკვეული ცვლილებები მზადდება პროექტში, კერძოდ, მესამე მუხლის ჩამონათვალში, სადაც იყო კონკრეტული სფეროები. სკოლა, საგანმანათლებლო დაწესებულებები ამოღებულია. ასევე მზადდება ცვლილება იმ ნორმის, რომელიც ფართო ინტერპრეტაციის საშუალებას იძლეოდა. ეს არის მეორე მუხლის მეხუთე ნაწილი, რომელიც შეიძლება მთლიანად იყოს ამოღებული. ვფიქრობ, დღევანდელი სხდომა საკმაოდ მნიშვნელოვანი და საჭირო იყო იმისთვის, რომ საზოგადოება გარკვეულიყო კანონპროექტის ძირითად არსში, – განაცხადა ეკა ბესელიამ.

მმართველ გუნდსა და სასულიერო პირებს შორის დახურულ კარს მიღმა შეხვედრა პარლამენტში სამი საათის განმავლობაში გრძელდებოდა.

## სტუდენტებს ანტინარკოტიკული კამპანია და „ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების შესახებ“ კანონი გააცნეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები, ანტინარკოტიკული კამპანიის ფარგლებში, თბილისში, კავკასიის უნივერსიტეტის სტუდენტებს შეხვდნენ. მათ სტუდენტებს ე.წ. „ბიო“-ს მოხმარების წინააღმდეგ შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ დაწყებული კამპანიის მიზანი და მნიშვნელობა გააცნეს და აცნობეს, რომ დღეიდან ძალაში შევიდა კანონი „ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების შესახებ“, რომელიც შსს-ს ინიციატივით შეიქმნა.

შსს-ს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის სამმართველოს უფროსმა სოფო კილაძემ მოსწავლეებს განუმარტა, რომ კანონის თანახმად იკრძალება ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების დამზადება, წარმოება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება, საქართველოს ტერიტორიაზე უკანონოდ შემოტანა ან უკანონოდ გატანა, შესაბამისად, მსგავსი ქმედება სისხლის სამართლის წესით დაისჯება.

შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში ჩატარდა. შსს-ს წარმომადგენლებმა მოსწავლეებისთვის საინტერესო შეკითხვებს ამომწურავად უპასუხეს.

შსს-ს პრესსამსახურის ინფორმაციით, მოზარდებს ე.წ. ბიონარკოტიკების მოხმარების მავნე ზეგავლენის შესახებ ნარკოლოგი ზურაბ სიხარულიძე ესაუბრა.

შსს-ს წარმომადგენლებმა მოსწავლეებს ანტინარკოტიკული კამპანიის ფარგლებში გადაღებული საინფორმაციო ვიდეორგოლები უჩვენეს, რომლებშიც სხვადასხვა პროფილის ექიმები ე.წ. ბიონარკოტიკის მოხმარებით გამოწვეულ საფრთხეებზე საუბრობენ. კამპანიის სლოგანია „ერთად შევცვალოთ დამოკიდებულება“, მიზანი კი, ე.წ. ბიონარკოტიკის გამოყენების პრევენცია და საზოგადოების ინფორმირებაა

მედიანიუსი

## პრემიერ-მინისტრი ჯეიმს აპატურაის შეხვდა



კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში ნატო-ს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი ჯეიმს აპატურაი საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს შეხვდა. აპატურაის განცხადებით, მან პრემიერს მთავრობის მიერ ბოლო პერიოდში განხორციელებული რეფორმები მოუწონა. მისივე თქმით, შეხვედრაზე მხარეებმა იმსჯელეს იმაზე, თუ როგორ შეიძლება ეს პროგრესი ნატო-ს გადაწყვეტილებაზე აისახოს.

ჯეიმს აპატურაის თქმით, ნატო საქართველოს რუსეთთან აქტიურ დიალოგს მტკიცედ უჭერს მხარს და მიიჩნევს, რომ ეს დაძაბულობის შესამცირებლად საუკეთესო გზაა.

პრემიერ-მინისტრის პრესსამსახურის ინფორმაციით, შეხვედრაზე ნატო-ს ბრიუსელის მინისტერიალსა და უელსის სამიტთან დაკავშირებული საკითხები განიხილეს. საუბარი შეეხო ნატო-ში ინტეგრაციის გზაზე საქართველოს მიერ მიღწეულ პროგრესსაც და ხაზგასმით აღინიშნა ამ მიმართულებით განხორციელებული რეფორმების მნიშვნელობა.

ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, საქართველო, როგორც ასპირანტი ქვეყანა, ნატო-სთან ურთიერთობებში ახალ ეტაპზე გადასვლას ელოდება, რაც ქვეყანაში დემოკრატიის შემდგომ კონსოლიდაციას შეუწყობს ხელს.

საქართველოს მთავრობის მეთაურთან შეხვედრას ნატო-ს საერთაშორისო სამსახურის პოლიტიკურ საკითხთა და უსაფრთხოების პოლიტიკის განყოფილების წარმომადგენელი კრისტიან მესაროში, ნატო-ს სამეკავშირეო ოფისის ხელმძღვანელი უილიამ ლაჰიუ, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე, საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი ნატო-ში ლევან დოლიძე და მთავრობის კანცელარიის უფროსის მოადგილე ნინო კობახიძე დაესწრნენ.

ნიუსპრესი

## გოგა ხაჩიძე პრემიერს ურჩევს, არასამთავრობოებზე თავდასხმას თავი დაანებოს



საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენელი გოგა ხაჩიძე პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვლს ურჩევს, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებზე თავდასხმას თავი დაანებოს. მისი თქმით, ფაქტია რომ, ყველას უსმენენ. ამის შესახებ ხაჩიძემ პრემიერის განცხადების კომენტირებისას აღნიშნა, სადაც ღარიბაშვილი ამბობს, რომ კამპანია „ეს შენ გეხება-ისევ გვისმენენ“ ქვეყნის წინააღმდეგაა მიმართული და კამპანიის ფარგლებში არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობა ქვეყნისთვის ძირგამომთხრელია.

„თუ ეს ხალხი ძირგამომთხრელ საქმიანობას ეწევა, მაშინ რატომ გასცემს განკარგულებებს პრემიერი, რომ რაც შეიძლება ჩქარა მიიღონ ის კანონი, რომელიც თურმე ამ ძირგამომთხრელ საქმიანობას ემსახურება?! ის, რომ ყველას გვისმენენ ფაქტია“ – აცხადებს ხაჩიძე.

კამპანიის შესახებ კომენტარი პრემიერმა დღეს მთავრობის სხდომაზე გააკეთა. „მიზანმიმართული კამპანია, რომ დღეს ყველას უსმენენ სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულია და ამის არავითარი საჭიროება არ არსებობს. არსებობს მტკიცე პოლიტიკური ნება და ეს მანკიერი პრაქტიკა ალმოიფხვრა. ჩვენი კარი ღიაა და მოვუწოდებ ამ ადამიანებს, ღია კარის მტვრევა საჭირო არ არის“ – აღნიშნა მან.

ნიუსპრესი

# არასამთავრობოები ირაკლი ღარიბაშვილის წინააღმდეგ

შორენა გონგლაძე



არასამთავრობო ორგანიზაცია „სამართლიანი არჩევნებისათვის“ აღმასრულებელი დირექტორი ნინო ლომჯარია პრემიერ-მინისტრის განცხადებას ეხმაურება, სადაც ღარიბაშვილი ამბობს, რომ ქვეყნის წინააღმდეგ ხორციელდება ძირგამომთხრელი მიზანმიმართული კამპანია, როდესაც ამბობენ, რომ დღეს ყველას უსმენენ. მისი თქმით, ამით ქვეყანას ზიანი ადგება. როგორც ლომჯარია განმარტავს, პრემიერი საზოგადოებრივი აზრის ფორმირებას ცდილობს, რომ მათი საქმიანობა პოლიტიზებულია და „ნაციონალურ მოძრაობასთან“ ასოცირდება.

ლომჯარიას თქმით, შესაძლოა, პრემიერი ანტიდისკრიმინაციული კანონპროექტის ირგვლივ საზოგადოებაში ხელისუფლების მიმართ არსებული ნეგატიური განწყობების არასამთავრობო სექტორზე გადატანას ცდილობს.

– მიუხედავად იმისა, რომ არასამთავრობო სექტორს მუდმივად გვაკრიტიკებდნენ, ასეთი მძაფრი განცხადებები არ გაკეთებულა არც ერთი ხელისუფლების პირობებში. შეიძლება, ვივარაუდოთ, რომ პრემიერის განცხადება ანტიდისკრიმინაციული კანონპროექტის გამო საზოგადოებაში შექმნილ ვითარებას უკავშირდებოდეს და პრემიერი ცდილობდეს, ეს არასამთავრობო სექტორს დააბრალოს, რომ საზოგადოების ნეგატიური განწყობები ჩვენზე გადმოვიდეს ხელისუფლების ნაცვლად – მისივე თქმით, პრემიერმა აუცილებლად უნდა გააკეთოს ახსნა-განმარტებები იმ ცრუ ინფორმაციებთან დაკავშირებით, რაც მან გაავრცელა.

– მისი განცხადება იმის შესახებ, რომ „ეს შენ გეხებას“ კამპანია „ნაციონალურ მოძრაობასთან“ ერთად მომზადდა, ტყუილია და მისი ერთ-ერთი ინიციატორი ჩვენთან ერთად იყო მათი კოალიციის წარმომადგენელიც. ამასთან, სახელმწიფოს ძირგამომთხრელია სწორედ ის, რომ დემოკრატიული ქვეყნის ლიდერი შეგნებულად ავრცელებს მაკომპრომეტირებელ ინფორმაციას საზოგადოების ერთ-ერთი ყველაზე უფრო ჯანსაღი ნაწილის წინააღმდეგ. საქართველოს პრემიერ-მინისტრისგან მოვისმინეთ ტოტალიტარული სახელმწიფოს მეთაურის რიტორიკა, ასე საუბრობს დღეს პუტინი არასამთავრობო სექტორზე. მისივე თქმით, ამ კამპანიას დღესაც იგივე არასამთავრობო ორგანიზაციები აწარმოებენ, რომლებიც ორი წლის წინ; აღნიშნულ კამპანიას წინა ხელისუფლების მისამართით ახორციელებდნენ და პრემიერ-მინისტრმა კარგად იცის, რომ ისინი „ნაციონალურ მოძრაობასთან“ დაკავშირებული არ არიან.

– პრემიერ-მინისტრმა იცის, კონკრეტულად რომელი ორგანიზაციები დგანან ამ კამპანიის უკან და მან ნამდვილად იცის, რომ ეს არ არის „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ წამოწყებული კამპანია და იგი არ დაწყებულა დღეს, არამედ ორი წლის წინაც. მაშინდელი ხელისუფლების წინააღმდეგ საკმაოდ ეფექტური კამპანია ვაწარმოეთ. ჩვენ ეს კამპანია ხელახლა არ დაგვიწყია დაუყოვნებლივ, ხელისუფლების შეცვლიდან. ერთი წელი ვუყურებდით, როგორ მიმდინარეობდა კანონპროექტის განხილვა და ვხედავდით, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო, ფაქტობრივად, ბლოკავდა მის მიღებას. როცა დავინახეთ, რომ არანაირი პოზიტივი ამ მიმართულებით არ არის და ხელისუფლება არ აპირებს არსებული პრაქტიკის შეცვლას, მას შემდეგ დავიწყეთ კამპანია „ეს შენ გეხება – ისევ გვისმენენ“, თორემ ახლაც მზად ვართ და ერთი წლის წინაც მზად ვიყავით, კონსტრუქციულად გვეთანამშრომლა მათთან, – განაცხადა ლომჯარიამ.

ლომჯარიას განცხადებით, სახელმწიფოსთვის საზიანო და ძირის გამომთხრელია სწორედ პრემიერ-მინისტრის დღევანდელი განცხადება და არა კამპანია – „ეს შენ გეხება“.

– როდესაც დემოკრატიული ქვეყნის ლიდერი მსგავსი ტიპის განცხადებას აკეთებს საზოგადოების ერთ-ერთ ყველაზე ჯანსაღი ფენის წარმომადგენლებზე – არასამთავრობო სექტორზე, მე ვფიქრობ, სწორედ ესაა ქვეყნისთვის ძირის გამომთხრელი განცხადება. დღეს, როდესაც ასეთი ბრძოლა მიდის დასავლურ და რუსულ ღირებულებებს შორის და ჩვენ წარმოვადგენთ სწორედ იმ ნაწილს, რომელიც დასავლურ ფასეულობებს იზიარებს, სახელმწიფოს მეთაური გამოდის და ჯანსაღი ძალების მისამართით ამბობს, რომ ისინი ძირის გამომთხრელ საქმიანობას ეწევიან – სწორედ ეს არის ქვეყნისთვის ძირის გამომთხრელი და სამარცხვინო შეფასება პრემიერის მხრიდან. – განაცხადა ნინო ლომჯარიამ.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის სხდომაზე განაცხადა, კამპანია, რომ დღეს ყველას უსმენენ, სახელმწიფოს წინააღმდეგ არის მიმართული.

მთავრობის მეთაურის შეფასებით, მოქალაქეების დარწმუნება იმაში, რომ დღეს ყველას უსმენენ, ქვეყნის იმიჯის ძირგამომთხრელ საქმიანობად შეიძლება შეფასდეს.

– „არასამთავრობოებისა და „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლების მიერ მაშინ წარმოდგენილი ვარიანტი კატასტროფის ტოლფასი იყო და საფრთხეს შეუქმნიდა მთლიანად სამართალდამცველი სისტემის, ქვეყნის უსაფრთხოების სისტემის გამართულ, ეფექტურ მუშაობას. ჩვენ ეს არ დავუშვით და დავიწყეთ აღნიშნული კანონპროექტის დამუშავება. ქვეყნის ინტერესებთან დაკავშირებულ კანონპროექტზე მუშაობისას სიჩქარე დაუშვებელია. – განაცხადა პრემიერმა.

როგორც ირაკლი ღარიბაშვილმა აღნიშნა, პირადი ცხოვრების ამსახველი ვიდეო და აუდიომასალის განადგურების ერთ-ერთი მთავარი ინიციატორი და პროცესის მონაწილე თავად იყო, მსგავსი ტიპის დანაშაულისთვის კი ბევრი ადამიანი დაისაჯა. პრემიერის შეფასებით, ხელისუფლებამ საქმით დაამტკიცა, რომ საქართველოში მოსმენების დრო დასრულდა.

# სასჯელაღსრულების დეპარტამენტის უფროსის მოადგილეს არაადამიანურ მოპყრობაში ადანაშაულებენ

შორენა გონგლაძე

რუსთავის მე-6 დაწესებულების პატიმარმა გენადი ჯელაძემ უკვე მესამე დღეა მშრალი შიმშილობა გამოაცხადა. ამ უკიდურესი ნაბიჯის მიზეზი გახდა ის, რომ 27 აპრილს, გამთენიისას, ციხის ადმინისტრაციამ პატიმარი ღირსების შემლახველ პირობებში, ტანშიშველი და ფეხშიშველი, ყოველგვარი განმარტების გარეშე მე-17 დაწესებულებიდან მე-6 დახურული ტიპის დაწესებულებაში გადაიყვანა.

პატიმრისა და მისი ოჯახის განმარტებით, ამის მიზეზი გახდა ის რომ, გენადი (გიორგი) ჯელაძემ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე შოთა თორაძის (ადრე №2 დაწესებულების უფროსი) წინააღმდეგ წამებისა და არაადამიანური მოპყრობის გამო საჩივარი დაწერა.

საჩივარი დასავლეთ საქართველოს სამხარეო პროკურატურაში გენადი ჯელაძემ 2013 წლის 8 აგვისტოს შეიტანა. მის სარჩელს გამოხმაურება პროკურატურიდან არ ჰქონია. ჯელაძე ამ ერთი წლის განმავლობაში წერილებით მიმართავდა სამხარეო პროკურატურას და რეაგირება მხოლოდ ახლახან, 2014 წლის 23 აპრილს მოხდა. ჯელაძე საქმესთან დაკავშირებით საკანში სამხარეო პროკურატურის გამომძიებელმა კახა კოტრიკაძე დაკითხა. ოჯახი ჯელაძისადმი სასჯელაღსრულების დეპარტამენტის უფროსის მოადგილის მხრიდან არაადამიანურ მოპყრობას სწორედ ამ ფაქტს უკავშირებს.

საქმე 2005 წელს მომხდარ წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტს ეხება. გენადი ჯელაძის წამების ფაქტი ოჯახმა გაასაჩივრა სტრასბურგის სასამართლოში და მოიგო. ამ დანაშაულისთვის სასჯელს უკვე იხდიან სასჯელაღსრულების ყოფილი თანამშრომლები – №6 დაწესებულების ყოფილი უფროსის მოადგილე ჯონი ივანიშვილი და რეჟიმის ყოფილი უფროსი ლაშა კაპანაძე, რომლებიც სასამართლომ დამნაშავედ ცნო და გენადი ჯელაძე დაზარალებულად აღიარა.

ამჟამად პატიმარი ითხოვს მის წამებაში მონაწილე დანარჩენი პირების შოთა თორაძის (№2 დაწესებულების ყოფილი უფროსი, ამჟამად კი სასჯელაღსრულების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე), გიორგი ონიანის, მ. ქარდავას და ბ. ახალაიას დასჯას. პატიმრის მეუღლე ლიკა ყაზბეგი და დედა დალი არჩვაძე აცხადებენ, რომ გენადი ჯელაძის მიერ წამების საჩივრის შეტანის გამო მასზე ხორციელდება ზეწოლა და ითხოვენ შესაბამისი უწყებებისგან მისი შვილის დაცვას.

პატიმარი, ადვოკატის თხოვნით, მოინახულა სახალხო დამცველის წარმომადგენელმა და ოქმში დააფიქსირა მის მიმართ ჩადენილი კანონდარღვევა. სახალხო დამცველის მიერ შედგენილ გამოკითხვის ოქმში ჯელაძემ დეტალურად აღწერა, თუ როგორ დამამცირებელ პირობებში მოხდა მისი გადაყვანა მე-6 დაწესებულებაში:

– დეპარტამენტის სამკურნალო ზ18 დაწესებულებიდან დროებით გადმოყვანილი ვიყავი ზ17 დაწესებულებაში, რადგან ზ18 დაწესებულებაში სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობდა. ვარ დიაბეტით დაავადებული პატიმარი და დღეში 4-ჯერ ინსულინის ინექციას ვიკეთებ. 2014 წლის 23 აპრილს ზ17 დაწესებულებაში ჩემთან ჩამოვიდნენ დასავლეთის საოლქო პროკურატურიდან და დამკითხეს ჩემი წამების ფაქტებზე, რომელიც 2005 წლის დეკემბრიდან მიმდინარეობდა/ დაკითხვისას დავაფიქსირე, რომ 2005 წელს ქ.ქუთაისის ციხის უფროსი შოთა თორაძე, ბაჩო ახალაიასთან, ქარდავასთან და გიორგი ონიანთან ერთად მცემდნენ, მაწამებდნენ.

დაკითხვის შემდეგ, 27 აპრილს, ყველანაირი მიზეზისა და ახსნა-განმარტების გარეშე, დილის 6 საათზე ჩამსვეს „სად“-ის მანქანაში, ბადრაგებთან ერთად, გამაშიშვლეს და ისე წამომიყვანეს ზ6 დაწესებულებაში. – აცხადებს პატიმარი.

როგორც პატიმრის ოჯახი აცხადებს, ჯელაძე დიაბეტით არის დაავადებული და ინსულინდამოკიდებულია (დღეში 4-ჯერ იკეთებდა ინსულინს). მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა უკიდურესად რთული და საგანგაშოა. პატიმრის დახურული ტიპის დაწესებულებაში გადაყვანა სიცოცხლისთვის საშიშია და შეიძლება, ფატალური შედეგით დასრულდეს, რაზეც პასუხისმგებლობა სრულად დაეკისრება სასჯელაღსრულების დეპარტამენტს, თუ დაუყოვნებლივ არ მიიღებენ სათანადო ზომებს.

პატიმრის ადვოკატ ცირა ჯავახიშვილის თქმით, მისი კლიენტი 27 აპრილს, იძულების წესით ღირსება შემლახავ პირობებში მე-17 დაწესებულებიდან მე-6 დახურული ტიპის დაწესებულებაში გაშიშვლებული გადაიყვანეს.

– ამგვარი ღირსების შემლახავი და დამამცირებელი მოპყრობის გამო გენადი (გიორგი) ჯელაძემ მშრალი შიმშილობა გამოაცხადა. იგი 2007 წელს სასჯელაღსრულების სისტემაში არაადამიანურ პირობებში ყოფნისა და წამების გამო „ც“ ჰეპატიტითა და დიაბეტით დაავადდა. მას ყოველდღიურად დღეში ოთხჯერ დიაბეტური კვება და ინსულინის ინექცია ესაჭიროება. პატიმარი ჯელაძე ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაზარალებულად ცნო და მისი ამგვარ პირობებში ყოფნა სიცოცხლის ხელყოფის ტოლფასია. – აცხადებს ადვოკატი.

თამარ ნინიძე

# გელა კვაჭანტირაძე: „ეკლესიის პოზიციას ანგარიში უნდა გავუწიოთ“

## ინტერვიუ პოლიტიკურ ექსპერტ გელა კვაჭანტირაძესთან

*— „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო კამპანია დაიწყო. როგორ აფასებთ ამ კამპანიას?*

— ასეთ შეხვედრებს აქვს ერთი დანიშნულება, რომ ხდება ძალების დემონსტრირება. ვნახეთ, რომ მრავალრიცხოვანი, წარმომადგენლობითი შეხვედრა იყო. ვფიქრობ, კარგი სტარტია, ვნახოთ, შემდეგ როგორ წარიმართება ეს პროცესი.

*— ყოფილი ნაციონალები, ახლა უკვე გადაბარგებულები „ქართულ ოცნებაში“, საარჩევნო სიებში არ იქნებიან. როგორ ფიქრობთ, რა იყო ამ გადაწყვეტილების მიზეზი?*

— ძალიან ბუნებრივი გადაწყვეტილებაა. ვიცით, ნაციონალების მმართველობის დროს რა პრეტენზიები იყო ხალხის მხრიდან. ეს არ იყო უბრალოდ პრეტენზიები და უკმაყოფილება, საარჩევნო პროგრამის ვერშესრულებით გამოწვეული რეაქცია, არამედ, საუბარი იყო დანაშაულზე, სისტემურ ძალადობაზე. ქართულ პოლიტიკაში დღეს კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რომ როცა ახალი ძალა მოდის და იმარჯვებს, პოლიტიკოსების დიდი ნაწილი ფერს იცვლის და გადადის მმართველ პარტიაში, ამა თუ იმ ფორმით ახერხებენ პოლიტიკური გემოვნების შეცვლას. ამის მაგალითები დავინახეთ. ზოგმა ეს კარგად მოახერხა, ზოგს ვერ გამოუვიდა, მაგრამ ამ პროცესმა ხალხის დიდი უკმაყოფილება გამოიწვია, დიდი შენიშვნები იყო, რომ სიებში ბევრი ნაციონალი მოხვდა. ამ პროცესს „ქართულმა ოცნებამ“ კარგად უპასუხა და განაცხადა, რომ არც ერთი ყოფილი თუ მოქმედი ნაციონალი არ მოხვდება „ქართული ოცნების“ სიებში. ნაციონალი უნდა იყოს თავის პარტიულ სიაში, მუდმივად მოგებულის გვერდით ყოფნა არ არის მორალური საქციელი. ის განცხადებები, რომლებიც გააკეთეს ბატონებმა ღარიბაშვილმა და კალაძემ, იყო სწორი. სხვა საკითხია რატომ უნდა დამდგარიყო ასეთი პრობლემა. დღესაც არ არის ის შიში მოხსნილი საზოგადოებაში, რომ ბევრმა ნაციონალმა ფერი იცვალა და მოხვდა „ქართული ოცნების“ სიებში. ადგილობრივი არჩევნები ისეთი არჩევნებია, როდესაც არა ეროვნული ლიდერები იყრიან კენჭს, არამედ, ადგილებზე ხდება ადამიანების არჩევა, რომლებსაც თბილისში შეიძლება არ იცნობდნენ და პარტიის ხელმძღვანელობა არ იცნობდეს. როცა მასობრივად არის მცდელობა, რომ ფერი იცვალონ და მიეტმასნონ „ქართულ ოცნებას“, დეტალურად უნდა შეისწავლონ თითოეული ადამიანი. „ქართული ოცნება“, როგორც პარტია, ჯერ ბოლომდე ჩამოყალიბებული არ არის, ძალიან ძნელია, გაარკვიო, მოკლე დროში ვინ არის გულწრფელი და ვის რა მიზნები აქვს. არც ერთი ნაციონალი, თუ ის საუკეთესო სპეციალისტი არ არის, არ უნდა იყოს „ქართულ ოცნებაში“. ამორალურია, როცა ერთი პოლიტიკური ძალის წარმომადგენელი ცდილობს, კენჭი იყაროს მეორე პოლიტიკური ძალის სიით.



*— მოახლოებული არჩევნების წინ როგორია თქვენი პოზიცია, „ქართული ოცნების“ კოზირი და წარმატების სფეროები რომელი იქნება? რითი შეიძლება მან მიიზიდოს ამომრჩეველი, ვნახეთ, რომ სააკაშვილის ხელისუფლება გაუშვეს, მაგრამ სხვა რა წარმატებული სვლა იქნება ამჯერად?*

— ვნახეთ, რომ მიდიოდა საზოგადოებაზე სერიოზული ძალმომრეობა. ეს იყო ნაციონალების დროს, ეს ხდებოდა ლამაზი ლოზუნგების ფონზე. მივიღეთ ფასადური დემოკრატია. ეკონომიკაშიც სერიოზული პრობლემები იყო, „ქართულმა ოცნებამ“ ნაციონალების ამ მავნე მმართველობის სისტემისგან გაათავისუფლა მთელი საზოგადოება, „ქართულმა ოცნებამ“ დაიწყო ეკონომიკური და სოციალური პროცესი, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, სერიოზული საინვესტიციო ფონდები შექმნა, მცირე ბიზნესის განვითარების ფონდი შექმნა, ჯერ ისე არ ამოქმედებულა, როგორც საჭიროა, მაგრამ ახლა იქნება ანტიკორუფციული სამსახური, რომელიც კარგია ბიზნესისა და ეკონომიკის განვითარებისთვის, ეკონომიკის განვითარებისთვის სერიოზული საფუძვლები მომზადდა. დასაქმების პრობლემა, რაც ნაციონალებმა გამოაცხადეს, ეს იყო ტყუილი, სახელმწიფო დაასაქმებს ხალხს, ეს მაქვს მხედველობაში. მასობრივად ხალხს ვერ დაასაქმებს ვერც უცხოური ინვესტიცია და ვერც ადგილობრივი, მცირე ბიზნესის განვითარებამ უნდა დაასაქმოს ხალხი. ამას ფული სჭირდება, რომ აქტიურმა ხალხმა წამოიწყოს თავისი ბიზნესი. ამიტომ არის მნიშვნელოვანი მცირე ბიზნესის ფონდის შექმნა. სიცრუეა იმის თქმა, რომ ფაბრიკა-ქარხნები აშენდება და ხალხს დაუძახებენ სამუშაოდ. მცირე ბიზნესმა უნდა დაასაქმოს ხალხი.

*— პარლამენტის თავდაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი სესიაშვილმა განაცხადა ერთ-ერთ ინტერვიუში, რომ მალე საქართველოში საინვესტიციო ბუმი დაიწყება. თქვენ იზიარებთ მის აზრს და ელოდებით რაიმე ცვლილებას ამ მიმართულებით?*

— საინვესტიციო ბუმის რა მოგახსენოთ, სერიოზული პოლიტიკური სტაბილურობა უნდა იყოს ქვეყანაში, რომ ასეთი ბუმი დაიწყოს. სამწუხაროდ, ასეთი რამ არ შეინიშნება. საგარეო ვითარება დაძაბულია, შიგნით დასრულებული არ არის ხელისუფლების გადაცემის პროცესი „ქართული ოცნებისთვის“. ნაციონალები დღეს არსებულ სხვადასხვა ინსტიტუტს ებღაუჭებიან. ადგილობრივი არჩევნები ბოლო შანსია მათთვის, მაგრამ, სავარაუდოდ, „ქართული ოცნება“ აიღებს ძალაუფლებას ხელში.

*— პრაგმატული პოლიტიკოსია სესიაშვილი და მისგან გამიკვირდა ასეთი არარეალისტური განცხადების წაკითხვა. მას, ალბათ, ესმის, რაც ხდება მსოფლიოში. ეს მისი პირდაპირი მოვალეობაა, რომ იყოს საქმის კურსში. ამიტომ, საინტერესოა, რას ემსახურებოდა ასეთი განცხადების გავრცელება?*

— გადაჭარბებულია ინვესტიციების ბუმზე საუბარი. ეს აღვნიშნე, ინვესტიციების მოზიდვა ხდება, ეს ბუნებრივი პროცესია, მაგრამ ბუმი არ არის. ოპტიმიზმის საფუძველი გრძელვადიან პერსპექტივაში არსებობს.

*— ანტიდისკრიმინაციულ კანონპროექტთან დაკავშირებით ხმაურია ატეხილი. ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის წინ ამ კანონპროექტის მიღება აუცილებელია. საუბარია სავიზო რეჟიმის გამარტივებაზე და ევროპასთან უფრო მჭიდრო კონტაქტებზე. მეორე მხრივ, ვხედავთ საზოგადოების ერთი ნაწილისა და ეკლესიის წინააღმდეგობას. თქვენ რას ფიქრობთ ამ პროცესებზე?*

— ეს თემა, ვფიქრობ, ხელოვნურად არის გამწვავებული, ცნობილია, რომ ამით დაინტერესებული არიან ნაციონალები. რეალურად სერიოზული პრობლემა არ არის. ევროკავშირისგან არ არის არც დირექტივა და არც მოთხოვნა, რეკომენდაციაა, ნორმალური რეკომენდაციაა, ის, რომ დისკრიმინაცია არ იყოს, მაგრამ დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როგორი ფორმა ექნება ამ კანონს. ჩვენ ვართ ტრადიციული ქრისტიანული კულტურის ქვეყანა, თუ ჩაიწერება კანონში, რომ ერთსქესიანი კავშირები ცოდვა არ არის, აღმოჩნდება, რომ ეკლესია კანონგარეშეა, თუ სოდომის ცოდვა იქნება ლეგალიზებული, მაშინ ყველას გაუჩნდება იმის სურვილი, რომ სასამართლოში უჩივლოს საეკლესიო მსახურს. აქ ბალანსი უნდა დავიცვათ, რომ ეკლესიის ინტერესები დავიცვათ და პატივი ვცეთ ჩვენს ტრადიციებსა და ღირებულებებს და ასევე დისკრიმინაცია არ იყოს ქვეყანაში. ერთ დღეში არ ხდება კულტურული განვითარება, ევროპამ გაიარა ინკვიზიცია, ამერიკამ – მონათმფლობელობა. ჩამოყალიბდნენ რაღაც პოზიციამდე. რადიკალიზმით ცდილობენ ახალი სკანდალის შექმნას და ქულების ჩაწერას. კონსტიტუციაში ისედაც წერია, რომ აკრძალულია დისკრიმინაცია, ამის დრამატიზება საჭირო არ არის.

*— ეკლესიის პოზიციას ანგარიში უნდა გაეწიოს, მაგრამ, არიან ბერ-მონაზვნები, რომლებიც მოუწოდებენ, თავად ეკლესიის შიგნით მოხდეს სულიერი განწმენდა, მამათმავლობაზე მიანიშნებენ და სხვა ცოდვებზე, ძნელი საყურებელია მამაო, რომელსაც რკინის ხელკეტი უჭირავს ხელში ან ტაბურეტით მისდევს ვინმეს, თუნდაც ლგბტ პირს. ეთანხმებით ამ ბერ-მონაზვნების პოზიციას?*

— შექმნილია ამის სამართლებრივი საფუძვლები, რომ ეს პრობლემა სამართლებრივად გადაწყდეს. კონკორდატს ვგულისხმობ. ეკლესიას აქვს თავისი მოღვაწეობის არეალი, სახელმწიფოს თავისი სამოქმედო ასპარეზი აქვს და ისინი ერთმანეთს არ ეხებიან. საზოგადოება კანონს რომ იცავდეს, მაშინ მსგავსი პრობლემები არ წარმოიშვებოდა. კულტურული პრობლემაც არის. ეკლესიაში არის ისეთივე პრობლემები, როგორიც საზოგადოებაში მთლიანად.

*— საზმაუწყებელთან დაკავშირებით ისევ არეული სიტუაციაა. ახლა ხელისუფლებამ გადაწყვიტა, შექმნას ორგანო, რომელიც გააკონტროლებს ძველ ბორდს ანუ სამეურვეო საბჭოს. როგორ ხედავთ ამ პრობლემის გადაწყვეტის გზას?*

— ამ გადაწყვეტილებას ნაკლებად ვეთანხმები. მაკონტროლებელი ამ პრობლემას ვერ გადაწყვეტს. გაფთრებული ბრძოლა მიმდინარეობს ყოფილ ხელისუფლების წარმომადგენლებსა და „ქართულ ოცნებას“ შორის, კანდიდატებთან დაკავშირებით. ძველი ბორდი იყო პოლიტიზებული. ეს დაპირისპირება უკვე კომიკურ ელფერს იძენს. ძველიც და ახალიც იყოს ერთად, ერთმანეთი გააკონტროლონ, ეს ნიშნავს იმას, რომ შტატი იბერება და ხალხის ჯიბეზე ახდენს გავლენას. მიუკერძოებელი ტელევიზია თუ გვინდა, საბჭოც მიუკერძოებელი უნდა იყოს და, თუ ეს საკითხი გადაუჭრელია, მაშინ საჭირო არ არის, სულაც ტელევიზია არსებობდეს ამ სახით.

# „დემოკრატიული მოძრაობა“ ხელისუფლებას პოლიტპატიმრებთან დაკავშირებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისკენ მოუწოდებს

„დემოკრატიული მოძრაობა-ერთიანი საქართველოს“ იურიდიული სამსახურის წარმომადგენლის თამარ ზურაშვილის განცხადებით, „პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ და პოლიტიკური ნიშნით დევნილ პირთა თაობაზე“ დადგენილების პროექტით ნაკისრი ვალდებულება პარლამენტმა არ შეასრულა.

ზურაშვილის თქმით, 2012 წლის დეკემბერში პარლამენტმა პოლიტპატიმრის სტატუსი 192 ადამიანს მიანიჭა.

„პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ და პოლიტიკური ნიშნით დევნილ პირთა თაობაზე“ დადგენილების პროექტით პარლამენტმა იკისრა უმოკლეს ვადაში აღნიშნული პირების სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისგან გათავისუფლების ან/და სამართლიანი სასამართლოს უფლებით სარგებლობის სამართლებრივი მექანიზმებით, ასევე, მათთვის სამართლებრივი სტატუსისა და მარეაბილიტირებელი სამართლებრივი მექანიზმების შექმნის უზრუნველყოფის ვალდებულება.

როგორც თამარ ზურაშვილი აცხადებს, მიუხედავად იმისა, რომ ამნისტიის შესახებ კანონის მიღებიდან ერთ წელზე მეტია გასული, ნაკისრი ვალდებულების შესასრულებლად არც ერთი ღონისძიება არ გატარებულა.

„დემოკრატიული მოძრაობის“ იურიდიული სამსახურის წარმომადგენლის თქმით, პოლიტპატიმრების რეაბილიტაციისთვის არც ერთი ქმედითი ნაბიჯი არ გადადგმულა, მათ არ დაბრუნებიათ წართმეული ქონება და არც სამსახურში აღუდგენიათ.

ზურაშვილის თქმით, პოლიტპატიმრის სტატუსით გათავისუფლებულ პირთა შორის უმრავლესობა „დემოკრატიული მოძრაობის“ წევრი და აქტივისტია. ის ყურადღებას პარტიის იმ აქტივისტებზე ამახვილებს, რომლებიც 2011 წლის 26 მაისს დააკავეს.

„მათ უკანონოდ და უსამართლოდ შეეფარდათ სასჯელი და ჩამოერთვათ ავტომობილები, როგორც დანაშაულის იარაღი. მიუხედავად იმისა, რომ ყველა მათგანი პარლამენტის მიერ აღიარებულ იქნა პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულად, რაც თავისთავად მათ უდანაშაულობას ნიშნავს, დღემდე არც ერთ მათგანს არ დაბრუნებია მათი კუთვნილი ავტომანქანა“ – აცხადებს ზურაშვილი.

პარტიის სახელით ის ხელისუფლებას ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისკენ მოუწოდებს.

„მოვუწოდებთ ხელისუფლებას სისრულეში მოიყვანოს ხალხისთვის მიცემული დაპირება და ქვეყანაში დროულად დაიწყოს სამართლიანობის დამკვიდრება. ასევე, მოვუწოდებთ შესაბამის უწყებებს, დროულად გაატარონ სათანადო ღონისძიებები და დაიწყონ პოლიტპატიმართა რეაბილიტაციის პროცესი“ – აცხადებს თამარ ზურაშვილი და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ამ ეტაპზე „დემოკრატიული მოძრაობა“ ფულად კომპენსაციას არ ითხოვს.

„ჩვენ ვითხოვთ ჩვენს საკუთრებას, რომელიც დაუსაბუთებლად და უკანონოდ იქნა ჩამორთმეული“ – დასძენს ზურაშვილი.

**ნიუსპრესი**

# „ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების შესახებ“ კანონი ძალაში შევიდა

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ შემუშავებული კანონი „ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების შესახებ“ 1 მაისიდან ძალაში შევიდა.

პრესკონფერენცია ამის შესახებ შსს-ში კანონის ავტორმა, შსს-ს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის სამმართველოს უფროსმა სოფო კილაძემ გამართა.

მისი განმარტებით, კანონის მიხედვით, ყველა იმ ნივთიერების არალეგალური ბრუნვა, რომელიც კრიმინალიზებულ ქიმიურ ნაერთთა კლასს განეკუთვნება, სამართალდარღვევას წარმოადგენს. სასჯელის ზომა ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების უკანონო დამზადების, წარმოების, შეძენის, შენახვის, გადაზიდვის, გადაგზავნის ან გასაღებისთვის, ისევე, როგორც უკანონოდ შემოტანის, საქართველოდან უკანონოდ გატანის ან ტრანზიტით საერთაშორისო გადაზიდვისთვის 5 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთით განისაზღვრა.

კანონის მიხედვით, ქიმიურ ნაერთთა 9 კლასია განსაზღვრული, ასევე, განსაზღვრულია ცალკეული ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებები, რომლებიც ამ კლასებს არ განეკუთვნებიან.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო ახალ ფსიქოაქტიურ ნივთიერებებთან ეფექტური ბრძოლისთვის საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტზე 2013 წლის ნოემბრიდან მუშაობდა. შსს-ს ინფორმაციით, კანონი ევროპის ოთხი ქვეყნის – ავსტრიის, კვიპროსის, გაერთიანებული სამეფოს და შვეიცარიის ახლებურ მიდგომას ეფუძნება.

**ნიუსპრესი**

# ჭიკაიძემ ურეკში საპატრულო და დაცვის პოლიციის ახალი შენობა გახსნა

დაბა ურეკში დაცვის პოლიციის ოპერატიული რეაგირების ჯგუფისთვის განკუთვნილი ახალი შენობა გაიხსნა. თანამედროვე სტანდარტების და უახლესი ტექნიკური საშუალებებით აღჭურვილი შენობა შინაგან საქმეთა მინისტრმა ალექსანდრე ჭიკაიძემ და შსს-ს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის თავმჯდომარე გურამ ტომარაძემ გახსნეს.

2007 წლიდან გრიგოლეთის, ურეკის და შეკვეთილის მოსახლეობას სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონალური სამმართველოს დაცვის პოლიციის ოპერატიული რეაგირების ჯგუფი ემსახურება.

შსს-ს ინფორმაციით, დაბა ურეკში დაცვის პოლიციის ოპერატიული რეაგირების ჯგუფისთვის განკუთვნილი ახალი შენობა სამართალდამცველების სწრაფ მოქმედებას და ეფექტურობას გააუმჯობესებს.

სამინისტროს ინფორმაციით, დაცვის პოლიციაში მნიშვნელოვანი ცვლილებები მიმდინარეობს – შეიცვალა კორპორატიული ფერი, ლოგო, სლოგანი, უნიფორმები; ავტოპარკი განახლდა და ავტომობილების იერ-სახე შეიცვალა; ოპერატიული მიმართულებით დასაქმებული თანამშრომლების პროფესიულ და საცეცხლე მომზადებებს სისტემატური და გეგმიური ხასიათი მიეცა; დაცული ობიექტებიდან განგაშების ოპერატიულად მიღების და მათზე რეაგირების შედეგები გაუმჯობესდა.



გუშინვე შინაგან საქმეთა მინისტრმა ალექსანდრე ჭიკაიძემ ქალაქ ოზურგეთში საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის გურიის საპატრულო პოლიციის მთავარი სამმართველოს ახალი შენობა გახსნა.

შსს-ს ინფორმაციით, გურიის რეგიონს 11 საპატრულო ეკიპაჟი მოემსახურება – ქალაქ ოზურგეთსა და მის გარეუბნებს 6, ხოლო სამტრედია-ლანჩხუთი-გრიგოლეთის მაგისტრალზე, კერძოდ, სამტრედია-ოზურგეთის და სამტრედია-ჩაქვის მონაკვეთებზე – 5 ეკიპაჟი. აღსანიშნავია, რომ გურიიის რეგიონს დღემდე აჭარის საპატრულო პოლიციის მთავარი სამმართველოს 4 ეკიპაჟი ემსახურებოდა. ოზურგეთში ახალი სამმართველოს გახსნა საპატრულო პოლიციას მთლიანი რეგიონის მომსახურებაში შეუწყობს ხელს.

როგორც შსს-ში აცხადებენ, საპატრულო პოლიციის ორსართულიანი, ახალი შენობა თანამედროვე ავეჯითა და ტექნიკითაა აღჭურვილი. ახალ შენობაში საპატრულო პოლიციის საგამოძიებო სამსახური, ადმინისტრაციული საქმისწარმოების განყოფილება, სამართალდარღვევათა და ანალიზის ჯგუფი და სხვა სამსახურები განთავსდა.

**მედიანიუსი**

## ირაკლი ალასანიამ ვაშინგტონში კონფერენციაში მიიღო მონაწილეობა

საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალასანიამ ვაშინგტონში ატლანტიკური საბჭოს მიერ ორგანიზებულ კონფერენციაში მიიღო მონაწილეობა.

საერთაშორისო ფორუმის – „ერთიანი და თავისუფალი ევროპის" ერთ-ერთი პანელი აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების თავდაცვის მინისტრებს დაეთმო.

საქართველოს თავდაცვის მინისტრმა სიტყვით გამოსვლისას ამერიკის შეერთებული შტატებისა და ევროპის მხრიდან ერთიანი პოზიციის მნიშვნელობაზე გაამახვილა ყურადღება.

ალასანიამ საქართველოს ნატო-ში გაწევრიანების პერსპექტივებზე და სექტემბერში დაგეგმილ ნატო-ს სამიტზე საქართველოსთვის მაპი-ის მინიჭების საკითხზე ისაუბრა.

მინისტრის თქმით, ნატო-ში გაწევრიანების მსურველ ქვეყნებს ალიანსის მხრიდან მკაფიო სიგნალი სჭირდებათ, რომ ისინი სწორ გზაზე დგანან და შესაბამის რეფორმებს ახორციელებენ. როგორც მან აღნიშნა, დასავლეთის მხრიდან რუსეთის ქმედებებზე ერთ-ერთი პასუხი ალიანსის გაფართოება უნდა იყოს. ახალი ქვეყნების გაწევრიანება ალიანსში არსებულ პოლიტიკურ რეალობას დადებითად შეცვლის.

„ჩვენ მოგვეცა საშუალება გვეთქვა, რამდენად არის მზად საქართველო იმისთვის, რომ გახდეს ნატო-ს მომავალი წევრი და რამდენად მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს მას ევროატლანტიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფაში. ყველა თანხმდება იმაზე, რომ შემდეგი ნაბიჯი სწორედ უნდა იყოს ძალიან მნიშვნელოვანი, კონკრეტული პროგრესი საქართველოს ნატოსთან ინტეგრაციის კუთხით" - განაცხადა ირაკლი ალასანიამ.

თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, აღმოსავლეთ ევროპის თავდაცვის მინისტრებმა უკრაინაში რუსეთის ინტერვენციაზე და ტრანსატლანტიკური საზოგადოების მხრიდან საპასუხო ზომების მიღების საჭიროებაზე ისაუბრეს. დისკუსიაში საქართველოს, ესტონეთის, ჩეხეთისა და მონტენეგროს თავდაცვის მინისტრებთან ერთად, ნატო-ს გენერალური მდივნის მოადგილემ ალექსანდრე ვერშბოუმაც მიიღო მონაწილეობა.

ატლანტიკური საბჭოს მიერ ორგანიზებულ ორდღიანი კონფერენციის მონაწილეებს აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტმა ჯოზეფ ბაიდენმა სიტყვით მიმართა. ფორუმში ასევე მონაწილეობა მიიღეს აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ჯონ კერიმ, ყოფილმა სახელმწიფო მდივანმა მადლენ ოლბრაიტმა, ევროკომისიის პრეზიდენტმა ჟოზე მანუელ ბაროზომ, ამერიკელმა სენატორმა ჯონ მაკკეინმა და სხვა მაღალი რანგის სტუმრებმა.

ნიუსპრესი

## საქართველოს პრეზიდენტმა სომხეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი მიიღო

საქართველოს პრეზიდენტმა გუშინ სომხეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩთან ჰოვჰანეს მანუკიანთან გამოსამშვიდობებელი შეხვედრა გამართა.

ოფიციალური ცნობით, მხარეებმა ორი ქვეყნის ურთიერთობაზე ისაუბრეს და იმედი გამოთქვეს, რომ მომავალში საქართველოსა და სომხეთს შორის თანამშრომლობა კიდევ უფრო გაღრმავდება.

ჰოვჰანეს მანუკიანმა მადლობა გადაუხადა პრეზიდენტს თანადგომისთვის და ქვეყნის განვითარების საქმეში წარმატება უსურვა.

მედიანიუსი

## ტელეკომპანია „ობიექტივის" სამაუწყებლო ლიცენზიის აღდგენის მიზნით საჯარო ადმინისტრაციული წარმოება დაიწყო

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ ტელეკომპანია „ობიექტივის" სამაუწყებლო ლიცენზიის აღდგენის მიზნით საჯარო ადმინისტრაციული წარმოება დაიწყო.

კომისიამ საკითხის განხილვა საქართველოს პარლამენტის 2014 წლის 7 მარტის 2090-IIს დადგენილების საფუძველზე დაიწყო. პარლამენტის ეს დადგენილება საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის დასკვნის (საანგარიშო პერიოდი: 2013 წლის 1 მაისი – 2013 წლის 1 ნოემბერი) საფუძველზე იქნა მიღებული, – აცნობეს „მედიანიუსს" კომისიიდან.

ტელეკომპანია „ობიქტივის" სამაუწყებლო ლიცენზიის აღდგენის მიზნით დაწყებული საჯარო ადმინისტრაციული წარმოების ზეპირი მოსმენის სხდომა 2014 წლის 5 ივნისს, 16:00 საათზე გაიმართება. კომისია გადაწყვეტილებას ზეპირი მოსმენის სხდომის ჩატარებიდან ათი სამაუშაო დღის ვადაში მიიღებს. სხდომა საჯაროა.

მედიანიუსი

## აშშ-საქართველოს თანამშრომლობა დადებითადაა შეფასებული

აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ტერორიზმის შესახებ 2013 წლის ანგარიშში, ტერორიზმთან ბრძოლის კუთხით, საქართველოს მთავრობის მიერ აშშ-სთან თანამშრომლობის გაგრძელება პოზიტიურადაა ასახული. დადებითადაა შეფასებული საქართველოში ჩატარებული საპრეზიდენტო არჩევნები. ანგარიშში ასევე, საუბარია საქართველოს კანონმდებლობის სრულყოფაზე და ტერორისტული დანაშაულების კრიმინალიზაციის გაფართოებაზე, ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ გატარებული ღონისძიებებსა და საქართველოს მიერ საერთაშორისო თანამშრომლობის მექანიზმების ეფექტურ გამოყენებაზე და აღნიშნული ღონისძიებები დადებითადაა შეფასებული.

აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ტერორიზმის შესახებ ანგარიშში ნათქვამია, რომ 2013 წლის ნოემბერში ტერორიზმთან დაკავშირებული დანაშაულების კრიმინალიზაციის კუთხით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში განხორციელებულ ცვლილებებს აშშ მიესალმება.

დადებითადაა შეფასებული ასევე, გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების იმპლემენტაციაზე მომუშავე სამთავრობო კომისიის საქმიანობა ტერორიზმთან დაკავშირებული პირების და გაეროს შესაბამისი რეზოლუციებით განსაზღვრული პირების ქონებისა და ფინანსური სახსრების დაყადაღებასთან დაკავშირებით, ტერორიზმის დაფინანსებისა და სხვა უკანონო საქმიანობის პრევენციის მიზნით.

ასევე, ამერიკის მხარე მიესალმება 2013 წელს საქართველოს მიერ ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციისა (ვარშავის კონვენცია) და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი ურთიერთდახმარების შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის მეორე დამატებითი ოქმის ხელმოწერასა და რატიფიცირებას.

ნიუსპრესი

## თელავში სახალხო დამცველის რეგიონული ოფისი გაიხსნა

სახალხო დამცველმა უჩა ნანუაშვილმა რეგიონული საქმიანობის გაძლიერების მიზნით, თელავში მეშვიდე ოფისი გახსნა.

სახალხო დამცველმა თავისი წარმომადგენელი თეიმურაზ ორკოდაშვილი ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მედიის წარმომადგენლებს წარუდგინა. თელავის ოფისის ხელმძღვანელი 29 აპრილს კონკურსის წესით შეირჩა. სახალხო დამცველის აპარატი უახლოეს პერიოდში, თელავის ოფისის გაფართოებას და კახეთის სხვა რაიონებში საკონტაქტო პირების დანიშვნასაც გეგმავს.

ნიუსპრესი

# „მთავრობა გლეხებს რომ არ დახმარებოდა, შიმშილობა დაიწყებოდა"

მარიკა მჭედლიშვილი



ქართველი მეცნიერები, რომლებსაც, მუშაობის ცუდი პირობების მიუხედავად, არაერთი გამოგონება აქვთ ამა თუ იმ სფეროში, პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს მიმართავენ. ისინი აცხადებენ, რომ, სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერის შემთხვევაში, მათი უნიკალური ინოვაციური გამოგონებები, ტექნოლოგიები და პროდუქტები უდიდეს შემოსავალს მოუტანს ქვეყანას. ეროვნული აკადემიის პრეზიდენტმა ვლადიმერ რამიშვილმა და ეროვნული აკადემიის წევრმა, კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელმა ნუგზარ შავთვალაძემ (იგი უზენაესი საბჭოს წევრი და პოლიტრეპრესირებულია) პრემიერს გაუგზავნეს მიმართვა, რომელშიც გამოთქმულია წინადადება, პრემიერ-მინისტრის კანცელარიასთან შეიქმნას ახალი მიმართულებების პროგრამირების საკოორდინაციო საბჭო. ამ საბჭომ უნდა შეისწავლოს საქართველოში შექმნილი ახალი პროდუქტები და გამოგონებები. როგორც ირკვევა, მეცნიერების მიმართ მტრული დამოკიდებულების (რაც განსაკუთრებით სააკაშვილის მმართველობის შეინიშნებოდა) მიუხედავად, საქართველოში არაერთი უნიკალური გამოგონებაა. ესაა სამკურნალო, სოფლის მეურნეობაში, თავდაცვაში, ენერგეტიკასა და სხვა სფეროებში გამოსაყენებელი პროდუქტები და ტექნოლოგიები. „ახალი თაობა" ამ და სხვა თემებზე ესაუბრა ეროვნული აკადემიის წევრს, კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელს, უზენაესი საბჭოს წევრ ნუგზარ შავთვალაძეს.

**ნუგზარ შავთვალაძე:**

– გვინდა, ხელისუფლებამ ყურადღება მიაქციოს აკადემიასთან მოქმედ დამოუკიდებელ მეცნიერ-გამომგონებელთა მრავალდარგოვან კვლევით ცენტრს, სადაც გამოცდილი მეცნიერები ენთუზიაზმზე ქმნიან ისეთ ტექნოლოგიებსა და პროდუქტებს, რომლებიც ნებისმიერი განვითარებული ქვეყნის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებსაც კი შეშურდება. მაგალითად, გამოგონებებს შორისაა შაქრის დამწევი სამკურნალო საშუალება, და სხვა უამრავი ინოვაცია თითქმის ყველა სფეროში. გვაქვს სოფლის მეურნეობის ფეხზე დაყენების პროგრამა, რასაც დაახლოებით 5 წელიწადი სჭირდება. ჩვენი გათვლით, გლეხს მისი განხორციელების შედეგად წელიწადში 50.000 ლარის შემოსავალი ექნება და ასე შემდეგ. ისეთი გამომგონებლები გვყავს, რომ ნობელის პრემიის პრეტენდენტები არიან. ამას წინათ ნოდარ ჯავახიშვილი გამოვიდა და გამომგონებლებს იმედი გადაუწურა – ბანკები ვერ დაგაფინანსებენ, ფული სხვაგან მოიძიეთო. ეს საწყენი გამოსვლა იყო, იმიტომ რომ ქართული სულისთვის უცხო ბანკირის სულისკვეთებით იყო გაჟღენთილი. ჩვენ ხომ ყველანი უნდა ვცდილობდეთ, რომ ქვეყანა წელში გაიმართოს და ქართველი მეცნიერების ნაშრომებმა საქართველოს მოუტანოს სარგებელი!

***– ცნობილია, რომ მეცნიერებას დიდი დარტყმა მიადგა სამეცნიერო დაწესებულებების შენობებისა და ქონების დატაცებით...***

– სამეცნიერო დაწესებულებების ქონება საერთოდ გაპარტახდა. ყოფილი საბჭოთა კავშირის არც ერთ ქვეყანაში ისე არ იავარქმნილა მეცნიერება და წარმოება, როგორც ჩვენთან. შეიძლება, ეს ბევრმა არ იცის, მაგრამ საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები უძლიერესი იყო საბჭოთა რესპუბლიკებს შორის. ჩვენთან მსოფლიო დონის კვლევითი ინსტიტუტები იყო.

***– როდის დაიწყო გაპარტახება?***

– როგორც კი გადატრიალება მოხდა, მაშინვე. 1992 წლის 6 იანვრის მერე საჩქაროდ დაიწყეს მთელი საქართველოს ქონების გაპარტახება, განიავება და ძარცვა. მე მაშინ უზენაესი საბჭოს წევრობის გარდა, ვიყავი სამხედრო მრეწველობის თავმჯდომარე. ეს მრეწველობა მე ჩამოვაყალიბე. ყველა ქარხანაში გარკვეული უბანი მქონდა, სადაც, თავდაცვის სფეროს პროდუქციაზე ვმუშაობდით. სად რომელი ქარხანა იყო, ზეპირად ვიცი. რამდენიმე წლის შემდეგ რომ მოვინახულე ეს ქარხნები, ისეთი გაძარცვულ-დანგრეული დამხვდა, ვერ ვიცანი. ავიღოთ „მიონი". იქ თავის დროზე იაპონიიდან ჩამოტანილი ხელუხლებელი დანადგარები და ჩარხები იყო დამონტაჟებული. სხვათა შორის, საქართველო ჯერ კიდევ 60-იანი წლებიდან ამზადებდა კომპიუტერებს და ამ საქმეში მოწინავე იყო. არაერთ ქარხანაში იყო ძვირფასი თანამედროვე დანადგარები. ჩემი თვალით მაქვს ნანახი, გადატრიალების შემდეგ შემდეგ როგორ ტვირთავდნენ ამ დანადგარებს და თურქეთში ჯართად გაჰქონდათ.

***– ვის აკეთებდა ამას?***

– სახელმწიფოების მიერ დანიშნული დირექტორები და მაშინ შექმნილი სამეთვალყურეო საბჭოები. ამ საბჭოების მეშვეობით მიმდინარეობდა ქარხნების ძარცვა-გლეჯა და გაკოტრება. შენობები მარტო შიგნიდან კი არ გააპარტახეს, გარედანაც. თუ შენობას რკინის კონსტრუქცია ჰქონდა, იმასაც მიადგნენ.

***– სამეცნიერო დაწესებულებებსაც იგივე ბედი ეწია?***

– საქართველოში იყო საკავშირო დონის კვლევითი ინსტიტუტები, სადაც ლაზერით მიდიოდა მუშაობა. იყო დაწესებულება „სხივი", რომელიც განადგურებულია და მის მაგივრად დანგრეული შენობაღა დარჩა.

***– მეცნიერებას და სამეცნიერო დაწესებულებებს სააკაშვილის მმართველობის დროსაც შავი დღეები დაუდგა...***

– სააკაშვილის დროს ეს პროცესი გაგრძელდა. „ნაციონალური მოძრაობა" უფრო იმ შენობებზე ნადირობდა, რომელიც, მაგალითად, თბილისის ცენტრში იყო განთავსებული. ცირკის მიდამოებში, სპორტის სასახლესთან იყო ინსტიტუტები, მაგრამ, სადღაა! ახლა ერთადერთი, ფიზიკის ინსტიტუტი დარჩა. ეგლა მუშაობს, თორემ, დანარჩენი ინსტიტუტები გააუქმეს და მეცნიერები საშიმშილოდ გაწირეს.

***– არაერთხელ თქმულა, რომ მეცნიერება მიზანმიმართულად ნადგურდება...***

– საქართველო უნდა ყოფილიყო მესამე კატეგორიის განვითარებადი ქვეყანა. ასეთ ქვეყნებში მეცნიერების ადგილი არაა. არადა, საქართველო მეცნიერების განვითარებით, განათლებით და ინტელექტით ევროპის არც ერთ სახელმწიფოს არ ჩამორჩებოდა. ყველაფრის დანგრევა უნდოდათ, რომ მერე უცხოეთიდან დახმარების თანხები მიეღოთ. ამაში შევარდნაძესაც უდიდესი დანაშაული მიუძღვის. რაც შევარდნაძემ ვერ მოასწრო და ვერ მიიყვანა ბოლომდე, ის ახალგაზრდა ენერგიულმა სააკაშვილმა გააგრძელა. შევარდნაძის ხელისუფლებაც მარიონეტული იყო და სააკაშვილის ხელისუფლებაც.

***– ვისი მარიონეტები იყვნენ?***

– არ მინდა დაკონკრეტება. ბნელი ძალების. არ მინდა დავიჯერო, რომ ახლანდელი ხელისუფლებაც მარიონეტია. ახალგაზრდა კაცია ირაკლი ღარიბაშვილი და ჯერჯერობით მისი იმედი მაქვს.

***– ახლანდელი მთავრობა რაღაცას ცვლის საჯარო სკოლებთან მიმართებით. მაგალითად, სკოლაში შესვლის ასაკი 6 წლით განისაზღვრა. მეცნიერების კუთხით არაფერი იცვლება?***

– არანაირი ცვლილებები არ ჩანს. ის, რომ სკოლაში 6 და არა 5 წლის ბავშვები უნდა შევიდნენ, ესეც მეცნიერებმა დაადგინეს. ბოლო წლებში რაც განათლებაში ხდება, კრიტიკას ვერ უძლებს. ამას რეფორმები არ ჰქვია. საბჭოთა განათლებას რომ დასცინიან, გაუგებარია. ეს იყო გერმანული სისტემა, რომელიც კარგ განათლებას იძლეოდა. საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ უკეთესი ვერაფერი შექმნეს, რაღაცები გადმოიღეს სხვა ქვეყნებიდან. უძლიერესი სამეცნიერო ინსტიტუტები რომ დაანგრიეს, ისინი განათლების პრობლემებზეც მუშაობდნენ. მაგრამ როცა ხელისუფლებაში მარიონეტები არიან, ისინი განათლების სისტემას როგორ გააძლიერებდნენ? უცხოელები, ვისი მარიონეტებიც არიან, საკუთარ ინტერესებზე, მოგებაზე, ბაზარზე ფიქრობენ და არა იმაზე, რომ საქართველოში განათლება და მეცნიერება აყვავდეს. მარიონეტი არასოდეს დაიყენებს გვერდით პატიოსან პროფესიონალს. ისინი სახელგატეხილებს შემოიკრებენ. ასეთებმა ჩაიგდეს ხელში დიდძალი ქონება 1992 წლის შემდეგ. ამის შედეგად გაიძარცვა მთელი საქართველო. ოჯახებში შეგროვილი ძვირფასეულობაც გაიზიდა. სახელმწიფომ მილიარდობით ღირებულების ქონება დაკარგა. ქარხნების გაპარტახებაზე უკვე ვისაუბრეთ. სოფლის მეურნეობაც გააცამტვერეს.

***– ახლანდელი ხელისუფლება გლეხების დასახმარებლად ვაუჩერებს არიგებს...***

– ეს გლეხისთვის პატარა წახმარებაა. ესეც რომ არ იყოს, შიმშილობა დაიწყებოდა. უფრო მეტის გაკეთებაა საჭირო. ყველა ქვეყანა უფრთხილდება თავის მოქალაქეებს, თავის ეკონომიკას. საქართველომ ხელი უნდა შეუწყოს საკუთარი პროდუქციის რეალიზაციას. ტრადიციული პროდუქცია მაინც დაიცვას! სოფლის მეურნეობა ჩვენი ხერხემალია. მეცნიერებასაც სჭირდება ხელშეწყობა და სოფლის მეურნეობასაც. რა დღეში არიან მეცნიერები! ჩემი შვილი ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტში მუშაობს და 350 ლარი აქვს ხელფასი. გვეგონა, ლადო პაპავას რექტორად მოსვლით რამე შეიცვლებოდა, მაგრამ, მოვტყუვდით. პირიქით, მდგომარეობა დამძიმდა. ადრე გრანტები მეტი იყო, ახლა აღარ არის. სერიოზული პრობლემაა ის, რომ ნიჭიერი ახალგაზრდები საქართველოდან მიდიან, ხდება ინტელექტის გადინება. სკოლებშიც რა ამბავია! ლაბორატორიები არც სკოლებშია და არც უმაღლესი სასწავლებლების უმრავლესობაში. ჩვენმა უმაღლესმა სასწავლებლებმა სახელი ისე გაიტეხეს, რომ, ვისაც საშუალება აქვს, საზღვარგარეთ მიდის სასწავლებლად. იქ დამთავრებულებს შანსი აქვთ, უცხოეთში იშოვონ სამსახური. საქართველოს სახელს არ წაადგება ისიც, რომ საქართველოს მწერლობას ევროპას დეისაძისა და ბურჭულაძის ნაწარმოებებით აცნობენ. მოკლედ, უმძიმესი მდგომარეობაა.

***– მდგომარეობას ანტიდისკრიმინაციული კანონების პაკეტის განხილვაც ართულებს. პარლამენტის თავმჯდომარე ამ საკითხთან მიმართებით აცხადებს, ან უნდა დავრჩეთ რუსეთში, ან შევიდეთ ევროპაშიო...***

– მაგას უსუფაშვილი საქართველოზე კი არა, იმ წრეზე ამბობს, რომელსაც ის ეკუთვნის. საერთოდ, ანტიდისკრიმინაციული თემა ახალი არ არის. ამ თემამ ადრევე დაიწყო ფესვის გადგმა. ეს მიმართული იყო დედობისა და მამობის ინსტიტუტის წინააღმდეგ. ხომ გვახსოვს, რას ამბობდა ჭიაბერაშვილი? სხვებიც მასხრად იგდებდნენ დედობის ინსტიტუტს, ქალწულობას და სხვა. უნდათ მამათმავლების მომრავლება, მათი ურთიერთობების დაკანონება. ეს ადასტურებს, რომ ამ კანონის მომხრე ჯგუფი სხვისი მარიონეტია. მარიონეტებთან საგარეო საკითხებზეც არავინ ისურვებს დალაპარაკებას.

***– საშველი არ არის?***

– როგორ არა. კანონიერი ხელისუფლება, უზენაესი საბჭოა ის კანონიერი, ლეგიტიმური ძალა, რომელთანაც შეუძლია დალაპარაკება დასავლეთსაც და რუსეთსაც. ჩვენ საქართველოს ინტერესებს ყველაზე კარგად დავიცავთ.

**ძვალ-სახსართა პრობლემების:**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65. ქალბატონი ქეთათო

# სუხიშვილები კონცერტს გამართავენ

ეკა ირემაშვილი



2 მაისს ხანგრძლივი გასტროლების შემდეგ თბილისის საკონცერტო დარბაზში მხოლოდ ერთი დღე „სუხიშვილები“ კონცერტს გამართავენ. როგორც კონცერტის ორგანიზატორები აღნიშნავენ, ამ საღამოზე მისულ მაყურებელს სასიამოვნო სიურპრიზი ელოდება.

ნაციონალური ბალეტი ქართველი მაყურებლის წინაშე იმ პროგრამას წარადგენს, რომელმაც ხანგრძლივი საგასტროლო ტურნე მოიარა. კონცერტამდე რამდენიმე დღით ადრე კლასიკური შერეული პროგრამა და განახლებული საცეკვაო კომპოზიციები ანსამბლის მოცეკვავეებმა სამხატვრო ხელმძღვანელთან ერთად გაიარეს.

„სუხიშვილები“ კონცერტის პირველ ნაწილში მაყურებლის წინაშე ძველი კლასიკური პროგრამით წარდგება და შესრულდება ისეთი ცნობილი ცეკვები, როგორებიცაა „ხორუმი“, „სინდი“, „ხევსურული“, მეორე ნაწილში კი მაყურებელი ახალ პროგრამას იხილავს, რომელზეც უმცროსმა ილიკო სუხიშვილმა იმუშავა.

ანსამბლი თვე-ნახევრის განმავლობაში საკონცერტო ტურნეში იმყოფებოდა, სადაც 42-ვე ქალაქში ყველა კონცერტმა ანშლაგით ჩაიარა. ქართველი მოცეკვავეები უკრაინის ქალაქებშიც მართავდნენ კონცერტებს, სადაც, დაძაბული მდგომარეობის მიუხედავად, არანაირი ინციდენტი არ მომხდარა. მათ 37 ქალაქში 41 კონცერტი გამართეს. ქართველმა მოცეკვავეებმა სოლიდარობის ნიშნად კონცერტებზე უკრაინული ცეკვებიც შეასრულეს, ყველაზე დიდი ოვაცია კი სუხიშვილების მიერ ხორუმის უკრაინული დროშის თანხლებით შესრულებას მოჰყვა. ანსამბლს დარბაზში მყოფი საზოგადოება ფეხზე წამოუდგა და ხანგრძლივი აპლოდისმენტებითაც დააჯილდოვა. ქართული ნაციონალური ბალეტისთვის უკრაინაში მიმდინარე ცნობილ მოვლენებს ხელი არ შეუშლია. ანსამბლი 65-კაციანი შემადგენლობით უკრაინის ქალაქებში კონცერტებს ყოველგვარი შეფერხების გარეშე მართავდა. უკრაინის პარალელურად, მათ კონცერტები ჩაატარეს მოლდოვასა და ბელორუსიაშიც. „სუხიშვილებმა“ რუსეთში დაგეგმილი 22 კონცერტი გააუქმეს. გადაწყვეტილება ამის შესახებ ანსამბლის დირექტორმა ნინო სუხიშვილმა მიიღო: „გადაწყვეტილების მიღება მე მომიწია, უარი ვთქვი გასტროლებზე. შეიძლება, ბევრმა გამამტყუნოს, მაგრამ ჯერჯერობით არ მინდა რუსეთში წასვლა. 22 კონცერტი გავაუქმე. ფინანსურად ეს, შესაძლოა, დიდი შეცდომა იყო, მაგრამ ყოველთვის ინტუიციით ვმოქმედებ. ინტუიციას აქამდე ჩემთვის არასოდეს უღალატია. კიდევ ერთი რამ, რაც ძალიან მინდა შევინარჩუნო, ღირსებაა. ვთვლი, რომ დღეს ჩემი ქვეყნის ღირსების შესანარჩუნებლად რუსეთში საგასტროლოდ წასვლანაადრევია, ამიტომ მივიღე ეს გადაწყვეტილება. ძნელი მისაღები კი ის იმიტომ იყო, რომ მოცეკვავეების ფინანსური მდგომარეობა არ არის კარგი, მათი ხელფასი საკმარისი არ არის და ისინი გასტროლების ხარჯზე არსებობენ. შესაბამისად, ამ 22 კონცერტზე უარის თქმა ძალიან სერიოზული ნაბიჯი იყო“. – აღნიშნა მაშინ ნინო სუხიშვილმა.

სამაგიეროდ, ანსამბლს უარი არ უთქვამს რიგაში, ტალინსა და ჰელსინკში დაგეგმილ კონცერტებზე. ამჯერად მოცეკვავეები თბილისელ მაყურებელთან შესახვედრად ემზადებიან.

თვის ბოლოს „სუხიშვილები“ კვლავ საგასტროლო ტურნეში ჩაებმებიან. ქართული მოცეკვავეებს ლატვიაში, ფინეთსა და ესტონეთში ელოდებიან. ამ გასტროლების ფარგლებში „სუხიშვილები“ ევროპელ მაყურებელს შერეულ პროგრამას წარუდგენენ.

მანამდე კი მოცეკვავეები თბილისურ კონცერტს მხოლოდ ერთი დღით გამართავენ, სადაც დასასწრები ბილეთის ფასი 15-დან 40 ლარამდეა.

# „არტ ჰოლში“ საბავშვო მუსიკალური ფესტივალი ჩატარდება

ეკა ირემაშვილი

„თბილისი არტ ჰოლში“ საბავშვო მუსიკალური კონკურსი „ქიდს მიუზიქ კომპეტიშენ“ გაიმართება. მისი ორგანიზატორი საპროდიუსერო კომპანია „ორიელია“.

როგორც საპროდიუსერო კომპანიის ხელმძღვანელმა ლიკა ჭელიძემ სპეციალურად გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ 5-დან 10-წლამდე ასაკის ბავშვებს და მასში მონაწილეობა უფასოა.

კონკურსი „თბილისი არტ ჰოლში“ დაიწყება და შესარჩევი ტურები 28 მაისამდე გაგრძელდება, 11 ივნისს კი ფინალი გაიმართება, სადაც რჩეულს მაყურებელი გამოავლენს.

**ლიკა ჭელიძე, საპროდიუსერო კომპანია „ორიელის“ დირექტორი:**

– ჩვენ ვატარებთ საბავშვო მუსიკალურ ფესტივალს. ეს არის კომპეტიშენების სერიის გაგრძელება. პირველი ტესტი დავტესტეთ დიჯეი ტურნირის სახით. ქართულ ვარიანტშიც რომ გითხრათ, ეს არის შეჯიბრი. ჩვენ ალბათ ყველა შანსს მოვიცავთ ხელოვნებისა ამ შეჯიბრის სახით. პირველი იყო დიჯეი ჩემპიონატი, სადაც ხუთი ტურის განმავლობაში გამოვავლინეთ ფინალისტები. დიჯეების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ჩავატარეთ ორდღიანი შეჯიბრი და გამოვლინდა საქართველოში საუკეთესო დიჯეი. დაწესებული იყო ფულადი პრიზები. პირველ ადგილზე გასულმა დიჯეიმ მიიღო 5 ათასი ლარი. ეს ცნობისთვის გითხარით, რომ იცოდეთ, რას მოიცავს ჩვენი პროექტი. ის შეჯიბრება, რომელიც საბავშვო მუსიკაში იწყება, არის გამორჩეული. აქ არის სხვადასხვა პრიზი, რადგან მომღერალ ბავშვებთან გვაქვს საქმე.

*– ასაკი შეზღუდულია?*

– ასაკი განისაზღვრა 5-დან 10 წლამდე. თუმცა არის გამონაკლისიც, ასაკით ერთი წლით უფროსი კონკურსანტებიც არიან. ჩვენმა კომპანიამ გადაწყვიტა, რომ ერთი წლის გამო არ დაგვეტოვებინა ეს კონკურსანტები ფესტივალის მიღმა და დავუშვით კონკურსში.

***– რა პრიზები ელოდებათ გამარჯვებულებს?***

– მთავარი პრიზები არის ის, რომ „სანო სტუდია“ ჩაუწერს ფინალში გამარჯვებულს სიმღერას, ჩვენ კი გადავუღებთ კლიპს. კონკურსი ტარდება ხუთ შესარჩევ ეტაპად და შემდეგ უკვე ფინალი გვექნება 11 ივნისს. ყველა შესარჩევ ტურში გამარჯვებულ თითო კანდიდატს გადაეცემა პლანშეტები, ფინალში კი გამარჯვებულები მიიღებენ ფასეულ პრიზებს.

***– გამარჯვებულებს ვინ გამოავლენს?***

– გამარჯვებულს გამოავლენეს მოსული მაყურებელი. ასე იყო პირველ პროექტშიც. ბილეთებთან ერთად მაყურებელს გადაეცემა ბლანკები, სადაც არის მითითებული მონაწილეების სახელები და გვარები. არჩევნების სტილია და ასე ირჩევენ გამარჯვებულებს. ჩვენ ვითვლით ყველანი ერთად სცენაზე ხმებს, მაყურებელი თვითონ ხედავს როგორ ვითვლით ხმებს. ყველა კონკურსანტს ეყოლება თავისი წარმომადგენელი ხმის დამთვლელ კომისიაში და ფინალიც ასე ჩატარდება.

***– სად ჩაატარებთ კონკურსს?***

– „თბილისი არტ ჰოლში“ ჩატარდება კონკურსი. შესარჩევი ტურები გაგრძელდება 28 მაისამდე, ხოლო ფინალი გვექნება 11 ივნისს.

**მარიამ ცაგარეიშვილი, საპროდიუსერო კომპანია „ორიელის“ წარმომადგენელი:**

– ეს კომპანია დაარსდა ორი წლის წინ და მუდმივად ახორციელებს სხვადასხვა საგანმანათლებლო და კულტურულ ღონისძიებას. ჩვენ ვემსახურებით სამოქალაქო საზოგადოების კულტურული და საგანმანათლებლო კუთხით განვითარებას. „ქიდს მიუზიქ კომპეტიშენი“ არის უნიკალური პროექტი იმ თვალსაზრისით, რომ ჩვენ ვაპირებთ, აღმოვაჩინოთ მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებული ბავშვები. არ იქნება ჟიური და ზუსტად ეს არის განმასხვავებელი ნიშანი. არსებობს კითხვები, რომ ხომ არ იქნება გაყალბებული ჩვენი კონკურსი და როგორ დადგინდება იმ ხმების რაოდენობა, რომელიც ბავშვებმა მიიღეს. ეს არის სრულიად გამჭვირვალე პროცესი, ხმები ითვლება სცენაზე, მაყურებლის თვალწინ. „დიჯეი კომპეტიშენმა“ დაგვიდასტურა ის, რომ მაყურებელი ირჩევს იმას, ვინც არის საუკეთესო. ჩვენს კონკურსში მონაწილეობა შეუძლია ნებისმიერ ადამიანს, ვინც ჩვენს ასაკობრივ ზღვარს აკმაყოფილებს. ჩვენს პროექტში მონაწილეობა უფასოა და ეს ძალიან ახარებთ როგორც მშობლებს, ასევე მათ ბავშვებს.

**რუსა გვაზავა, ონლაინ გამოცემა „ჯორჯიან დაიჯესტის“ მთავარი რედაქტორი:**

– ჩვენ ამ კონკურსს უშუალოდ დავესწრებით და ვიქნებით დამკვირვებლები. ჩვენ სიამოვნებით ვერთვებით ამ პროექტში, რადგან ის ეხება ბავშვებს. ეს კონკურსი იმით მოგვეწონა, რომ მონაწილეობა არის უფასო, არ არის ჟიური, არ ხდება გამოვლინება ესემესებით. ეს კონკურსი ნამდვილად ჰგავს საარჩევნო პროცესს და სიამოვნებით დავთანხმდით თანამშრომლობაზე. ჩვენ ვიქნებით ამ კონკურსის გამშუქებლებიც და დამკვირვებლებიც. კონკურსში მონაწილე ყველა ბავშვის მონაცემი თუ სურვილი გაშუქდება ჩვენს მიერ. მჯერა, რომ ამ კონკურსს დიდი გამოხმაურება ექნება და ყოველწლიურ ხასიათს მიიღებს.

# ლაშა ბულაძის პიესას თელავის თეატრში დგამენ

ეკა ირემაშვილი

მწერლისა და დრამატურგის ლაშა ბულაძის პიესა „ქეთათოს“ თელავის ვაჟა- ფშაველას სახელობის სახელმწიფო პროფესიულ თეატრში დგამენ. რეჟისორი ჯაბა პაპუაშვილი თეატრის მსახიობებთან ერთად უკვე ბოლო დეტალებს ათანხმებს.

სპექტაკლის პრემიერა 2, 3 და 4 მაისს არის დანიშნული. ახალი წარმოდგენა თელავის თეატრის დიდ სცენაზე გათამაშდება. სპექტაკლში დაკავებული არიან ნინო კურტანიძე, ვენერა ფეიქრიშვილი, ეთერ ბაბილაშვილი, დავით ნაცვლიშვილი, კარლო ქართველიშვილი, ლექსო რაზმაძე, გიორგი მამალაშვილი და თელავის თეატრთან არსებული თეატრალური სტუდიის მოსწავლეები.



– თელავის თეატრის ისტორია ერეკლე მეორის მეფობის პერიოდში იწყება. მეფე ერეკლეს მიერ რუსეთში სწავლა-განათლების მისაღებად გაგზავნილმა ახალგაზრდების ერთმა ჯგუფმა დავით ბატონიშვილის, ერასტი თურქესტანიშვილის, ივანე ორბელიანის, გიორგი ავალიშვილის შემადგენლობით სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, გადაწყვიტა თეატრალური დასის შექმნა. თეატრს სათავეში ედგა გიორგი ავალიშვილი. ამავე დროს თეატრში სპექტაკლებს დგამდა თეატრალური ხელოვნებით გატაცებული გაბრიელ მაიორი. „ერეკლეს თეატრში“ ასევე მოღვაწეობდა დავით მაჩაბელი. აღა მაჰმად ხანის შემოსევისას, მაჩაბელი იარაღასხმული მიუძღოდა მებრძოლ მსახიობთა რაზმს. იგი გმირულად დაიღუპა თანამებრძოლებთან ერთად უთანასწორო ბრძოლაში. ამავე ბრძოლაში დაიღუპა გაბრიელ მაიორიც. ქართული პროფესიული თეატრის განახლების შემდეგ, პირველ ოფიციალურ ცნობას თელავის თეატრის შესახებ 1867 წელს გვაწვდის გაზეთი „ივერია“. თელავის თეატრში მოღვაწეობდნენ ცნობილი ადამიანები მაკო საფაროვა-აბაშიძისა, ლადო მესხიშვილი, დავით აწყურელი (გამყრელიძე), ვასო აბაშიძე, ნატო გაბუნია, ალექსანდრე ყაზბეგი, სერგო ზაქარიაძე, კოტე მარჯანიშვილი და სხვები. თელავის თეატრმა უკვე 253-ე სეზონი გახსნა და მის შემოქმედებას კარგად იცნობს მთელი საქართველო. ამჟამად თეატრი პრემიერისთვის ემზადება, რეჟისორი ჯაბა პაპუაშვილი თეატრის მოყვარულ საზოგადოებას ლაშა ბულაძის პიესას შესთავაზებს. – აცხადებს თეატრის ხელმძღვანელი პაატა გულიაშვილი.


## განცხადება

სააქციო საზოგადოება „მშენებელი-96“-ის საერთო კრება შედგება 2014 წლის 23 მაისს, 12 საათზე. მისამართი: ქ.თბილისი, ვაჟა-ფშაველას პროსპექტი №16.

დღის წესრიგი:

1. 2009-2014 წლის ფინანსური ანგარიში;
2. სამეთვალყურეო საბჭოს არჩევნები;
3. მიზანშეწონილობა კუთვნილი ფართის შესახებ.

*სს „მშენებელი-96“-ის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ნ.ხარაბაძე*

## განცხადებები

- გთავაზობთ რკინის კარებზე საიმედო ახალი საკეტების დაყენებას. სამუშაოს ასრულებს პროფესიონალი ხელოსანი. ტელ: 279-90-68; 877-46-60-45. გელა.
- იყიდება მიწის ნაკვეთი შეკვეთილში, საუკეთესო ადგილზე, მირაჟის ტერიტორიაზე, ნაძვნარში, ზღვისპირიდან 70 მეტრში, 210 კვ.მ. 1 კვ.მ-ის ფასია 100 დოლარი. ტელ: 551-76-04-40.
- სასწრაფოდ! იყიდება 2-ოთახიანი ბინა, 55 კვ.მ (დუპლექსი), გამოდგება საოფისედ. ფასი შეთანხმებით. მისამართი: ტერენტი გრანელის ქუჩა. ტელ: 574-88-13-80 რაშიდი.
- იყიდება მცხეთის რაიონის სოფ. ვაზიანში, თბილისიდან 35 კმ-ში, 2000 კვ.მ საკარმიდამო მიწის ნაკვეთი, ხეხილით. 1.კვ.მ-ის ფასი 3 დოლარი. ტელ: 568 65-74-86; 0790 90-32-96 ალიკა.
- იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.
- ვმკურნალობთ მცენარეული პრეპარატებით: გახდომა თვეში 8-20 კგ-ით, 3-ჯერადი კვებით, გასუქება 5 კგ-ით თვეში, სიმაღლეში ზრდა 5-25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ით. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე. ტელ: 592-10-58-22 ნონა.
- ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია..
- ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 218-14-90 ექიმი, ქ-ნი მეგი.
- მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 218-14-90 ექიმი, ქ-ნი მეგი.
- გახდომა-გასუქება 5-15 კგ თვეში, სიმაღლეში ზრდა 5-25 წლამდე მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენებების გარეშე. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 (ოფისი), ექიმი ქ-ნი სალომე.
- მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.
- მკურნალობა ძვალ-სახსართა ნებისმიერ პრობლემაზე, კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, ართრიტების და ა.შ. დაზიანებული და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის მოხსნა, ასევე წონის დაკლება 5-15 კგ თვეში, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-156-333; 218-46-08 ექიმი ქ-ნი ნინო.
- კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571720311– ქ-ნი მარიამი.
- მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასლებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორ პუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82. ლამარა თოდუა.
- ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება, ტკივილების მოხსნა, ხრტილის აღდგენა, ოსტეოქონდროზი, კოქსართროზი, ოსტეოპოროზი, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახრებზე ძვლის მკვებავებით. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83.
- ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78 ქეთევანი.
- გახდომა 5-20 კგ-მდე დიეტის გარეშე, გასუქება 2-5 კგ თვეში, 3-ჯერადი კვებით, უვნებლად, მადის დარეგულირებით, შედეგის 100%-ით მუდმივად შენარჩუნებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ქ-ნი ქეთევანი 599-90-54-78; 234-02-38.
- მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.
- იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქეთი.
- ფოტოსურათით მოგიხსნით: ალკოჰოლსა და აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას, პათოლოგიურ სიმთვრალეს, აგრესიას, აკვიატებულ აზრებსა და ქმედებებს, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, უიმედობას, ჩაკეტილობას, დაძაბულობას, აფორიაქებას, სევდას, ნაღველს, მელანქოლიას, დეპრესიას. ვმუშაობ ბავშვებზეც. გამოცდილება 35-წლიანი, შედეგი გარანტირებული, გიწვევთ სკეპტიკოსებსაც და იმედგაცრუებულებსაც. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა. შპს „იადიგარ დაუდის“ დირექტორი ნანა ქიბრონაშვილი. ტელ: 599-498-423 კონსულტაცია უფასოა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლისაბონი მადრიდულ ფინალს ელის

## ჩელსი – ატლეტიკო 1:3

1:0 ტორესი (36), 1:1 ადრიანი (44), 1:2 კოსტა (60, პენ), 1:3 თურანი (72)

**ჩელსი:** შვარცერი, ივანოვიჩი, კეჰილი, ტერი, კოული (ეტოო 54), რამირესი, ლუისი, ვილიანი (შიურლე 77), აზარი, ასპილიკუეტა, ტორესი (ბა 67)

**ატლეტიკო:** კურტუა, ხუანფრანი, მირანდა, გოდინი, ფილიპე, კოკე, ტიაგო, სუარესი, თურანი (როდრიგესი 84), კოსტა (სოსა 76), ადრიანი (გარსია 66)

„ჩელსი" ჩემპიონთა ლიგას ემშვიდობება. ეს კი ნიშნავს, რომ ფინალში მადრიდულ დერბის ვიხილავთ. ერთი ქალაქის ორი გუნდი ფინალში მსგავსი რამ აქამდე არ მომხდარა.

„ატლეტიკომ" კი დაგვანახვა, რომ რთული მექანიზმია, რომელიც კარგად მუშაობს დაცვაში, მაგრამ არც კონტრშეტევებს ერიდება და გახსნილ თამაშშიც შეუძლია თავის გამოჩენა. დიეგო სიმეონეს გუნდი ღირსია, ითამაშოს ბებერი კონტინენტის ყველაზე პრესტიჟული ტურნირის ფინალში. ეს გუნდი მართლაც წლის აღმოჩენაა

განსაკუთრებულმა მოურინიომ კი ტაქტიკურად წააგო. მის ხელში ასე „ჩელსის" ჯერ არ წაუგია. დაცვითმა ფეხბურთმა ამჯერად არ გაამართლა – მოუს ფეხი ფინალამდე ერთი ნაბიჯით ადრე დაუცდა.

36-ე წუთზე ვილიანმა და ასპილიკუეტამ ბურთი მარჯვენა ფლანგზე გაათამაშეს, რასაც საჯარიმოში პასი და ფერნანდო ტორესის გოლი მოჰყვა.

გაშვებული გოლის შემდეგ „ატლეტიკო" გატანის აუცილებლობის წინაშე დადგა. სიმეონეს შეგირდებმა ეს პირველივე ტაიმში მოახერხეს. ტიაგომ საჯარიმოში ჩააწოდა, ხუანფრანმა თითქმის გადასული ბურთი შემოაბრუნა, ტერიმ და კოულმა მოგერიება ვერ მოახერხეს და ადრიანმა გამათანაბრებელი გაიტანა.

მე-2 ტაიმის დასაწყისში, მოურინიომ მოედანზე ეტოო შეუშვა, რომელმაც დიეგო კოსტა საკუთარ საჯარიმოში წააქცია და დაზარალებულმა 11 მეტრიდან „ატლეტიკოს" წინ გაიყვანა.

72-ე წუთზე, არდა თურანის თავურის შემდეგ, „ჩელსის" კარი ხარიხამ იხსნა, მაგრამ დამატებაზე კვლავ თურქმა ფეხბურთელმა ითამაშა და საბოლოოდ გაარკვია მატჩის ბედი.

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – ხუანფრანი**

ამ ფეხბურთელის ღვაწლი „სტემფორდ ბრიჯზე" გამარჯვებაში ძალიან დიდია. განსაკუთრებით პირველი გოლისას იბრძოლა, როდესაც თითქმის დაკარგული ბურთი საგოლედ აქცია. ამ ეპიზოდმა ბევრი რამ გადაწყვიტა მატჩში. ამ ერთი ეპიზოდის გარდა, სხვა დროსაც ბევრჯერ გამოირჩა და საერთოდ იდეალური იყო მოედანზე.

**დიეგო სიმეონე:**

– ჩემმა გუნდმა არაჩვეულებრივად ითამაშა. თავიდანვე ვიცოდით, რომ ჩვენი თამაში უნდა მოგვეხვია მეტოქისთვის. მეორე გოლის შემდეგ, „ატლეტიკომ" თავისი თამაში იპოვა, „ჩელსიმ" ზეწოლას ვერ გაუძლო. ჩემმა გუნდმა ფინალში გასვლა დაიმსახურა. რა მითხრა მოურინიომ მატჩის შემდეგ? ეს საიდუმლოა. „ბაიერნთან" შეხვედრა თუ მერჩივნა? არა. საერთოდაც, ახლა მომავალ მატჩზე ვფიქრობთ, რომელსაც „ლევანტესთან" გავმართავთ.

ჟოზე მოურინიო:

– ფინალში ფავორიტი არ მყავს. შესაძლოა ვინმემ თქვას, რომ რომელიმე გუნდი არ იმსახურებდა ფინალში გასვლას. ეს ასე არ არის. „ატლეტიკომ" დაიმსახურა გამარჯვება. „რეალი" „ბაიერნზე" უკეთესი აღმოჩნდა, „ატლეტიკო" კი – „ჩელსიზე". ვფიქრობ, ფინალით ყველა ისიამოვნებს და ტურნირს ბრწყინვალე გამარჯვებული ეყოლება. ვფიქრობ, პენალტამდე „ატლეტიკო" ჩვენზე უკეთ არ თამაშობდა. თამაშის მსვლელობას ვაკონტროლებდით, მაგრამ მერე გადამწყვეტი წუთი დადგა. ჯერ იყო და მათმა მეკარემ ჯონ ტერის საოცარი დარტყმული მოიგერია, მერე კი, 11-მეტრიანი დაინიშნა და ამან ინტრიგა მოკლა. პენალტზე საუბარი არ მინდა. ჩემმა მოთამაშეებმა ყველაფერი გააკეთეს. კურტუამ საოცარი სეივი განახორციელა ტერის დარტყმის შემდეგ. როცა ანგარიში 2:1 გახდა, ესპანელებმა უპირატესობა ხელთ იგდეს. ყველაფერი იდეალურად გააკეთეს. მეორე გოლის შემდეგ თამაში დასრულდა. ესპანელებმა უკვე იცოდნენ, რომ სიტუაციას აკონტროლებდნენ, რადგან სათამაშოდ მხოლოდ ნახევარი საათი იყო დარჩენილი. 60 წუთი თამაში მიგვყავდა, მაგრამ ასეთია ნახევარფინალი. ის მცირე დეტალებისგან შედგება და ამ მცირემ ყველაფერი გადაწყვიტა. „ატლეტიკოს" გამარჯვებას ვულოცავ. ეს ძლიერი გუნდია, რომელიც ფანტასტიკურად გამოდის ესპანეთის ჩემპიონატში, დღეს კი ჩემპიონთა ლიგის ფინალში გავიდა.

## შედეგები

**ფეხბურთი**

**ევროპის ჩემპიონთა ლიგა**

ჩელსი-ატლეტიკო ... 1:3

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

**პლეი ოფი ჩემპიონთა ლიგისთვის**

ატრომიტოსი-პანათინაიკოსი ... 1:1

პაოკი-ასტერასი ... 1:1

**ჩეხეთი. თასი**

სპარტა-იაბლონეცი ... 4:0

**არგენტინა. პრიმერა დივიზიონი**

ლანუსი-ტიგრე ... 0:0

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

# ბათუმმა ნახევარფინალისკენ გაიწია

## შსს – ბათუმი 82:89

(14:20; 18:25; 23:15; 27:29)

მიხეილ კობეშავიძის გაწვრთნილმა „ბათუმმა" თბილისში მეორე მატჩიც მოუგო „შსს-აკადემიას" და ნახევარფინალში გასვლაზე სოლიდური განაცხადი გააკეთა. პირველად, ქართული კალათბურთის ისტორიაში, მეოთხედფინალური სერია 3 მოგებამდე გრძელდება და ეს „შსს-აკადემიისთვის" ნახევარფინალში გასვლის შანსია.

სხვა თემაა, ამ შანსს როგორ გამოიყენებენ შსს-ელები, დღესდღეობით კი ნახევარფინალში გასვლის უპირობო ფავორიტები ბათუმელები არიან. კობეშავიძის გუნდს სერიის მოგებამდე 1 გამარჯვება აკლია, მომდევნო მატჩები კი ბათუმშია დაგეგმილი. თუკი აჭარელებმა 3 მაისს მშობლიურ არენაზე იმარჯვეს, ნახევარფინალში გავლენ, არადა, 4 მაისს ბათუმი კიდევ 1 მატჩს უმასპინძლებს.

გამარჯვების შემოქმედნი ბათუმელთა მთლიანი გუნდია, თუმცა განსაკუთრებით გამოსარჩევია ჯუნიორ ქედუგინისა და ჯერემი სეფოლდის გარჯა, რომლებმაც ტაიმები გაიყვეს – პირველ ნახევარში ქედუგინი დომინირებდა, მეორეში კი „შსს-აკადემიას" წარმატების ყველა მცდელობა სეფოლდმა ჩაუხშო.

ბათუმელებმა თავიდანვე მწყობრი დაცვა დააყენეს და სწრაფი შეტევებით ხეირობდნენ. მასპინძელთა დაცვა კი ვერ იყო ეფექტური, რითაც ბათუმელი ლეგიონერები სარგებლობდნენ და ქულას ქულაზე იხვეჭდნენ. გამოსარჩევია ქედუგინის შედეგიანობა, რომელმაც პირველ ტაიმში 18 ქულა ჩააგდო. სტუმართა უპირატესობაც შესაბამისად იზრდებოდა და პირველი მეოთხედის ბოლოს 6, ხოლო დიდი შესვენებისთვის 13 ქულა შეადგინა.

მესამე პერიოდში აკადემიელებმა თამაში გამოასწორეს და ჩამორჩენაც მინიმუმამდე შეამცირეს. პერიშ ბრაუნმა ზედიზედ 3 სამქულიანი ჩააგდო და როცა მისი სროლის შემდეგ ანგარიში 53:54 გახდა, ბათუმელებისთვის ყველაფერი თავიდან დაიწყო. ლიდერობა ჯერემი სეფოლდმა იტვირთა, რომელმაც დარჩენილ დროში 4 სამქულიანი და ამაზე მეტი ორიანი ჩააგდო.

ბოლო პერიოდი ბათუმელთა 5-ქულიანი ლიდერობით დაიწყო, მაგრამ თამაში ისე ჩამთავრდა, რომ სიტუაცია არ დაძაბულა. სეფოლდის, ქედუგინის ქულებმა და მისი თანაგუნდელების საიმედო დაცვამ აჭარულ გუნდს უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოუტანა – 89:82.

ბათუმელთაგან 27-27 ქულით საუკეთესონი სეფოლდი და ქედუგინი იყვნენ. ამ უკანასკნელმა 7 მოხსნა და 8 პასიც მიითვალა. 13 ქულითა და 9 მოხსნით დაასრულა შეხვედრა ჯეიმი ჯექსონმა, ნიკა რამიშვილის ანგარიშზე კი 10 ქულა დაგროვდა. აკადემიელებში 21 ქულით პერიშ ბრაუნი გამოირჩა, ხოლო მილე ილიჩმა შეხვედრა 15 ქულითა და 12 მოხსნით დაასრულა.



**არჩილ ჟღენტი, შსს აკადემიის მთავარი მწვრთნელი:**

– ვულოცავ „ბათუმს" ღირსეულ გამარჯვებას, ორივე შეხვედრაში საკუთარ კედლებში დავმარცხდით. მიზეზს თამაშის გაანალიზების შემდეგ გავარკვევთ. სერია 3 მოგებამდე გრძელდება და თუ პირველი წრის შემდეგ გუნდმა მოახერხა და უკეთესად ითამაშა, იმედი მაქვს ახლაც შევძლებთ თამაშის გაუმჯობესებას და ბათუმში წავალთ საბრძოლველად. მე მჯერა ჩემი გუნდის და ვნახოთ რა იქნება.

**მიხეილ კობეშავიძე, ბათუმის მთავარი მწვრთნელი:**

– ყველაფერი თავიდან იწყება, ჯერ არაფერი დამთავრებულა და კიდევ ვიმეორებ რომ მე ვიწყებ დღეიდან. ჩემთვის სერიაში 0:0-ია და ბათუმში მივდივარ სათამაშოდ, საკუთარ მოედანზე, ჩვენს მაყურებელთან. ეს გამარჯვება დავიწყებულია ჩვენი გუნდისთვის და სერიაში დაწინაურდება ჩვენთვის არ არსებობს.

**პერიშ ბრაუნი:**

– ვულოცავ ბათუმს. თავისი საქმე გააკეთა. არაჩვეულებრივი გუნდია. ბიჭებმა იბრძოლეს და მოიგეს.

**ნიკა რამიშვილი:** –

– რისთვისაც ჩამოვედით თბილისში, ყველაფერი იდეალურად გავაკეთეთ. 2-დან 2-ვე მატჩი მოვიგეთ. ბათუმში ორი შეხვედრიდან ერთიც რომ მოვიგოთ მიზანი მიღწეული იქნება და ნახევარფინალში გადავალთ. დავეთანხმები მწვრთნელს, რომ სერია ჩვენთვის ახლა იწყება. წინ ძალიან დაძაბული თამაშები გველოდება და აუცილებლად უნდა გავიმარჯვოთ.

## არმია – რუსთავი 100:66

(25:17; 29:20; 24:15; 22:24)

თავდაცვის სამინისტროს გუნდმა მეოთხედფინალური სერიის მეორე მატჩშიც იოლად დაამარცხა „რუსთავი" და საერთო ანგარიშით 2:0 დაწინაურდა. მეორე მატჩიც პირველის მსგავსი სცენარით წარიმართა და ფავორიტად მიჩნეული არმიელების სასარგებლოდ – 100:66 დასრულდა.

ქვემოქართლურმა გუნდმა არმიელებს მეტ-ნაკლები წინააღმდეგობა პირველ მეოთხედში გაუწია, რომელიც 17:25 დათმო. მეორე პერიოდიდან კოტე ტუღუშის გუნდმა უპირატესობა გაიმყარა და დიდ შესვენებაზე უკვე 27 ქულით იგებდა.

მატჩის ბედი გადაწყვეტილი იყო და მეორე ტაიმი ფორმალობა გამოდგა. ორივე გუნდი ლაღად და სწრაფი შეტევებით თამაშობდა, საბოლოოდ კი არმიელთა მორიგი გამარჯვება დაფიქსირდა, რაშიც ყველაზე სოლიდური წვლილი 21 ქულით მიხეილ ბერიშვილმა დაიდო, 19 ქულა ბექა წივწივაძემ მიითვალა, ლაშა ფარლალავამ კი შეხვედრა 14 ქულით დაასრულა. „რუსთავში" 15 ქულით ბომბარდირი რევაზ ჩაჩანიძე გახდა, გიორგი ყველაშვილმა კი მატჩის ერთადერთი ორმაგი დუბლი – 11 ქულა და 12 მოხსნა მიითვალა.

**კოტე ტუღუში, არმიის მთავარი მწვრთნელი:**

– დღეს უკეთესად ვითამაშეთ ვიდრე პირველ შეხვედრაში და ჩემს მოთამაშეებს არ მივეცი მოდუნების საშუალება. რა თქმა უნდა, იყო გარკვეული ხარვეზები, მაგრამ 40 წუთის განმავლობაში მაქსიმალურად ვცდილობდი ბოლომდე დახარჯულიყო ნებისმიერი კალათბურთელი, რომელიც მოედანზე იქნებოდა. ბატონმა ოთარმა გუშინ სწორად აღნიშნა, რომ ასეთი თამაშები აუცილებლად გამოგვადგება ნახევარფინალში კარგი შედეგის საჩვენებლად. მადლობა ოთარ ხმელიძეს და მთლიანად რუსთავის გუნდს ამ ორი მატჩისთვის და დარწმუნებული ვარ რუსთავში გაცილებით რთული მატჩები იქნება, რადგან ამ გუნდის შემადგენლობაში მთლიან ჯამში 4 წელი მაქვს გატარებული და კარგად ვიცნობ მის შესაძლებლობებს.

**ოთარ ხმელიძე, რუსთავი მთავარი მწვრთნელი:**

– პირველ რიგში ვულოცავ „არმიას" გამარჯვებას. ფაქტიურად წარმოუდგენელია იმ რესურსით რაც ჩვენ გაგვაჩნია, ასეთი გუნდის წინააღმდეგ თამაში, რადგან ჩვენ შორის ძალიან დიდი სხვაობაა მოთამაშეთა კლასშიც და საერთოდ ყველაფერში. ამასთან მალხაზ აბაიშვილს ფეხი აწუხებდა და გადავწყვიტე დამესვენებინა. ვცდილობდი დღეს ბიწები საბრძოლველად განმეწყო, მაგრამ, სამწუხაროდ, არ გამოგვივიდა. იმედია, რუსთავში ღირსეულად ვიასპარეზებთ.

## დინამო – ოლიმპი 89:49

(19:14; 19:11; 24:10; 26:14)

თბილისის „დინამომ" მეორე მატჩშიც დამაჯერებლად მოუგო „ოლიმპს" და ნახევარფინალამდე 1 ნაბიჯი აკლია. წინა მატჩის მსგავსად, ირაკლი ხოშტარიას გუნდს პრობლემები არც დღევანდელ შეხვედრაში შეჰქმნია. ფავორიტად მიჩნეულმა დინამოელებმა 40 ქულის სხვაობით იმარჯვეს, რითაც ყველაფერი ნათქვამია.

„ოლიმპმა" თამაში ცუდად არ დაიწყო და პირველ მეოთხედში მეტოქეს ტოლ-სწორად ებრძოლებოდა. ორწუთიან შესვენებაზე დავით თორთლაძის გუნდი მხოლოდ 5-ქულიანი დეფიციტით გავიდა, თუმცა მერე და მერე დინამოელები თამაშის ეშხში შევიდნენ და საბოლოოდ მეტოქეს გამანადგურებელი მარცხი აგემეს.

21 ქულითა და 15 მოხსნით დინამოელებს ქიან კარტერმა ულიდერა, ხოლო მიხეილ ჭოჭუას ანგარიშზე 13 ქულა დაგროვდა. 2 ქულა დააკლდა ორმაგ დუბლამდე სტევან მილოშევიჩს – 13 მოხსნა და 8 ქულა. ოლიმპელთაგან 10-10 ქულა სამმა კალათბურთელმა დააგროვა – მიხეილ ჩიტაშვილმა, რევაზ ათანელიშვილმა და ნოდარ თენიეშვილმა.

**ირაკლი ხოშტარია, დინამოს მთავარი მწვრთნელი:**

– ის მიზანი, რაც გვქონდა შევასრულეთ და 2:0 გავედით წინ. შევეცდებით მესამე თამაშიც მოვიგოთ და საქმე არ გავირთულოთ.

**დავით თორთლაძე, ოლიმპის მთავარი მწვრთნელი:**

– უმოტივაციოდ იყო გუნდი დღეს და, შესაძლოა, მეც რაღაც დავაკელი, მაგრამ, რაც არ უნდა ვუთხრა ბიჭებს, ალბათ, არ აუმაღლდებათ განწყობა, რადგან შინაგანად გრძნობენ რომ ჩვენსა და „დინამოს" შორის დიდი სხვაობაა. ამ სერიას ვერ მოვიგებთ, მაგრამ 5-8 ადგილებისთვის ჩვენს უშუალო კონკურენტებთან აუცილებლად ვიბრძოლებთ და ვეცდებით სასურველი რეზულტატის ჩვენებას. მე პირადად, როგორც მწვრთნელი, არ ვარ შეჩვეული წაგებას და არ ვეგუები ამ სიტუაციას, მაგრამ რეალობა სულ სხვაა. ვიმედოვნებ, ეს თამაშები ბიჭებს სამომავლოდ მნიშვნელოვნად გამოადგებათ.

## ქუთაისი – სოხუმი 81:70

(15:17; 23:15; 23:16; 20:22)

„სოხუმმა" სერიის პირველი მატჩის მოგებით პროგრამა მაქსიმუმი შეასრულა. ვაჟა კვარაცხელიას გუნდმა მეორე დღესაც იბრძოლა და მესამე მეოთხედში 22 ქულით ჩამორჩენილმა ბოლო პერიოდის დასაწყისში დეფიციტი 7 ქულამდე შეამცირა, მაგრამ სერიაში ზედიზედ მეორე გამარჯვების მოპოვება ვერ მოახერხა.

ქუთაისელებს 22 ქულითა და 9 პასით ზაურ ფაშაევმა ულიდერა, ხოლო გიორგი ბარბაქაძე თავისიანებს 17 ქულით შეეწია. მატჩის ბომბარდირი სოხუმელი ირაკლი ჩლაიძე გახდა, რომელმაც 34 ქულა მიითვალა.

**მედეა მხეიძე, ქუთაისის მწვრთნელი:**

– მიუხედავად იმისა, რომ თამაშის გარკვეულ მომენტებში სოლიდურ უპირატესობას მივაღწიეთ, შეხვედრა ბოლომდე დაძაბული გამოდგა. „სოხუმის" გუნდი ბრწყინვალე ფორმაშია და თავის საუკეთესო მატჩებს ატარებს. მის წინააღმდეგ ყველანაირად ვცდილობდით ჩვენი უპირატესობის გამოყენებას და ეს ადვილი არ ყოფილა. ძალიან რთული თამაშები გველის თბილისში და პროგნოზის გაკეთება შეუძლებელია. ყველაფერი შეიძლება მოხდეს. მადლობას ვუხდი გულშემატკივარს, რომელმაც ტრადიციულად გაავსო ქუთაისის სპორტის სასახლე და დარბაზში არაჩვეულებრივი ატმოსფერო შეგვიქმნა.

**ვაჟა კვარაცხელია, სოხუმის მთავარი მწვრთნელი:**

– ველოდი რომ ასეთი დაძაბული თამაში იქნებოდა. მიუხედავად წაგებისა, მე კმაყოფილი ვარ ჩემი ბიჭების ასპარეზობით, მათ რაც შეეძლოთ ყველაფერი გააკეთეს. ძალიან ცუდი პროცენტულობა გვქონდა და ეს გახდა ერთ-ერთი მიზეზი ჩვენი წაგებისა. შეხვედრის მანძილზე არაერთხელ შევამცირეთ ანგარიში, ჯერ 16-დან 10 ქულამდე, შემდეგ კი 20 ქულიდან 7-მდე. რაც მთავარია, ქუთაისელმა მაყურებელმა 2 დღის მანძილზე ლამაზი კალათბურთი იხილა და დიდი სიამოვნება მიიღო. მსურს მადლობა გადავუხადო მათ, რადგან ისინი თამაშის განმავლობაში არა მხოლოდ „ქუთაისს", არამედ ჩვენც გვამხნევებდნენ. სერიას თბილისში ვაგრძელებთ და ნამდვილი ომისთვის ვემზადებით.

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმული-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 599-160-774. ქალბატონი ფიქრია

# ალასანია: „აუცილებელია ნატო-მ საქართველოში საჰაერო-თავდაცვითი საშუალებები განათავსოს“

თავდაცვის მინისტრის ირაკლი ალასანიას განცხადებით, საქართველოს ნატო-სგან სტრატეგიული მნიშვნელობის მხარდაჭერა სჭირდება. მისი აზრით, ყველაზე სწორი ნაბიჯი იქნება ნატო-ს წევრ ქვეყნებში და აღმოსავლეთ ევროპაში დამატებითი სამხედრო აქტივების განთავსება. როგორც თავდაცვის მინისტრი აღნიშნავს, ამ მხრივ, ჩრდილო-ატლანტიკურმა ალიანსმა პარტნიორები არ უნდა დაივიწყოს.

ამის შესახებ ალასანიამ ვაშინგტონში ატლანტიკური საბჭოს მიერ ორგანიზებულ კონფერენციაზე – „ერთიანი და თავისუფალი ევროპა“ სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

„ჩემი აზრით, კავკასიასა და საქართველოში ნატო-ს წევრი ქვეყნების მიერ სწავლებები ხშირად უნდა ჩატარდეს. ბევრი ტრენინგი უნდა გაიმართოს რეგიონალურ კონტექსტშიც. ჩვენ უნდა გვქონდეს კარგი უსაფრთხოების სტრატეგია და გავაძლიეროთ თანამშრომლობა, თუ როგორ უნდა დავიცვათ კრიტიკული ინფრასტრუქტურა – ნავთობსადენები, გაზსადენები, რომლებიც საქართველოზე გადის. ძალიან მნიშვნელოვანია ევროკავშირს ალტერნატიული ენერგო რესურსები ჰქონდეს“ – აცხადებს მინისტრი.

მისი თქმით, ქართველი სამხედროები ნატო-ს კოალიციურ ჯარებს ავღანეთში შესაფერის პარტნიორობას უწევენ. საქართველოს უფრო მეტი წვლილი შეაქვს ავღანეთის ოპერაციაში, ვიდრე



ნატო-ს სხვა ქვეყნებს.

„საქართველომ სურვილი გამოთქვა ჩაერთოს ევროკავშირის ეგიდით დაგეგმილ მისიაში ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში. ჩვენ ვიზიარებთ პასუხისმგებლობის მაქსიმუმს და ველით, რომ ნატო-ს მხრიდანაც შესაბამისი პასუხი უნდა მივიღოთ სექტემბრის სამიტზე. გვინდა დავრწმუნდეთ, რომ ამ პასუხს სტრატეგიული გავლენა ექნება“ – აღნიშნავს თავდაცვის მინისტრი.

ირაკლი ალასანია სიტყვით გამოსვლისას უკრაინის საკითხსაც შეეხო. მისი აზრით, ამ ეტაპზე ყველაზე მეტად საჭიროა, რომ უკრაინას ლეგიტიმური მთავრობა და ლეგიტიმური პრეზიდენტი ჰყავდეს.

ალასანიას განცხადებით, ასევე უკრაინამ უნდა შეიმუშაოს კორუფციასთან და ინფილტრაციასთან ბრძოლის ეფექტური სტრატეგია. ქვეყნის უსაფრთხოების სამსახურებმა აქტიურად უნდა იმუშაონ, რომ მთავრობაში სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ადამიანები მოხვდნენ.

მისი თქმით, რუსეთი ყოველთვის ქმნის ახალ რეალობას ადგილზე, აირჩევს ახალ სამიზნეს და მხოლოდ ამის შემდეგ იწყებს მოლაპარაკებებს დასავლეთთან.

„ახლა უკვე დასავლეთმა უნდა გამოიყენოს ეს შესაძლებლობა და თავად შექმნას რეალობა – შესთავაზოს ნატოს წევრობა ასპირანტ ქვეყნებს და განათავსოს იქ თავდაცვითი საშუალებები, განსაკუთრებით კი საქართველოში. საქართველოში უნდა განთავსდეს საჰაერო თავდაცვითი შესაძლებლობები და რუსეთი მიხვდება, რომ თქვენ სერიოზულად უდგებით საკითხს“ – განაცხადა ალასანიამ.

მისი აზრით, ეკონომიკურ და ფინანსურ სანქციებთან ერთად, რუსეთის საზღვრებთან სამხედრო შემაკავებელი საშუალებები უნდა განთავსდეს და ნატო უკრაინას მთავარი მიზნის მიღწევაში უნდა დაეხმაროს.

ალასანიას თქმით, საქართველო იოლად არაფერს აღწევს, ქვეყანას რუსეთის 2008 წელს ინტერვენციის გამოცდილებაც აქვს, სწორედ ამიტომ, საქართველოს მოსახლეობა ნატო-სა და ევროკავშირს დიდ ნდობას უცხადებს. მოსახლეობის 80 პროცენტი ნატო-ში ინტეგრაციას უჭერს მხარს, ხოლო 85 პროცენტი – ევროკავშირში გაწევრიანების მომხრეა.

ალასანიას განცხადებით, ამ ეტაპზე, საქართველოსთვის მთავარი და მნიშვნელოვანია ის, რომ ამერიკამ და ევროპამ ერთობლივი ძალებით იმოქმედონ და საქართველომ დაინახოს ტრანსატლანტიკური ერთიანობა.

მინისტრის შეფასებით, მნიშვნელოვანია, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა წამყვანი როლი ითამაშოს.

„აშშ ზესახელმწიფოა და მან უნდა უზრუნველყოს, რომ სექტემბერში დაგეგმილ სამიტზე ნატო-ს მიერ გადადგმული ნაბიჯი ადექვატური რეაგირება იყოს უკრაინაში განვითარებულ მოვლენებზე. ჩვენ ვსაუბრობთ გაწევრიანების სამოქმედო გეგმის შესახებ, მაგრამ რეალურად არ ვიცით, როგორ დასრულდება დისკუსია“, – დასძინა თავდაცვის მინისტრმა.

მისი თქმით, საქართველოს ხელისუფლება ამ ეტაპზე ქვეყნის შეიარაღებული ძალების ტრანსფორმაციაზე დიდ ძალისხმევას ხარჯავს.

„2008 წლის შემდეგ, მე დავავალე ომის გამოძიება, რათა გვქონდეს სრული სურათი თუ რა შეცდომები დავუშვით სამხედრო კუთხით და ვცდილობთ გამოვასწოროთ მდგომარეობა“, – განაცხადა ალასანია.

**ნიუსპრესი**

# „ეტ ცეტერას“ თბილისური გასტროლები ჩაიშალა

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ლებლო-ინტელექტუალური პროექტი „საუბრები თავისუფლებაზე“.

– პროექტის „საუბრები თავისუფლებაზე“ მიზანია თავისუფლების რაობის ფილოსოფიური, ფსიქოლოგიური და სხვა ასპექტების ანალიზი. პროექტის ფარგლებში მოეწყობა გამოფენები. გამოფენილი იქნება რუსთაველი თეატრის მუზეუმში დაცული ექსპონატები, რომლებიც რუსთაველის თეატრში თავისუფლების იდეის გარშემო არსებული დადგმების ისტორიას ასახავენ. ეს პროექტი განკუთვნილია თსუ-ის და სხვა უნივერსიტეტების ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებისთვის, რომლებიც ინგლისურ ლიტერატურას და ზოგადად, დასავლეთ ევროპის ყველა მნიშვნელოვანი მწერლის, ხელოვანისა თუ მოაზროვნის შემოქმედებას სწავლობენ. პროექტი ხელს შეუწყობს თავისუფლების იდეის უფრო ღრმად გააზრების, შესწავლისა და მომავალში კვლევით საქმიანობას როგორც თეატრალურ-სახელოვნებო, ასევე მხატვრულ და აზრობრივ სივრცეში. ასევე, ამგვარი ინტელექტუალური და სახელოვნებო ღონისძიებები ხელს შეუწყობს სტუდენტების ინტელექტუალურ და სულიერ განვითარებას. რუსთაველის თეატრი და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი მომავალშიც გეგმავენ ერთობლივი საგანმანათლებლო, სამეცნიერო და სახელოვნებო პროექტების განხორციელებას. პროექტის პირველი სტუმარი კი თსუ-ის ვიცერექტორი, პროფესორი მარინე ჩიტაშვილი გახლდათ. – აღნიშნა რუსთაველის თეატრის წარმომადგენელმა.

მისივე ინფორმაციით, მარინე ყაჯრიშვილმა რუსთაველის თეატრის მუზეუმს საჩუქრად გადასცა ვიქტორ მესხიშვილის ძღვენი, შექსპირის უნიკალური გამოცემა.

– ეს წიგნი სათანადო ადგილს დაიკავებს რუსთაველის თეატრის მუზეუმის ბიბლიოთეკის ფონდებში დაცულ რარიტეტულ გამოცემებს შორის, ასევე, გარკვეული დროით, გამოიფინება საექსპოზიციო დარბაზში, რათა მომავალმა თაობამ ნახოს და დააფასოს იმ მამულიშვილთა ღვაწლი, რომლებიც უცხოეთშიც არ წყვეტენ ზრუნვას თავიანთ სამშობლოზე. ვიქტორ მესხიშვილი სწავლობდა თბილისის მესამე საცდელ სკოლაში, უნივერსიტეტი დაამთავრა პეტერბურგში. ის იყო მსახიობი ქუთაისის ლადო მესხიშვილის თეატრში. ხელმძღვანელობდა საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობის საქართველოს საზოგადოების კულტურის განყოფილებას, ეწეოდა ქართული კულტურის პოპულარიზაციას. მრავალი წელი დაჰყო ირანში, ავღანეთსა და პაკისტანში, გაეროს ხაზით მუშაობდა თარჯიმნად. წლების განმავლობაში იყო თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა ინსტიტუტის დოცენტი. ემიგრაციაში იმყოფებოდა ინგლისსა და საფრანგეთში. ასწავლიდა ქართულ ენას და კულტურას. ამჟამად ცხოვრობს ამერიკის შეერთებულ შტატებში, ქალაქ ბრიჯპორტში, ეწევა მთარგმნელობით და პედაგოგიურ მოღვაწეობას. ავტორია წიგნისა „ფრთხილად! ერიდეთ რუს დათვს“. უდავოდ დიდია მისი ღვაწლი და ჩვენც, ჩვენი მხრივ, დიდ მადლობას მოვახსენებთ ბატონ ვიქტორს ფასდაუდებელი საჩუქრისათვის. – აღნიშნა ია შერაზადიშვილმა.

რუსთაველის მუზეუმი 80 წლისაა და ის არაერთ უნიკალურ ექსპონატს ინახავს. ამის შესახებ თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი რობერტ სტურუაც საუბრობს:

– პირველად რომ შემოვედი თქვენთან, ახმეტელის მასალები მაინტერესებდა. გამაოცა შავი საღებავით შეღებილმა ბატონი სანდროს პორტრეტებმა და განადგურებულმა მასალებმა, მერე კი ჩემს ბედნიერებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა გავიგე ესტატე ბერიაშვილის გმირობის ამბავი მას ყველაფერი შემოუნახავს და დაუბრუნებია თეატრისთვის. უნიკალური მუზეუმი გააჩნია ამ უნიკალურ თეატრს და თუ მომავალში ვილაც წაშლის ჩვენს სახელებს, ყოველთვის მოიძებნება კაცი, რომელსაც არაფრის შეეშინდება და კვლავ დამალავს უძვირფასეს მასალებს. – აცხადებს რობერტ სტურუა.

რუსთაველის თეატრის მუზეუმი 80 წლისაა. იგი თითქმის საუკუნის მასალას ინახავს:

– გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, ქართველი ერის კულტურულ საუნჯეს წარმოადგენს. მსახიობი, ლიტერატურული ნაწილის, შემდგომ მუზეუმის გამგე და ამ საქმის სულისჩამდგმელი ია ქანთარია წლების მანძილზე აგროვებდა და მუზეუმის ფონდებში განალაგებდა თეატრის სხვადასხვა ცეხსა თუ განყოფილებაში მოპოვებულ მასალას. ალექსანდრე ახმეტელის ინიციატივითა და მხარდაჭერით, ია ქანთარიას ძალისხმევით, 1932 წელს მუზეუმი ოფიციალურად დაარსდა. მუზეუმის ფონდები, ხელნაწერთა 6.823 ერთეული, სახვითი 3.378, ფოტო 30.420, სარეკლამო, საცნობარო, აუდიო-ვიდეო 172, მემორიალური ნივთების განყოფილება, წლების განმავლობაში შეივსო საინტერესო ექსპონატებით. დამთვალიერებლების განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს სანდრო ახმეტელისა და თამარ წულუკიძის პირადი ნივთები, რომლებიც თეატრს საჩუქრად გადასცა ქალბატონმა ნათელა არველაძემ, მან მუზეუმის ფონდებს შემატა თამარ წულუკიძის საბეჭდი მანქანა და ლორნეტი, „ჭინჭრაქას“ ფარდა და „ანტიგონეს“ ამფორა ბატონ მიხეილ თუმანიშვილის საჩუქარია, საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალებზე მიღებული ჯილდოები, რუსთაველის თეატრის ასი წლის იუბილეზე თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა ბურთი ავტოგრაფებით და პოსტერი წარწერით „ლომებს ლომებისგან“, ლეგენდარული მსახიობების: სუმბათაშვილ-იუჟინის, ხორავას, ჩხიკვაძის, სპექტაკლების „ოტელო“, „ოიდიპოსი“, „ნათან ბრძენი“, „ხანუმა“, „რიჩარდ III“, კავკასიური ცარცის წრე“, „მეფე ლირი“, „ქალი – გველი“, უნიკალური თეატრალური კოსტუმები. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია მუზეუმის ბიბლიოთეკა, რომელიც მდიდარი და მრავალფეროვანია. ფონდში დაცულია 4.000-მდე თანამედროვე და რარიტეტული გამოცემა როგორც ქართულ, ასევე ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ და რუსულ ენებზე თეატრის, კინოს, მუსიკის, ხელოვნების, ისტორიისა და რელიგიის შესახებ. ბიბლიოთეკაში ინახება 1598 პიესა, მხატვრული ლიტერატურა ჰაუპტმანის, ჰეინეს, გოეთეს, შილერის, შექსპირის, მეტერლინკის, მოლიერის რჩეულ ნაწარმოებთა კრებულები, ენციკლოპედიები, ლექსიკონები, სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთები. მუზეუმის საცავში განთავსებულია კერძო ბიბლიოთეკების გარკვეული ნაწილი პიტოევის, დარსკის, თამამშევის, ახმეტელის, ხორავას, აფხაიძის და სხვათა ავტოგრაფებით. ბიბლიოთეკაში დაცული უნიკალური წიგნები, ისტორიული ღირებულების თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია ქართული თეატრის ისტორიის კვლევისთვის. ჟამთა ცვლასა და ისტორიულ ქარტეხილებს გაუძლო აკაკი წერეთლის, გრიგოლ რობაქიძის, კონსტანტინე გამსახურდიას ხელნაწერებმა, „ცხვრის წყაროს“, „ჰამლეტის“, სახელოვან სცენოგრაფთა სიდამონ-ერისთავის, გამრეკელის, ქობულაძის, ვირსალაძის, ახვლედიანის, კაკაბაძის, გუდიაშვილის შედევრებმა. ფონდებში ასევე დაცულია თანამედროვე მხატვრების ალექსი-მესხიშვილის, შველიძის, სამეულის, მალაზონიას ესკიზები და მაკეტები. მუზეუმის ცხოვრება არასდროს ყოფილა მშვიდი, დააპატიმრეს და დახვრიტეს სანდრო ახმეტელი და ია ქანთარია. მუზეუმში ინახება ია ქანთარიას ხელნაწერი „მშვიდობით, მშობლიურო რუსთაველის თეატრო! 14 წელიწადი შენთვის ერთგული ვიყავი“. სამუზეუმო ფონდებს განადგურების საფრთხე მაშინვე დაემუქრა, თეატრში მოვიდა ბრძანება ყველა იმ მასალის განადგურებისა, რაც სანდრო ახმეტელის სახელთან იყო დაკავშირებული, მუზეუმის თანამშრომელმა, ესტატე ბერიაშვილმა სიცოცხლის რისკის ფასად გადაარჩინა და შთამომავლობას შემოუნახა სარეპეტიციო და წარმოდგენის დღიურები, 20 წლის შემდეგ მუზეუმს დაუბრუნდა და ბატონი ესტატე ძალიან მალე აღესრულა. ხანძარმა იმსხვერპლა თეატრის შენობა, მაშინაც გადარჩა სამუზეუმო მასალა, კვლავ კეთილშობილი და თავდადებული ადამიანების წყალობით. დღეს სამუზეუმო ფონდებში ინახება აფიშები, ხელნაწერები, ესკიზებიც კი რომლებსაც ხანძრის კვალი ატყვია. თბილისის ომის დროს ჭურვმა დააზიანა შენობის ის ნაწილი, სადაც მუზეუმი იყო განლაგებული და დაიტბორა საექსპოზიციო დარბაზი. მიუხედავად იმ დიდი სირთულეებისა, რაც მუზეუმის არსებობას თან სდევდა, სამუზეუმო საქმიანობა არ შეწყვეტილა, მოეწყო გამოფენები რუსთაველის თეატრი 100; ახმეტელი 120; თეატრის სცენოგრაფების გოგი ალექსი-მესხიშვილის, მირიან შველიძისა და თემურ ნინუასი; სტურუა 70; „რუსთაველის თეატრი მსოფლიო სცენაზე“. იწერება სამეცნიერო ნაშრომები, მონოგრაფიები, გამოიცა რუსთაველის თეატრის ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი ალბომები ასევე „თეატრის მხატვრობა 1920-50 წლებში“, სამენოვანი ორტომეული „რობერტ სტურუა“, ბუკლეტები ახმეტელისა და რეპრესირებულთა ხსოვნისადმი პატივის მისაგებად. მუზეუმი აწყობს ექსკურსიებს მოზარდების, უცხოელებისა და ყველა დაინტერესებული პირისთვის, დამთვალიერებელი ეცნობა თეატრისა და შენობის ისტორიას, „ქიმერიონს“, მუზეუმს. სამუზეუმო ფონდები მზარდია. ალსანიშნავია, რომ შემოწირულობების სახით საინტერესო მასალა წიგნები, აფიშები, ფოტოები, ხელნაწერები, ესკიზები, დოკუმენტაცია შემოვიდა აკაკი ფალავას, ეთერ დავითაიას, ანა ვარდიშვილის ოჯახებიდან. – განმარტავს რუსთაველის თეატრის წარმომადგენელი.

ახალგაზრდა რეჟისორებისთვის კი რუსთაველის თეატრმა კონკურსიც გამოაცხადა.

– ამ პროექტის მიზანია, დავეხმაროთ ახალგაზრდა რეჟისორებს ნიჭის გამოვლენაში. კონკურსზე რეჟისორები წარმოადგენენ პროექტებს და მათ საშუალება მიეცემათ, თავად დაიცვან საკუთარი კონცეფცია. კონკურსში გამარჯვებული ორი რეჟისორი დადგამს სპექტაკლს რუსთაველის თეატრის ექსპერიმენტულ ან მცირე სცენაზე. სპექტაკლები ჩაჯდება თეატრის რეპერტუარში. კონკურსის ჩატარება დაიგეგმა ორ ეტაპად: 30 აპრილის ჩათვლით მიიღებოდა განაცხადები, ხოლო მათი განხილვა სექტემბრის ბოლომდე მოხდება. ამ კონკურსის პირობებს წარმოადგენს თამამი ექსპერიმენტები, მცირებიუჯეტიანი და მინიმალური დეკორაციის მქონე საკონკურსო პროექტი, თანამედროვე დრამატურგია, ქართული და უცხოური და კონკურსანტის ასაკი 22-30 წელი.

**ეკა ირემაშვილი**

## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. ლითონის ფულის ერთ-ერთი მხარე; 2. მე-16 საუკუნის გერმანელი მხატვარი; 3. ეგვიპტის უკანასკნელი დედოფალი; 4. მილიონის ძველი ქართული სახელწოდება; 5. მეტისმეტად გულგრილი, აუღელვებელი ადამიანი; 9. ჩეხური საავტომობილო ფირმა; 10. გადაჭარბებული თავმოყვარეობა; 14. პოპულარული ჩეხური ლუდი; 15. ქართული მონასტერი ბულგარეთში; 16. ესპანური სადესერტო ღვინო; 19. ფრანგული ბულდოგი; 20. თანამედროვე ქართველი მოქანდაკე; 21. მექანიკური მუსიკალური საკრავი.

**თარაზულად:** 6. თანამედროვე ქართველი მხატვარი ქალი; 7. თავად-აზნაურთა წინამძღოლი ძველად საქართველოში; 8. ბრიტანული ყველი; 11. მუსლიმანთა დიდი რელიგიური დღესასწაული; 12. ძალიან ბნელი, უმთვარო ღამე; 13. ყურის ექიმი; 17. პოლონელი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 18. ფედერიკო ფელინის მხატვრული ფილმი; 22. ქალაქი იმერეთში; 23. უხუცესთა საბჭო ძველ საბერძნეთში; 24. ნახევარკუნძული კასპიის ზღვაში; 25. ჩინური ნავთობკომპანია.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*



### ნინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ქვაწვია; 2. „სინათლე“; 3. მეთუნე; 4. პასკა; 5. ჩიჩერონე; 7. ბოა; 11. გიტარა; 15. ხერსონი; 16. „ქაჯანა“; 17. გენუა; 18. აგარა; 20. გრილი; 22. ლისი.

**თარაზულად:** 6. ვალაბი; 8. პირინეი; 9. ბასმაჩი; 10. წახნაგი; 12. ნანდუ; 13. ალუჩა; 14. კოქტეილი; 19. ბერინგი; 21. ტეკილა; 23. განჯა; 25. ანტალია; 26. ლამპარდი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. „მაკბეტი“; 2. სიმინდი; 3. ჰინდიკუში; 4. სირაჯი; 5. ორლანი; 9. კარნე; 10. სტაპელი; 14. ციკლოტრონი; 15. ჯარაექიმი; 16. ენგური; 19. ბოჭორმა; 20. ნაბუკო; 21. ატლასი.

**თარაზულად:** 6. პარფიუმერია; 7. კოლიბრი; 8. „იბერია“; 11. მარჯანი; 12. ოდეტა; 13. გურმანი; 17. გარიბალდი; 18. კანდელაკი; 22. თაფლუჭი; 23. რეტორტა; 24. ომნიბუსი; 25. პიკადორი.

# სავალუტო ფონდი უკრაინისთვის 17 მილიარდ დოლარს გამოყოფს



საერთაშორისო სავალუტო ფონდის აღმასრულებელმა საბჭომ უკრაინისთვის 17 მილიარდი დოლარის გამოყოფის პროგრამა დაამტკიცა. ამის შესახებ უკრაინული მედია იუწყება.

„უკრაინსკაია პრავდას“ ინფორმაციით, ფინანსური მხარდამჭერი პროგრამის „სთენდბაის“ ფარგლებში, უკრაინას პირველ ეტაპზე სასწრაფო წესით გამოეყოფა 3,190 მილიარდი დოლარი.

„მთავრობის ეკონომიკური პროგრამა ფონდის დახმარებით მიმართულია მაკროეკონომიკური სტაბილურობის აღდგენისა და ეკონომიკური მართვისა და გამჭვირვალობის აღდგენისკენ“, – ნათქვამია საერთაშორისო სავალუტო ფონდის აღმასრულებელი საბჭოს განცხადებაში.

ამასთან, უკრაინის ფინანსთა მინისტრის ალექსანდრე შლაპაკას განცხადებით, პირველ ტრანშს უკრაინა სავარაუდოდ 5-8 მაისისთვის მიიღებს.

„ბი-ბი-სის“ ინფორმაციით, კრედიტის გამოყოფის პირობად ხისტი ეკონომიკური რეფორმების გატარება დასახელდა, მათ შორის არის გადასახადებისა და ფასების აწევა გაზსა და ელექტროენერგიაზე.

ორგანიზაციის ხელმძღვანელის კრისტინ ლაგარდის განცხადებით, ორგანიზაცია რეგულარულად შეამოწმებს თუ როგორ ასრულებს კიევი პირობას რეფორმების ჩატარების სფეროში. გადაწყვეტილება კიევისათის მეორე და მესამე ტრანშის გამოყოფის შესახებ ამის მიხედვით იქნება მიღებული.

# რუსეთმა ბალტიისპირეთში სამხედრო წვრთნები დაიწყო

რუსეთმა ბალტიისპირეთის საზღვრებთან სამხედრო წვრთნები წამოიწყო. ამის შესახებ უცხოური მედია იუწყება. „უკრინფორმის“ ინფორმაციით, რუსეთის დასავლეთ სამხედრო ოლქის ვერტმფრენებმა დაიწყეს ესტონეთისა და ლატვიის საზღვრებთან დაიწყეს.

ამასთან, რუსეთის დასავლეთ სამხედრო ოლქის პრესსამსახურის განცხადებით, დასავლეთ სამხედრო ოლქის ავიაციის ეკიპაჟი რუსეთის ჩრდილო-დასავლეთით დაგეგმილ სასწავლო-საწვრთნელ ფრენებს ახორციელებს.



წვრთნებში მონაწილეობენ სატრანსპორტო-მედესანტე ვერტმფრენები მი-8მტვ-5 და მი-26ტ.

გავრცელებული ინფორმაციით, დღეს ნატო პოლონეთის, დიდი ბრიტანეთისა და დანიის სამხედრო-საჰაერო ძალების 12 გამანადგურებელს გააგზავნის ესტონეთის, ლატვიისა და ლიტვის დასაცავად და გააძლიერებს სამხედრო ყოფნას ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში.

შეგახსენებთ, რომ უკრაინის კრიზისთან დაკავშირებით და რუსული საფრთხეების საპასუხოდ ნატომ აღმოსავლეთ საზღვრებთან სამხედრო-საჰაერო ძალები უკვე გააძლიერა. ბალტიისპირეთის საჰაერო სივრცის პატრულირებისათვის აშშ-მა ლიტვაში დამატებით ეფ-15სი იგლის ტიპის 6 გამანადგურებელი გადაისროლა. ბალტიისპირეთში დამატებითი გამანადგურებლების გაგზავნის მზადყოფნის თაობაზე ასევე განაცხადეს ბრიტანეთმა, საფრანგეთმა და დანიამ.

ამას გარდა, რუსეთის აგრესიული ქმედებების საპასუხოდ ამერიკამ რეგიონში ქვეითი ჯარიც გააგზავნა. პოლონეთში, ლიტვაში, ლატვიასა და ესტონეთში 150-150 ამერიკელი სამხედრო სულ მცირე წლის ბოლომდე დარჩება.

# სენატში რუსეთის წინააღმდეგ სანქციებზე ახალი კანონპროექტი შევიდა



ამერიკის შეერთებული შტატების სენატში რუსეთის წინააღმდეგ სანქციების ახალი კანონპროექტი შევიდა. ამის შესახებ უცხოური მედია იუწყება.

„ვაშინგტონ პოსტის“ ინფორმაციით, კანონპროექტი, სახელწოდებით „კანონი რუსეთის აგრესიის აღსაკვეთად“ ითვალისწინებს უკრაინაში რუსეთის ქმედებებზე აშშ-ის სანქციების გამკაცრებას.

კანონპროექტი ასევე ითვალისწინებს აშშ-ისა და ნატო-ში მისი მოკავშირეების ურთიერთობების გამყარებას.

ამასთან, რესპუბლიკელები ოთხი რუსული ბანკის: „სბერბანკის“, „ვითიბი ბანკის“, „გაზპრომბანკისა“ და „ვნეშტორგბანკის“, ასევე „გაზპრომის“, „როსნეფტისა“ და „ნოვატეკის“ და რუსული იარაღით მოვაჭრე უმსხვილესი კომპანია „როსობორონექსპორტის“ წინააღმდეგ სანქციების დაწესების ინიციატივით გამოდიან.

ამასთან, აშშ-მა, ევროკავშირმა, იაპონიამ და კანადამ რუსულ კომპანიებსა და კერძო პირებს უკრაინაში განვითარებული მოვლენების გამო, რამდენიმე დღის წინ დამატებითი სანქციები დაუწესა.

ამ დროისთვის რუსეთის მიმართ სანქციები 17 კომპანიას 40-მდე პირს ეხება.

ამერიკის ვიცე-პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა განაცხადა, რომ რუსეთმა უხეში ფორმით დაარღვია წესები, რომელთა დაცვაც მეოცე საუკუნემ კაცობრიობას ასწავლა. მისი თქმით, რუსეთმა დაარღვია ფუნდამენტური პრინციპი, რომლის თანახმადაც ევროპის საზღვრები არ შეიძლება შეიცვალოს სამხედრო ძალით. მან გაავლო პარალელები რუსეთის ქმედებებსა და წინა საუკუნის მსოფლიო ომებს შორის.

„ამჟამინდელი კრიზისი გალვივდა ნატოს უმსხვილესი გაფართოებიდან 15 წლის შემდეგ. მაგრამ ნატოს გაფართოებას ამ კრიზისთან რაიმე კავშირი არ აქვს. კრიზისის წყარო კრემლში, პუტინის თავში უნდა ვეძებოთ. მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ნატო არასოდეს არ იყო ისეთი აუცილებელი როგორც ახლა“, – აღნიშნა ბაიდენმა ჩრდილოატლანტიკურ საბჭოში სიტყვით გამოსვლისას.

ამავე დროს, ბაიდენმა უკრაინელ პოლიტიკოსებს მოუწოდა ებრძოლონ კორუფციას, რომელსაც დამანგრეველი ძალა აქვს და ხელს უშლის დემოკრატიის დამყარებას. მისი თქმით, უკრაინა უკვე 25 წელია რაც თავისუფალია, მაგრამ კორუფციისა და მოძველებული სახელმწიფო ინსტიტუტების გამო ხელისუფლებამ ვერ გადაწყვიტა მის წინაშე არსებული ამოცანები.

თავის მხრივ, გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელი უკრაინის სიტუაციის განსახილველად პრეზიდენტ ობამასთან განსახილველად ვაშინგტონში მიფრინავს. მერკელის ვიზიტი არაოფიციალურია. ამავე დროს, მერკელის შეხვედრების პროგრამა გაცილებით ფართოა ვიდრე ეს სამუშაო ვიზიტებს შეეფერება. კერძოდ, დაგეგმილია პირველი პირების დიდი პრეს-კონფერენცია და არა მოკლე განცხადება. გარდა ამისა, მერკელი შეხვედება ამერიკელ კონგრესმენებსა და პოლიტიკურ ელიტას, ბიზნესმენებს და სავალუტო ფონდის ხელმძღვანელს.

ბერლინში აღნიშნავენ, რომ სამუშაო ვიზიტისათვის უჩვეულოდ დიდი დრო, 4 საათი, არის გამოყოფილი პირველი პირების შეხვედრისთვისაც. ეს არაა გასაკვირი რადგან საუბრის ძირითადი თემა უკრაინის კრიზისი და რუსეთის საწინააღმდეგო სანქციებია.

ამერიკაში ვიზიტის წინ მერკელმა განაცხადა, რომ უკრაინაში სამხედრო ინტერვენციას არ გამორიცხავს. „ორი მსოფლიო ომის გაკვეთილები არ უნდა დავივიწყოთ“, – განაცხადა კანცლერმა და აღნიშნა, რომ პრობლემის სამხედრო გადაწყვეტა გამორიცხულია.

„ჩვენ არჩევანს ვაკეთებთ კონფლიქტის დიპლომატიური დარეგულირების სასარგებლოდ. გერმანია უკრაინას მის მძიმე გზაზე მხარდაჭერას აღმოუჩენს და ჩვენ ასევე გვსურს რუსეთთან გონიერი პარტნიორობის შენარჩუნება“, – განაცხადა მერკელმა.

ცნობილი ამერიკელი ექსპერტი სტივენ კოენი „ნეიშენში“ კეტრინ ვანდენთან ერთად სტატიას აქვეყნებს სათაურით – „ცივი ომი რუსეთის წინააღმდეგ-დებატების გარეშე“.

სტატიაში საუბარია, რომ ამერიკის მიერ რუსეთისათვის გამოცხადებულ „ცივ ომს“ თანამედროვე ისტორიაში ანალოგი არ გააჩნია და ეს ახალი „ცივი ომი“, შესაძლოა, წინაზე გაცილებით საშიში აღმოჩნდეს.

სტატიაში უკრაინის აღმოსავლეთ და დასავლეთ საზღვრებთან რუსეთისა და ნატოს ძალების თავმოყრაზეა საუბარი, მაშინ როდესაც კიევის მთავრობა „მესამე მსოფლიო ომის“ შესახებ გაფრთხილებებს იძლევა.

# სტამბოლში დემონსტრანტების წინააღმდეგ ცრემლსადენი გაზი გამოიყენეს

სტამბოლში გამართულ საპირველმაისო აქციაზე სამართალდამცავებმა დემონსტრანტების წინააღმდეგ ცრემლსადენი გაზი გამოიყენეს. ამის შესახებ „ბიბისი“ იუწყება. სტამბოლში ათასობით ადამიანი გამოვიდა, რომლებიც ტაქსიმის მოედანზე საპროტესტო აქციის გამართვას აპროტესტებდნენ. ადგილობრივი მედიის ცნობით, 40-მდე პოლიციელს სრულად აქვს გადაკეტილი ქალაქის ცენტრი და ლითონის ღობეები აქვთ აღმართული, ასევე.მობილიზებულია სპეცდანიშნულების რაზმი.

გუშინ თურქეთის პრემიერ-მინისტრმა რეჯეფ ტაიპ ერდოღანმა მოსახლეობა გააფრთხილა, რომ ტაქსიმის მოედანზე შეკრების იმედი აღარ უნდა ჰქონდეთ ანტისამთავრობო აქციების გასამართად. სანაცვლოდ მთავრობამ მათ სტამბოლის გარეუბნებში შესთავაზა მსვლელობის მოწყობა.

„ჩვენ მიუხედავად აკრძალვისა, ტაქსიმზე ვიქნებით“, – განაცხადეს ქვეყნის მთავარმა პროფესიულმა კავშირებმა ერთობლივ განცხადებაში.

შეგახსენებთ, გასულ წელს სწორედ მაისში დაიწყო საპროტესტო გამოსვლები, რასაც რამდენიმე ადამიანი ემსხვერპლა. თავდაპირველად დემონსტრანტები გეზის პარკში სავაჭრო კომპლექსის მშენებლობას აპროტესტებდნენ, თუმცა მალე გამოსვლები ანტისამთავრობო დემონსტრაციებში გადაიზარდა, სადაც მოქმედი პრემიერის გადადგომას ითხოვდნენ.



მოამზადა გერა მამულაშვილმა

# შსს-ს წარმომადგენლებმა საერთაშორისო სამეთაურო-სამაგიდო სავარჯიშო წარმატებით დაასრულეს

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტის და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის წარმომადგენლებმა ევროკავშირის მხარდაჭერით აღმოსავლეთ პარტნიორობის ფორმატში ორგანიზებული პროგრამის ეგიდით გამართული რეგიონალური სამეთაურო-სამაგიდო სავარჯიშო წარმატებით დაასრულეს.

ლონისძიებაში საქართველოს შს სამინისტროს, საგარეო საქმეთა სამინისტროს, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წარმომადგენლებთან ერთად აზერბაიჯანის, სომხეთის, უკრაინის, ბელარუსის და მოლდოვის საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურების და შესაბამისი უწყებების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.

პრაქტიკულ მეცადინეობებზე მხარეებმა ევროკავშირის სამოქალაქო თავდაცვის უწყებებთან და საგანგებო სიტუაციების მართვის საკოორდინაციო ცენტრთან თანამშრომლობის და კოორდინაციის პრინციპებზე იმსჯელეს. მათ საერთაშორისო ჰუმანიტარული დახმარების, საძიებო-სამაშველო და სამედიცინო ჯგუფების მოთხოვნა-მიღების მექანიზმებზე იმუშავეს და ამ მიმართულებით ერთმანეთს გამოცდილება გაუზიარეს. ასევე განიხილეს საერთაშორისო მედიის და სხვადასხვა ქვეყნის უწყებების პრესსამსახურების ურთიერთთანამშრომლობის საკითხები.

შსს-ს ინფორმაციით, უწყებების მუშაობას მონიტორინგს უწევდნენ ევროსაბჭოს კომისიის წარმომადგენლები, პროგრამის ექსპერტთა ჯგუფი და მისი ლიდერი სერგეი ანაგნოსტი, ასევე, მიწვეული ექსპერტები საბერძნეთიდან, პოლონეთიდან, ჩეხეთის რესპუბლიკიდან, გერმანიიდან და რუმინეთიდან, რომლებმაც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უწყებების მიერ ჩატარებულ სამუშაოს დადებითი შეფასებები მისცეს და მონაწილეებს პროგრამის წარმატებით დასრულება მიულოცეს. საქართველოს შსს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტის დირექტორმა ზვიად ქაწაშვილმა და სერგეი ანაგნოსტიმ პროგრამის მონაწილეებს სერტიფიკატები გადასცეს.

ნიუსპრესი

## სამგლოვიარო განცხადებები

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრო ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ღირსეული მამულიშვილის, გამორჩეული პოეტისა და მთარგმნელის, აფხაზეთის ომის ვეტერანის

**რენე კალანდიას**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.



თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, ფინანსებისა და საბანკო საქმის კათედრა ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა პროფესორი

**შოთა ქისტაური**

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ტელეკომუნიკაციის კომპანიების „ახალი ქსელებისა“ და „ახტელის“ ადმინისტრაცია და თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ კომპანიის ბუღალტერ ლიკა იაშვილს გარდაეცვალა დედა

**მადლენა იაშვილი**

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახსა და ახლობლებს.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

## TV პროგრამა

პარასკევი
2 მაისი

07.30 "ჩვენი დილა" 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00 "მოამბე" 10.30, 01.00 "დღეს" შემეცნებით-გასართობი პროგრამა 14.20 "სპექტაკლის დრო" – **"შაყოს ხიზნები"** 17.00 დ/ფ "ნამდვილი და თვითმარქვია ჟანა" 18.00 ტ/სერ. **"სიყვარული შიშით"** 19.30 დ/ფ "ისპაჰანის სამეფო მეჩეთი" 21.00 ტ/სერ. **"სიყვარული და შურისძიება"** 22.00, 03.10 პოლიტიკური თოქ-შოუ: "პირველი სტუდია" (პ/ე) 23.30 "ახალი ქართული კინო" – მხ/ფ **"ქუჩის დღეებ"**

08.00, 10.00, 21.00, 23.00 "ბრიფინგის დრო" 09.00, 19.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 10.30, 21.30 "არგუმენტების დრო" (ხუთშ. გ/ჩვ) 12.00 საქართველოს პარლამენტის პლენარული სხდომა (პ/ტ) 20.00 "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე)

07.00 მხიარული კამერა 07.30, 08.05, 09.10 იმედის დილა. 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.50 ქრონიკა. 10.05 სერ. **"ბედის ანაბარა"** 11.20, 12.05 სერ. **"შურისმაძიებელი"** 12.30, 13.03 დღის შოუ (პ/ე) 14.40, 16.50 TV - მარკეტი 14.50, 15.05, 16.03 სერ. **"სიყვარული" ცა და მიწა"** 17.50, 19.05 სერ. **"მინდა გახსოვდე"** 1 სერ. 21.00 სერ. **"შავი ვარდი"** 9 სერ. 22.00 თოქ შოუ – რეაქცია 00.00 მხ/ფ **"სასიყვარულო ინტრიგა"** (ო. პლატი) 02.00 მხ/ფ **"ვეძებ მეგობარს ქვეყნიერების დასასრულისთვის"** (ბ.მორისი)

07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. ""**ვარდისფერი ბრილიანტი"** 11.00 სერ. **"ბრაზილიის გამზირი"** 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუადღე" 16.00, 17.00 სერ. **"არ დამივიწყო"** 18.55 სერ. **"ტიტების დრო"** 20.00 სერ. **"ქალბატონი დილა"** 20.50 ეროვნული ლატარეა 22.00 პოზიცია 23.00 ვანოს შოუ 00.30 მოგზაურობა გიორგი გაბუნიასთან ერთად 01.00 მხ/ფ. 03.00 კურიერის დაიჯესტი

06.10 დ/ფ "ველური ბუნება" 06.35 დ/ფ "კვართიდან ქართველთა გოლგოთამდე" II ნაწ. 07.15 დ/ფ "დაგვიანებული ქორალი" 07.55 მართლმადიდებლური კატეხიზმო 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35 საქართველოს ისტორია 11.00 სახლი ღვთისა 11.15 ისტორიის გაკვეთილი 12.10 პორტრეტები 13.00 მოკ./ფ. **"ქორომრა"** 13.20 ქვიშით ნაამბობი 13.30 "შუადღე" ერთსულოვნებაზე 15.05 დ/ფ "ველური ბუნება" 15.30 კონცერტი -ანდრე რიე 16.55 კვირიაკე 18.10 განთიადის სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 მხ/ფ **"ჩარირამა"** 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.10 ერთსულოვნების ვერნისაჟი 21.15 დროის ჩანაწერები 22.25 მოგზაურობა სამშობლოში 23.00 სალამოს ლოცვა 23.15 დ/ფ "წმინდა მიწა ქართველ პილიგრიმთათვის" 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 "შუადღე" ერთსულოვნებაზე

**მაესტრო** 7.00 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.20 მულტფილმი 8.00, 22.00 "ყოველდღიური ა(მ)ბები/ვასიკო ოდიშვილისგან (გამ.) 8.20 TV 11 მაესტროზე (გამ) 9.00, 12.00, 15.00, 18.00 მაესტრო 9.00, 12.00, 15.00, 18.00 ახალი ამბები 9.30 ბიზნეს კონტაქტი (დილის ბლოკი) პ/ე 9.50, 11.50, 15.45 პრესის მიმოხილვა 10.00, 11.00, 13.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, ამბები მოკლედ 10.02, 11.03 **სერიალი "ჩემი შვილები"** 12.30, 13.02, 1.20,ბიზნეს კონტაქტი პ/ე 13.15 ტაიმ-აუტი (სპორტული გადაცემა) პ/ე 13.30, 14.02 ოთხი ელემენტი (შუადღის შოუ) პ/ე 16.02, 17.02 **სერიალი "დაკარგული ქალაქი"** 17.45, 2.00, "ყოველდღიური აბები" 18.25, 2.15, თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" პ/ე 19.02 **სერიალი "აკრძალული სიყვარული"** 20.00, 2.50, ახალი ა(მ)ბები ბექასთან და მანიკასთან ერთად 20.05 **სერიალი "დაკარგული დრო"** 21.00 მაესტროს "ცხრიანი" პ/ე 22.15 **სერიალი "დიდებული საუკუნე"** 23.30,ბრძოლა წესების გარეშე 0.15, 3.20 **სერიალი "კრიმინალური აზროვნება"**

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**2 მაისი**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი — 1.7711 | ევრო — 2.4505 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2.9781 | 100 რუსული რუბლი — 4.9579 |

**ამინდის პროგნოზი 2 მაისისთვის**




ეროვნული ბიბლიოთეკა

## ოპერისა და ბალეტის თეატრის სარეაბილიტაციო სამუშაოები წელს დასრულდება

ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სარეაბილიტაციო სამუშაოები წელს დასრულდება. ფონდ „ქართუს" გამგეობის თავმჯდომარე ნიკოლოზ ჩხეტიანმა განაცხადა:

– ფონდი ოპერისა და ბალეტის თეატრის რეკონსტრუქციას ახორციელებს, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანი და ძვირადღირებული პროექტია. ოპერისა და ბალეტის თეატრს, 70-იანი წლებიდან მოყოლებული, რეკონსტრუქცია არ ჩასტარებია. მინდა, გავახარო საზოგადოება, რომ წელს აღნიშნული სამუშაოები დასრულდება და თბილისს ექნება განახლებული ოპერისა და ბალეტის თეატრი. „ქართუ" აგრძელებს ისტორიული ძეგლების აღდგენას და სულ აღდგენილია 500-ზე მეტი ისტორიული ძეგლი. უკვე დამტკიცდა ახალი ნუსხა და კიდევ 20 ისტორიული ობიექტი შეემატა წელს გასაკეთებელთა სიას.

ნიკოლოზ ჩხეტიანმა ისიც განაცხადა, რომ ურეკთან 10.000 მაყურებელზე გათვლილი საკონცერტო დარბაზი შენდება

– დაბა ურეკთან 10.000 მაყურებელზე გათვლილი საკონცერტო დარბაზი შენდება. ეს არის ფონდ „ქართუს" დაფინანსებით მიმდინარე გრანდიოზული მშენებლობა, რომელიც შავი ზღვისპირეთის სანაპიროზე ხორციელდება. რომ მივხვდეთ, რა მასშტაბზეა საუბარი, გეტყვით, რომ ფილარმონიის საკონცერტო დარბაზი 2.000-ზე ცოტა მეტ მაყურებელს იტევს. ურეკის დარბაზი აღჭურვილი იქნება გადახსნადი სახურავით და შესაძლებლობას მისცემს საქართველოს, უმასპინძლოს დიდ საერთაშორისო ფესტივალებს. ეს მშენებლობა უკვე დიდი ხნის დაწყებულია და სამშენებლო ნაწილი წლის ბოლოსთვის დასრულდება, ხოლო რაც შეეხება საკონცერტო დარბაზის აღჭურვას, ეს 2015 წელს დასრულდება.

ეკა ირემაშვილი

## „ეტ ცეტერას" თბილისური გასტროლები ჩაიშალა

„ეტ ცეტერას" თბილისური გასტროლები ჩაიშალა. 4 და 5 მაისს რუსთაველის თეატრში ალექსანდრე კალიაგინის ხელმძღვანელობით ჩამოსულ მსახიობებს რობერტ სტურუას მიერ დადგმული სპექტაკლი უნდა წარმოედგინათ, თუმცა მათი საქართველოში ჩამოსვლა ვერ მოხერხდა.

ამის შესახებ არგენტინაში მყოფმა რეჟისორმა რობერტ სტურუამ თავად განაცხადა:

„ეტ ცეტერას" გატროლები არ შედგება! ო, ეს უმსგავსო პოლიტიკოსების მიერ აყირავებული ღვთის მიერ ნაბოძები ბრწყინვალე სამყარო! არა, არა! სამსჯავრო აუცილებელია! ვიღაც ნაძირალებმა რატომ უნდა იმსხვერპლონ მილიონობით უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლე. როდემდე უნდა ვითმინოთ ვიღაც გახრწნილი ლიდერების ავაზაკობა?! ან სამყარო უნდა შეიცვალოს, ანდა განადგურდეს! ბოროტსა სძლია კეთილმანო! დროა, დრო! ელჩის კაბინეტში რუსთაველის პოემა დავინახე. შორეულ ჩილეში გადახვეწილმა ქართველმა კაცმა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ცნობილ პოეტს თარგმანი შეუკვეთა, თვითონვე გადაუხადა ასეთი რთული შრომის საფასური და საკუთარი სახსრებით გამოსცა. დევს ეს უნიკალური წიგნი პატარა სახლში, პატარა ქვეყნის ელჩთან და მწუხარებით უცქერს თუ როგორ ანგრევს ბოროტი ხალხი იმ ოცნებას, იმ იდეალებს, რასაც ემსხვერპლა პატარა ქვეყნის დიდი პოეტი!"

როგორც რუსთაველის თეატრის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელმა ია შერაზადიშვილმა „ახალ თაობას" განუცხადა, გასტროლები რუსთაველის თეატრის მიზეზით არ მოხსნილა:



– „ეტ ცეტერას" გასტროლები მოიხსნა. ეს არ იყო რუსთაველის თეატრის მოწვევა. რუსთაველის თეატრი მხოლოდ და მხოლოდ უთმობდა დარბაზს. თვითონ აკეთებდნენ ამას და „სტურუა პროდაქშენთან" ჰქონდათ ურთიერთობა. ასე რომ, ჩვენ არაფერ შუაში არ ვართ. იმასაც კი ვერ გეტყვით, გადაიდო ეს გასტროლები თუ საერთოდ მოიხსნა.

ამის მიუხედავად, რუსთაველის თეატრი პრემიერისთვის ემზადება. 2, 3, 8 და 22 მაისს რუსთაველის თეატრის ექსპერიმენტულ სცენაზე წარმოდგენილი იქნება პრემიერა „ამერიკა აბანოში".

– ერთმოქმედებიანი კომედია ანტანას ვილკუტაიტის-კეტურაკისის პიესის მიხედვით ლიტველმა რეჟისორმა ლინდა ურბონასსმა დადგა. მასვე ეკუთვნის სპექტაკლის მუსიკალური გაფორმება და მხატვრობაც. წარმოდგენის მხატვრულ მხარეზე მირიან შველიძემაც იმუშავა. პიესა ვირგინია ტიმინსკაიტემ და ნანა დევიძემ თარგმნეს. რეჟისორის თანაშემწე მარინა ამაღლობელია. სპექტაკლში მონაწილეობენ ანდრია თავბერიძე, ზურა ინგოროყვა, კახა კუპატაძე, მამუკა ლორია, ირაკლი სანაია, ქეთი სვანიძე, ბექა სონღულაშვილი და დარეჯან ხარშილაძე. – აცხადებს რუსთაველის თეატრის წარმომადგენელი ია შერაზადიშვილი.

რუსთაველის თეატრმა ახალი ინიციატივაც დაამკვიდრა და დაიწყო საგანმანათ-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

## ასტროპროგნოზი 2 მაისისთვის

**ყველამ გაითვალისწინეთ!**

**წარმატებული დღეა**

**ვერძი** – ფული გაქვთ, პრობლემები არ გაწუხებთ. **კურო** – საქმე გაქვთ, არც უფულობას უჩივით. **ტყუპები** – დიდი ხნის ოცნება აგისრულდებათ. **კირჩხიბი** – სიყვარულს იპოვით, გახარებული ხართ. **ლომი** – სახლში სიახლეა, ძვირფას ნივთს შეიძენთ. **ქალწული** – გზიდან ფულს და საჩუქარს მიიღებთ. **სასწორი** – არ გარისკოთ, დღეს არ ღირს. **მშვილდოსანი** – ახალი საქმე გაამართლებს, კმაყოფილი დარჩებით. **თხის რქა** – დამშვიდდით, ნუ აზვიადებთ, საქმე არც ისე ცუდად არის. **მერწყული** – ყურადღების ცენტრში ხართ, სხვები გბაძავენ. **თევზები** – შედით სხვის მდგომარეობაში, იყავით მიმტევებელი. – არ აყვეთ სხვებს, თავს მიხედეთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ა



შვეულად: 1. იმერეთში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 2. მონასტერი სტეფანწმინდის რაიონში; 3. რაიმეს არასრულფასოვანი შემცვლელი, სუროგატი; 4. გერმანელი მწერალი; 5. ჩინური ფაიფური; 7. ბილიარდის სათამაშო ჯოხი; 11. თოთხმეტტაეპიანი ლექსი; 15. შავი ზღვის ზვიგენი; 16. გზა ფრონტის ხაზის გასწვრივ; 17. ფულის ერთეული პაკისტანში; 18. უმარტივესი, მიკროსკოპული, ერთუჯრედიანი ცხოველი; 20. კოვბოების შეჯიბრება; 22. ქართული სპორტული რადიო.

თარაზულად: 6. სპორტული ინვენტარის მწარმოებელი ფირმა; 8. სოფლის შარაგზა; 9. გამოფენა, კინოფესტივალი, კონფერენცია, რომელიც ორ წელიწადში ერთხელ იმართება; 10. ლონდონში განთავსებული მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი სათამაშოების მაღაზია; 12. შავი ფერის ტკბილნაყოფიანი კენკროვანი ბუჩქი; 13. საბერძნეთის მეორე სახელწოდება; 14. მოწინააღმდეგე კამათში; 19. მომღერალთა გუნდის ხელმძღვანელი; 21. მდინარე ყვარელში; 23. ესპანური სპორტული გაზეთი; 24. ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეული მონღოლეთში; 25. სამარკო და საკოლექციო ღვინოების საცავი; 26. ტვირთის მცირე ხნით შესანახი სათავსო საბაჟოზე, ნავსადგურში.

*შეადგინა თ. კოპალეიშვილმა*

## ბადრი ბაგრატიონ-გრუზინსკიმ რჩეულები დააჯილდოვა



კულტურის სამინისტროში საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მოადგილე ბადრი ბაგრატიონ-გრუზინსკიმ კულტურის სფეროში მრავალწლიანი მოღვაწეობისთვის, ასევე, ბავშვთა აღზრდისა და განვითარების საქმეში შეტანილი წვლილისათვის თამაზ გოგოტიშვილსა და ეგნატე ჯამელაშვილს მადლობის სიგელები გადასცა.

თამაზ გოგოტიშვილი თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრთან არსებული ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლის „შეჯიბრის" დამაარსებელი, საქართველოს დამსახურებული პედაგოგი და ხელოვნების მოღვაწეა, თამაზ გოგოტიშვილი კი თბილისისა და ბათუმის საპატიო მოქალაქე, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, საქართველოს ეროვნული აკადემიის წევრი და ღირსების ორდენის კავალერია.

– ანსამბლი „შეჯიბრი" 1960 წელს დაარსდა, ანსამბლის აკომპანიატორია ეგნატე ჯამელაშვილი. „შეჯიბრი" არაერთი პრემიით, მედლითა თუ საპატიო სიგელით არის დაჯილდოებული. მასზე სარეკლამო და საგასტროლო ფილმებიც გადაიღეს. ანსამბლის უახლესი მიღწევაა 2014 წლის 18-23 თებერვალს გერმანიაში, ბერლინში გამართულ ფესტივალ „ტანცოლიმპში" გამარჯვება და პირველი ადგილის მოპოვება. – განაცხადა ანსამბლის ხელმძღვანელმა.

**კულტურის მინისტრის მოადგილე:**

– თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის პროფესიულ სახელმწიფო თეატრთან არსებულმა ბავშვთა ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა „შეჯიბრი" ბერლინის ფესტივალზე „ტანცოლიმპ" გამარჯვება მოიპოვეს. ამ ანსამბლს ხელმძღვანელობს საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, ღირსების ორდენის კავალერი, თბილისისა და ბათუმის საპატიო მოქალაქე, ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი თამაზ გოგოტიშვილი. ბერლინში გამართული ფესტივალი დაიხურა სწორედ გამარჯვებული ანსამბლის მიერ საუცხოოდ შესრულებული ცეკვით „შეჯიბრი". ვულოცავთ ბატონ თამაზს და მის აღსაზრდელებს, ანი ხუხუნაიშვილს, ირაკლი ჩიხელიძეს, ლუკა ჩოხელსა და ალექსანდრე სამხარაძეს ამ წარმატებას.

ეკა ირემაშვილი

## სპორტსმენთა პრემირება

საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრებმა შესანიშნავად დაასრულა ევროპის 2014 წლის პირად-გუნდურ ჩემპიონატზე გამოსვლა: ჩვენმა გუნდმა პირად პირველობებში 2 ოქროს და ამდენივე ვერცხლის მედალი მოიპოვა, გუნდური ჩემპიონატი კი შარშანდელის დარად მოიგო. ევროპის ჩემპიონატი საფრანგეთის ქალაქ მონპელიეში გაიმართა.

„სპორტსმენთა ხელშეწყობის სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 იანვრის დადგენილების თანახმად, 2016 წლის რიო დე ჟანეიროს 31-ე და შემდგომი წლების ზაფხულის ოლიმპიური თამაშებისთვის მზადების ციკლისა და ფინალური თამაშების მონაწილე (სპორტის ინდივიდუალურ სახეობებში) სპორტსმენთა, მწვრთნელთა, ნაკრები გუნდების საექიმო და ადმინისტრაციული პერსონალის წასახალისებლად, სპორტულ შეჯიბრებებზე მიღწეული შედეგების მიხედვით დაწესებულია ფულადი პრიზები. ზემოაღნიშნული პროგრამა არ არის შემოფარგლული გარკვეული ციკლით და იგი გრძელვადიან მუდმივმოქმედ ხასიათს ატარებს.

ამ დადგენილების თანახმად, ევროპის გუნდური ჩემპიონატის გამარჯვებული საქართველოს ძიუდოს ნაკრები გუნდური პირველობისთვის ფულადი პრიზის სახით მიიღებს 102.000 ლარს, ამას დაემატება პირად-გუნდური მეორე ადგილისთვის განკუთვნილი 34.000 ლარი.

პირად პირველობაში გამარჯვებულები 51.000 ლარით, ხოლო



მეორე ადგილზე გასული სპორტსმენები 34.000 ლარით დაჯილდოვდებიან. სპორტსმენების პირად მწვრთნელებს და ნაკრები გუნდის მთავარ მწვრთნელს დამატებით მიეცემათ სპორტსმენების საპრიზო თანხის 50-50 პროცენტი, საექიმო პერსონალს – სპორტსმენების ჯამური საპრიზო თანხის 30 პროცენტი, ფედერაციის ადმინისტრაციულ ჯგუფს კი – სპორტსმენების ჯამური საპრიზო თანხის 10 პროცენტი.

მ. ჟ.


